ამირან ჯიბუტი

ინფლაცია საქართველოში: მიზეზები და დაძლევის გზები

თბილისი
2016

ამირან ჯიბუტი:
„ინფლაცია საქართველოში: მიზეზები და დაძლევის გზები", გამომცემლობა „ივერიონი". თბილისი 2016, გვ. 116.

წარმოდგენილ ნაშრომში ზოგადად განხილულია ინფლაციის არსი, წარმოქმნის მიზეზები და უარყოფითი შედეგები. განსაზღვრულია ქვეყნის ფულადი პოლიტიკის განხორციელებაში საკანონმდებლო ხელისუფლების, მთავრობის, კერძოდ, მისი ეკონომიკური გუნდის და ეროვნული ბანკის ამოცანები.

გაანალიზებულია საქართველოში 1998-1999 და 2014-2015 წლებში განვითარებული ინფლაციური, სხვა მაკროეკონომიკური პროცესები, გამოვლენილია დაშვებული შეცდომები და დასახულია მათი დაძლევის ღონისძიებები.

წიგნი სამეცნიერო — პოპულარული ხასიათისაა და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი**

ISBN - 978-9941-0-6409-8

შინაარსი

რედაქტორისგან ---------- 4
§1. ინფლაციის არსი ---------- 7
§2. ინფლაციის წარმოქმნის მიზეზები ---------- 13
§3. ინფლაციის უარყოფითი შედეგები ---------- 15
§4. ხელისუფლების მიერ დაგვიანებული გატარებული ფულის რეფორმა და ქართული ლარი იმპერიული რუბლების ტყვეობაში ---------- 19
§5. დოლარიზაციის მაღალი დონის საშიში ტენდენციები -- 25
$6. ხელისუფლების მიერ ეკონომიკური რეგულირების კონცეფციის და ფულადი პოლიტიკის არასწორად განსაზღვრის უარყოფითი შედეგები -------- 28
§7. მთავრობისა და მისი ეკონომიკური გუნდის წარუმატებელი საქმიანობა ---------- 38
§8. ეროვნული ბანკის ამოცანები ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებაში ---------- 58
§9. ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა გადასინჯვას მოითხოვს ---------- 85
დასკვნები და წინადადებები ---------- 100

რედაქტორისგან

წინამდებარე ნაშრომი ორიგინალური გამოცემაა. სამწუხაროა, რომ იგი ავტორის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გამოდის. ამ ნაშრომის შესახებ ამირან ჯიბუტის ყველა ახლობელმა იცოდა – გარდაცვალების წინა დღეებში, ვისთანაც მას მოუწია ურთიერთობა (როგორც შემდგომ გაირკვა), თურმე, ყველასთან ჰქონდა საუბარი. ამირან ჯიბუტი მოულოდნელად გარდაიცვალა 2015 წლის 14 აგვისტოს. წინა დღით მეც მესაუბრა: მითხრა, რომ ნაშრომი დაასრულა, არის ის ხელნაწერის სახით და ორ-სამ დღეში გადაბეჭდილს გადმომცემდა წასაკითხად.

ეს გეგმა არ განხორციელდა.

აღნიშნული ხელნაწერი აღმოჩნდა ამირან ჯიბუტის არქივში. მისმა შვილმა – მამუკა ჯიბუტმა გამოსაცემად მომზადების თხოვნით მე გადმომცა. ეს გამოცემა ამ თხოვნისა და უპირველესად, ამირან ჯიბუტის სურვილის აღსრულებაა.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ამირან ჯიბუტი სიკვდილამდე ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას, ფიქრობდა ქვეყანაზე.

საერთოდ, მისი ბიოგრაფია სწავლის, შრომისა და ნამხახურეობის ერთი დიდი და სასახელო თავგადასავალია.

ამირან ჯიბუტმა დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბანკში ჯერ ეკონომისტად, შემდეგ მმართველად, საშუალო სკოლის დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი სამმართველოს

უფროსის პირველ მოადგილედ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტად, ივ. ჯავახიშვილის სახეობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორად, თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტის რექტორად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის პროფესორად.

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი 1966 წელს, ხოლო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის – 1989 წელს დაიცვა.

იგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს – ეკონომიკური თეორიის, სახელმწიფო ბიუჯეტის, საბანკო საქმის და საიჯარო ფინანსების დისციპლინებში.

ასევე, ეკონომიკური ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტურანტურაში (ეკონომიკური თეორიის სპეციალობის ჯგუფს) ასწავლიდა „სახელმწიფო ვალის მართვისა“ და „თანამედროვე მონეტარიზმის“ სპეცკურსებს.

პროფ. ა. ჯიბუტი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 25 მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორია.

მის მიერ (თანაავტორობით) გამოცემულ მონოგრაფიას „საქართველოს სახელმწიფო ვალი“ (თბ., 2003) მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და სახალხო განათლების წარჩინებულისა და ივ. ჯავახიშვილის მედლებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამირან ჯიბუტმა საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრება განვლო (დაიბადა 1928 წლის 27 აგვისტოს ჩოხატაურში, სოფელ შუა - ამაღლებაში), ახალგაზრდული შემართება არ განელებია. მან მოახერხა ცხოვრებაში უამრავი ქარტეხილის გადალახვა, ბევრჯერ მოუნია ყველაფრის თავიდან დაწყება და მოახერხა მთავარი - ბოლომდე კაცად დარჩა.

ხელნაწერის რედაქტირებისას ტექსტში რაიმე ცვლილება, გარდა ტექნიკური ხასიათის შესწორებისა, არ მომიხდენია.

ნაშრომი არ წარმოადგენს მარტო ამირან ჯიბუტის ხსოვნისადმი პატივისცემის გამოხატულებას. იმ საკითხებს, რომელიც მასშია მოცემული, აქტუალობა ამ ერთი წლის განმავლობაში არ დაუკარგავს და კიდევ დიდხანს არ დაკარგავს საქართველოში.

ავტორისეული პოზიციები შეიძლება საკამათო, ან ზოგჯერ მიუღებელიც კი იყოს, მაგრამ ერთი ფაქტია: **ნაშრომში დაძლეულია ინფლაციასთან დაკავშირებული საკითხების პრიმიტიული, ერთი – ორი კინკილა საკითხებამდე მისი დაყვანის პრაქტიკა თეორეტიკოსებსა და პოლიტიკოსებთან და ინფლაციასთან დაკავშირებული მთელი სისტემაა წარმოდგენილი, იდენტიფიცირებულია პრობლემათა სრული წრე.** ეს უდაოდ გამოარჩევს ამ ნაშრომს და ქმნის ნიადაგს ამ საკითხების კვლევის გაგრძელებისათვის.

§1. ინფლაციის არსი

ინფლაცია ლათინური სიტყვაა (inflatio) და ნიშნავს „გაბერვას", ანუ მიმოქცევის არხების გაბერვას ჭარბი, დაუსაქონლებელი ფულით. იგი გამოიხატება ფულის გაუფასურებით, მისი მსყიდველობითი უნარის დაცემით.

ინფლაცია მიეკუთვნება თანამედროვე ეკონომიკის მძიმე, ძნელად სამკურნალო ხასიათის დაავადებას. მისგან არცერთი ქვეყანა დაზღვეული არ არის. ეს ეხება როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ სახელმწიფოებს.

ინფლაციის გაღრმავებასთან ერთად ფულს სულ უფრო და უფრო უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ფულის ბაზარზე ჩასახული ინფლაციის ვირუსები ეკონომიკის სხვა ნაწილებსაც აავადებს.

მსოფლიო ისტორია ინფლაციის მრავალსაუკუნოვან მაგალითებს იცნობს ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან.

მაგალითად, მძაფრ ინფლაციას ადგილი ჰქონდა 1775-1778 წლებში ამერიკაში, როცა იგი იბრძოდა თავისუფლების მოპოვებისთვის, მეორედ აშშ-ში ინფლაცია მძვინვარებდა 1861-1865 წლებში, ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის სამოქალაქო ომის პერიოდში. 1797 წელს ინფლაციამ ინგლისში ბანკნოტების ოქროზე გადახურდავების შეწყვეტა გამოიწვია, რაც XIX საუკუნის 20-იან წლებამდე გაგრძელდა, ინფლაციის ეს ხანგრძლივი პერიოდი დაკავშირებული იყო ინგლის-საფრანგეთის ომთან. დიდი ინფლაცია იყო საფრანგეთში XVIII საუკუნის რევოლუციის დროს. ინფლაცია დამახასიათებელი იყო მთელი რიგი ქვეყნების ფულადი მიმოქცევისთვის XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისშიც.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის დამახასიათებელ მოვლენად იქცა ვალუტების მასობრივი გაუფასურება, რასაც თან დაერთო საერთაშორისო საანგარიშსწორებო და სავალუტო ურთიერთობების მოშლა.

1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, ცალკეუ-

ლი ქვეყნების ვალუტების გაუფასურებამ არნახულ დონეს მიაღწია. თითქმის ყველა ქვეყანაში გაუქმდა ოქროს სტანდარტი, შეწყდა ფულის გადახურდავება ოქროს ზოდებზე. ბანკნოტი გადაიქცა ჩვეულებრივ ქაღალდის ფულად, შემოღებული იქნა სხვადასხვა სავალუტო შეზღუდვები, აიკრძალა ვალუტის და ოქროს ქვეყნებს შორის თავისუფალი მიმოქცევა.

მეორე მსოფლიო ომმა სავალუტო კრიზისს უფრო მწვავე ხასიათი მისცა. გაუფასურდა არა მარტო დამარცხებული ქვეყნების – ფაშისტური გერმანიის, იაპონიის და იტალიის და მათი სატელიტების, არამედ ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ვალუტებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქვეყნები გამარჯვებულთა რიგებში იყვნენ. ისეთი ქვეყნების ფულის კი გაუფასურდა, რომლებიც ომში უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ინგლისმა ორჯერ (1949 და 1967 წწ) განახორციელა გირვანქა სტერლინგის დევალვაცია, ხოლო საფრანგეთმა 8-ჯერ. საბჭოთა კავშირმა 1947 წელს ფულის რეფორმა, ხოლო 1961 წლის იანვარში დევალვაცია განახორციელა.

. ეკონომიკურ ლიტერატურაში **განასხვავებენ ზომიერ (მცოცავ), ჭენებით (მხტუნავ) და ჰიპერ ინფლაციას.**

ზომიერი ინფლაცია ეწოდება ფულის ისეთ გაუფასურებას, რომელიც შედარებით შეუმჩნეველად მიმდინარეობს. ფასების ზრდის დონე დაბალია – წელიწადში 10%-ზე ნაკლები;

ჭენებითი (მხტუნავი) ინფლაცია ეწოდება ფულის სწრაფი ტემპით გაუფასურებას. ამ დროს ფასები ქაოსურია და იზრდება წელიწადში 200%-მდე;

ჰიპერინფლაცია ინფლაციის ძალზე მაღალი დონეა, მისი ზრდის ტემპი ჩვეულებრივ 200%-ზე მეტია და წელიწადში რამდენიმე ასეული პროცენტითაც კი იზრდება. ჰიპერინფლაციის დროს მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობა, ფასები და ხელფასები კატასტროფულად სცილდება ერთმანეს და ცხოვრების დონე ეცემა.

ინფლაციას საოცარი მაგალითები ახასიათებს:

1923 წელს გერმანიაში ფასები საოცრად გაიზარდა: გირვანქა კარაქი 1.5 მლნ მარკა ღირდა, 1 კგ. ხორცი – 22 მლნ, 1 კგ. პური – 200 ათასი მარკა, 1 კვერცხი 60 ათასი მარკა. ფასები ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ოფიციანტები რამდენჯერმე ცვლიდნენ მას საუზმის მენიუში. ზოგჯერ რესტორნის კლიენტები წასვლისას ორჯერ მეტს იხდიდნენ, ვიდრე შეკვეთისას მენიუში იყო აღნიშნული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის ვალუტა – იენი იმ ზომამდე გაუფასურდა, რომ იმ თანხას, რომელიც ნებისმიერი საქონლის შეძენის დროს ჯერ მყიდველს, ხოლო შემდეგ გამყიდველს უნდა დაეთვალა ნახევარი დღე სჭირდებოდა. ამიტომ ისეთ მასობრივ პროდუქტს, მაგალუთად როგორიც ამ ქვეყანაში თევზია, მისივე წონის იენად ყიდდნენ. სასწორის ერთ თეფშზე ეწყო თევზი, ხოლო მეორე თეფშზე იმავე წონის იენი.

ვერც დამოუკიდებელი საქართველო ასცდა ჰიპერინფლაციას, თუ 1991 წელს ფასების ინდექსი იყო 151,4%, 1993 წელს მან 7587,9%-ს მიაღწია.

კატასტროფული ჰიპერინფლაცია თითქმის ყოველთვის მთავრობების მიერ ფულადი მასის უგუნური ზრდის შედეგია.

გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში ჰიპერინფლაციის წარმოქმნის საფუძველი არ არსებობს.

• **არსებობს ინფლაციის სამი ტიპი – მოთხოვნის ინფლაცია, დანახარჯების ინფლაცია და სტრუქტურული ინფლაცია.**

1. მოთხოვნის ინფლაცია – ანუ მოთხოვნით წარმოშობილი ინფლაცია. ისეთი მდგომარეობა ეკონომიკაში, როდესაც საქონელსა და მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს მისი მიწოდება, ე.ი. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს ჭარბ ერთობლივ მოთხოვნას. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი ფაქტორებით:

ა) სახელმწიფო ხარჯების გადიდებით (ეკონომიკის დაფინანსებისთვის გამოყოფილი სახსრების გადიდებით);

ბ) დეტეზავრაციით (კერძო დანახარჯების გადიდებით,

დაგროვილი ლიკვიდური სახსრების გამოყენების საფუძველზე);

გ) ინვესტირებისათვის განკუთვნილი კერძო დანახარჯების გაზრდით;

დ) საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს შესავსებად სახსრების გამოყოფით.

2. დანახარჯების ინფლაცია – ანუ დანახარჯებით წარმოქმნილი ინფლაცია, ეს ისეთი სიტუაციაა ეკონომიკაში, როდესაც ფასების ზრდა გამოწვეულია წარმოების დანახარჯების გადიდებით (რაც აძვირებს საქონელს).

დანახარჯების ინფლაციის წარმოქმნას განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

ა) ნომინალური ხელფასის გადიდება;

ბ) იმპორტულ ნედლეულსა და სასურსათო საქონელზე ფასების ზრდა;

გ) ფასების ლიბერალიზაცია (ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბლოკირებული ფასების აშვება).

3. სტრუქტურული ინფლაცია – ანუ ბაზრების სტრუქტურით განპირობებული ინფლაცია, ისეთი სიტუაცია, როდესაც ფასების საერთო დონის ზრდა გამოწვეულია ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ფასების ფორმირების არასაბაზრო პირობებით, კერძოდ:

ა) საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დაწევა არა მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე, არამედ ადმინისტრაციული გზით, მეწარმეთა გადაწყვეტილებით;

ბ) ამა თუ იმ საქონელზე ფასების დაწესება პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით.

გ) იმპორტული ინფლაცია, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ფასების გადიდებასთან.

ინფლაციის ეს ტიპები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაშია და პრაქტიკაში მათი ერთმანეთისგან განსხვავება საკმაოდ რთულია.

აღსანიშნავია, რომ არცერთ ქვეყანაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობს სტაბილური ფასები. ფასები იცვლება განუწყვეტლივ, უპირატესად, ზრდის მიმართულებით. ეს

პროცესი ეკონომიკური ვარდნისა და უძრაობის პერიოდში ცნობილია **სტაგფლაციის** სახელწოდებით. იგი გამოხატავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ერთმანეთს ერწყმის სტაგნაცია (ეკონომიკის უძრაობა) და ფასების ზრდა (ინფაცია).

: ინფლაციური სიტუაცია შეიძლება იყოს ღია და ფარული.

ღია ინფლაციისთვის დამახასიათებელია ფასების საერთო დონის ზრდის ტენდენცია, რაც ფასების ინდექსში აისახება. ამასთან მას სავსებით უთავსდება ცალკეული საქონლის ბაზარზე ფასების პერიოდული შემცირება, ან მათი ზრდის შენელება. ამიტომ, მართალია, ღია ინფლაცია იწვევს ბაზრის მექანიზმის სერიოზულ დეფორმაციას, მაგრამ მას მთლიანად არ ანგრევს.

ფარული (დათრგუნული) ინფლაციისთვის დამახასიათებელია ფასების ბლოკირება , საქონლისა და მომსახურების ქრონიკული უკმარისობა და დეფიციტი, ძირითადი სამომხმარებლო საქონლის ნორმირებული განაწილება, ხელფასების გაყინვა, ფასებსა და შემოსავლებზე გაძლიერებული ადმინისტრაციული კონტროლი და, აქედან გამომდინარე, საბაზრო მექანიზმის დეფორმაცია. ფარული (დათრგუნული) ინფლაციის რეგულირება სახელმწიფოს მიერ შესაძლებელია.

ასევე განიხილება პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი ინფლაცია:

ა) **პროგნოზირებადია (მოსალოდნელი)** – როცა მთავრობა, ეკონომიკური აგენტები და მოსახლეობა წინასწარ ელოდება და ითვალისწინებს ფასების მომატებას;

ბ) **არაპროგნოზირებადია (მოულოდნელი)** – როცა ფასები იზრდება მოულოდნელად და წინასწარ არაა გათვალისწინებული.

აგრეთვე, ინფლაციას განასხვავებენ დაბალანსებულობის მიხედვით:

ა) **დაბალანსებულია** მაშინ, როცა ფასების ზრდა უმრავლეს საქონელსა და მომსახურებაზე მიმდინარეობს თანაბარი ტემპით და ზომიერად;

ბ) **დაუბალანდებელია,** როცა ფასების სხვადასხვა ჯგუფის

საქონელსა და მომსახურებაზე იზრდება განსხვავებული ტემპებითა და არათანაზომიერად.

ინფლაციას, ასევე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიმოქცევაში ფულის სტაბილური რაოდენობით არსებობის დროსაც.

ამ შემთხვევაში წარმოებისა და, შესაბამისად, საქონელბრუნვის მოცულობის შემცირების პირობებში მიმოქცევაში არსებული **ფულის რაოდენობა აღმოჩნდება ჭარბი მასზე მოთხოვნასთან შედარებით.**

ინფლაცია იწვევს საქონელთა ფასების როგორც აშკარა, ისე ფარულ ზრდას და მათი დინამიკის მოწყვეტას საქონელთა ღირებულების მოძრაობიდან. ამასთან, ეს ეხება არა მხოლოდ საცალო ფასებს, არამედ საბითუმო, შესყიდვის, სამშენებლო, სატრანსპორტო და ა.შ. ფასებსა და ტარიფებს, რომლებიც ქმნიან ერთიან ურთიერთდაკავშირებულ სისტემას.

ინფლაციური სიტუაცია უარესდება და მძაფრი ხდება მაშინ, როდესაც, ჯერ ერთი, მოთხოვნა წინ უსწრებს მიწოდებას. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ფულადი სახსრების სიწარბე და იზრდება ფასები. მეორე, როდესაც იზრდება წარმოების დანახარჯები, რომელიც ასევე განაპირობებს ფასების ზრდას.

§2. ინფლაციის წარმოქმნის მიზეზები

ინფლაცია რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. შესაბამისად, მისი გამომწვევი მიზეზებიც მრავალმხრივია.

ისინი იყოფა შიგა და საგარეო მიზეზებად.

შიგა მიზეზებია:

1. არასწორად განხორციელებული ფულადი პოლიტიკა და მთავრობასა (მისი ეკონომიკური გუნდის) და ეროვნულ ბანკს შორის შეუთანხმებელი საქმიანობა.

2. ქვეყანაში მშპ-ს ზრდის ტემპებისა და შესაბამისად, წარმოების მოცულობის შემცირება;

3. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (ქრონიკული დეფიციტი), როდესაც სახელმწიფო ხარჯები აღემატება შემოსავალს;

4. დაუსაბუთებელი საკრედიტო ექსპანსია, რომელიც თავდაპირველად იწვევს საკრედიტო ფონდების ზრდას, ხოლო შემდეგ მიმოქცევაში ნაღდი ფულის რაოდენობის გადიდებას.

5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საკუთარი დაგროვების მატერიალური წარმოების სფეროში არასაკმარისი დაბანდებები;

6. საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში იმპორტის წილის სიჭარბე ექსპორტის წილთან შედარებით, ე.ი. ექსპორტით იმპორტის დაფარვის დაბალი დონე, რაც იწვევს ქვეყნიდან სარეზერვო ვალუტის (ძირითადად აშშ დოლარის) გადინებას;

7. საგარეო და შიგა ვალების დაუსაბუთებელი ზრდა და მათი არაეფექტიანი და სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელი ხარჯვა. საგარეო ვალის ძირითადი თანხისა და საპროცენტო გადასახდელების ყოველწლიური მატება;

8. სამთავრობო ხარჯების ყოველწლიური გადიდება (რომელიც იხარჯება ტრანსფერებზე, პოლიციის შენახვაზე, საზღვარგარეთ უშედეგოდ მოგზაურობებზე, ეროვნული ვალუტის (საქართველოში — ლარის) კურსის გამტკიცების ღონისძიებებზე და ა.შ.);

9. ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების და სახელმწიფო

ტრანსფერების წინმსწრები ზრდა წარმოების მოცულობისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან შედარებით;

10. ენერგეტიკული კრიზისი;

11. ეკონომიკის და ბაზრის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები;

12. ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტებზე მზარდი გაცვლითი (ხშირად სპეკულაციური) ოპერაციები;

13. ეკონომიკის მილიტარიზაცია და გაზრდილი სამხედრო ხარჯები;

14. მიგრანტთა გზავნილების შემცირება;

15. ტურიზმიდან შემოსავლების შემცირება;

16. დოლარიზაციის მაღალი დონე;

17. ქვეყანაში შექმნილი არასასურველი პოლიტიკური ვითარება და სხვ.

საგარეო მიზეზებია:

1. ომები და ეთნო კრიზისები;

2. საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისები;

3. საგარეო ბაზრებზე წარმოების საშუალებების, რესურსებისა და ენერგომატარებლების ფასების ზრდა;

4. გაზრდილი უცხოური ინვესტიციები (განსაკუთრებით გრძელვადიანი), როცა ინვესტიციების მოცულობა სჭარბობს ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებს.

აღნიშნულ მიზეზებთან ერთად არის მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ფარულად განაპირობებენ ფულის გაუფასურებას, მაგალითად მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნისგან მოხმარების საგნების წარმოების ჩამორჩენა, სანედლეულო, სასურსათო პრობლემების გამწვავება და ა.შ. მაგრამ ეს მომენტები არსებით გავლენას ვერ ახდენენ ინფლაციურ პროცესებზე.

§3. ინფლაციის უარყოფითი შედეგები

პირველყოვლისა ინფლაცია ამცირებს ფულის სყიდვითუნარიანობას და იწვევს მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას: ერთეულები მდიდრდებიან უმცირესობის ხარჯზე. იზრდება მეწარმეობისა და ბიზნესის ხარჯები, იხურება საწარმოები, ჩნდება საქონლის დეფიციტი, რაც კიდევ უფრო ზრდის ფასებს და ასტიმულირებს ინფლაციას. ინფლაცია ასუსტებს ხელისუფლების პოზიციებს, ფართოვდება ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია. ეკონომიკაში წარმოიქმნება დისპროპორციები და დეფორმირებული ხდება ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა. ანგრევს ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, ზარალდებიან კრედიტორები, მცირდება მოსახლეობასი ფულის ანაბრებზე განთავსების მოტივაცია, იზრდება საკრედიტო დაწესებულებებისადმი უნდობლობა, კლებულობს დანაზოგები, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ასტიმულირებს ინფლაციურ პროცესებს.

ინგრევა ფულადი სისტემა, ბანკებს ეკარგებათ გრძელვადიანი კრედიტების გაცემის ინტერესი, რადგან ფულის გაუფასურების გამო მცირდება დაუბრუნებელი სესხის რეალური სიდიდე.

მცირდება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საგადამხდელო ბალანსზე. ეცემა ადგილობრივი ვალუტის ავტორიტეტი. ყველა ცდილობს თავიდან მოიშორის გაუფასურებული ფული და გადაცვალოს მტკიცე საზღვარგარეთულ ვალუტაზე;

ინფლაცია უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ასტიმულირებს სავალუტო კრიზისს, იზრდება ეროვნული კაპიტალის უცხოეთში „გადინება".[1]

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილია, რომ ინფლაციის წარმოქმნის მიზეზების აღმოფხვრა და მისი სრული ლიკვიდაცია შეუძლებელია, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია იგი

1 ხელაია გ., კაკულია რ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2003, გვ. 200-280.

ზომიერი გახადოს და, აქედან გამომდინარე, მართვადიც. ეს თეზისი საფუძვლად უდევს ანტიინფლაციური რეგულირების ღონიძიებათა მთელ სისტემას.

მაშასადამე, მთავარია ინფლაციის წარმოქმნის მიზეზების აღმოფხვრა. კანონზომიერად იბადება ასეთი კითხვა: **ვინ უნდა განახორციელოს ანტიინფლაციური ღონისძიებები და ამ მიმართებით ქვეყანაში ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთოდ, ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე პირველყოვლისა პასუხისმგებელია ხელისუფლება – უშუალოდ მთავრობა და მისი ეკონომიკური გუნდი. ხოლო რაც შეეხება ფულად პოლიტიკას, ანუ ფულის რეგულირების ფუნქციის შესრულებას, იგი უშუალოდ ცენტრალური, ანუ ეროვნული ბანკის მოვალეობაა, ასევე ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემა, კომერციული ბანკები, აგრეთვე ფულის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე მთელი საზოგადოება.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ცენტრალური ბანკის სამართლებრივი მდგომარეობა (საბანკო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მენეჯმენტის ზოგადი პრინციპები) განსაზღვრულია კონსტიტუციით. ხოლო მათი დეტალური რეგულირება ხორციელდება საბანკო კანონმდებლობით.

ამასთან, ყველა ქვეყანაში საბანკო სამართლებრივ საფუძვლებში პერიოდულად შედის ახალი დროის შესაბამისი ცვლილებები.

მაგრამ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს ცენტრალური ბანკების აბსოლუტურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მის გამიჯვნას სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ამოცანების განხორციელებისაგან.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა გულისხმობს იმას, რომ იგი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური კონიუნქტურისგან, უზრუნველყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და ამისათვის შეარჩიოს ფულად-საკრედიტო ურთიერთობა-

თა რეგულირების ეფექტიანი საშუალებები. იგი ვალდებულია ქვეყნის საერთო-პოლიტიკური მიზნები და თავისი საქმიანობის უმთავრესი საკითხები შეათანხმოს ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებასთან. ამ გაგებით ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის ხარისხი ერთნაირი არ არის განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიაში, ამერიკასა და შვეიცარიაში ცენტრალური ბანკები უფრო დამოუკიდებლები არიან, ვიდრე უნიტარულ და შედარებით ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

მაგალითად, ამერიკის ფედერაციული სარეზერვო სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს და წყვეტს ფულადი პოლიტიკის საკითხებს. ასევე, გერმანიის ცენტრალური ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფულადი პოლიტიკის მიმართულებებს და მიზნებს.

ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა ვალდებულია წელიწადში ორჯერ წარუდგინოს კონგრესს ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ, გერმანიის ცენტრალური ბანკი კი წლიურ ანგარიშს მხოლოდ პრესაში აქვეყნებს და მას არც პარლამენტსა და არც მთავრობას სპეციალურად არ წარუდგენს.

მაგრამ, ისინი მხარს უჭერენ მთავრობის საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას და ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში პასუხს აგებენ ხელისუფლების წინაშე.

ახლა[1] საქართველოში უხერხული და უპრეცენდენტო შემთხვევაა. ის რაც ინფლაციური პროცესების გაძლიერებასთან დაკავშირებით ხდება მთავრობის ეკონომიკური გუნდი და ეროვნული ბანკი ამ პასუხისმგებლობას ერთიმეორეს აკისრებენ. ისინი საკუთარ მოვალეობებსა და ფუნქციებს ნათლად ვერ ათვითცნობიერებენ.

მაშასადამე, ქვეყანაში ფულადი პოლიტიკის ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლება მხოლოდ ეროვნულ ბანკს დაეკისროს. ყველაფერი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით არ გადაწყდება.

ხელისუფლებას, უშუალოდ მთავრობას, მის ეკონომიკურ

1 იგულისხმება 2013-2015 წლებში მიმდინარე პროცესები (რედ.)

გუნდსა და ეროვნულ ბანკს შორის საჭიროა კოორდინირებული თანამშრომობა, რამდენადაც ამ მიმართულებით თითოეულს მკაცრად დადგენილი მოვალეობები აკისრია. ისინი შეთანხმებულად უნდა ახორციელებდნენ როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან ანტიინფლაციურ ღონისძიებებს.

ფულადი პოლიტიკის წარმატებით განხორციელება წარმოუდგებელია ქვეყანაში რეალური ეკონომიკის განვითარების, ხოლო ეკონომიკის განვითარება ფულად-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფის გარეშე – ორივეს წარმატებით განხორციელება კი უშუალოდ დამოკიდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ფულადი პოლიტიკის სფეროში დასახული მიზნებისა და ამოცანების სწორად გადაწყვეტაზე.

საქართველოში ფულადი პოლიტიკის სფეროში დაშვებული შეცდომები დაწვრილებით განხილვასა და ღრმა გაანალიზებას მოითხოვს.

§4. ხელისუფლების მიერ დაგვიანებული გატარებული ფულის რეფორმა და ქართული ლარი იმპერიული რუბლების ტყვეობაში

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ხელისუფლების უდიდეს შეცდომას წარმოადგენდა დამოუკიდებლობის აღიარების მიუხედავად, მიმოქცევაში კვლავ იმპერიული (სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის) რუბლების შენარჩუნება, რომელიც წლების განმავლობაში შეუძლებელს ხდიდნენ ქართული ეკონომიკის განვითარებას და ქართული საქმის კეთებას.

საქათველოს ხელისუფლებამ 5 წლის მანძილზე ვერ დაბეჭდა და შემოიღო ფულის ეროვნული ნიშანი. 1993 წლის 5 აპრილს მიმოქცევაში დროებითი საგადასახადო საშუალების, ფულის სურროგატის „კუპონის" შემოღების შემდეგაც კვლავ შეინარჩუნეს რუსეთის ფედერაციის რუბლები და ამით ფაქტობრივად 5 წლით დატოვეს საქართველო იმპერიის შემადგენლობაში. რუსეთი თავის რუბლებს წარმატებით იყენებდა საქართველოს ეკონომიკაზე და ფინანსურ სივრცეზე ზემოქმედებისთვის. რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ საქართველოსათვის ნაღდი ფულის ნიშნების მიწოდების შეწყვეტის შემდეგ, საქართველოში რუსი (და სხვადასხვა ეროვნების) საქმოსნების მიერ არალეგალურად მილიონობით რუბლი იქნა შემოტანილი. საქმოსნებს ჩემოდნებით შემოჰქონდათ კოლოსალური თანხები და მაღაზიებსა და ბაზრობებზე ყიდულობდნენ ძვირფას ნივთებს, ბრილიანტისა და ოქროს სამკაულებს, ანტიკურ ნაკეთობებს და ა.შ. ამ წლებში მილიონობით დოლარის ღირებულების ეროვნული სიმდიდრე იქნა საქართველოდან გატანილი.

1992 წლის ბოლოს რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა საქართველოს საბოლოოდ შეუწყვიტა ნაღდი ფულის მოწოდება, აგრეთვე თავიდან მოიხსნა პასუხისმგებლობა და უარი თქვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური

ურთიერთობების ანგარიშსწორების შემსრულებლის ფუნქციაზე. რუსეთის მიერ (ფულადი ნიშნით) მანეთის საქართველოსთვის მიწოდების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი დეფოლტის შევსების წყაროდ იქცა არაორგანიზებულ საფინანსო ბაზარზე შექმნილი ე.წ. „ჯიბის ბანკები". სპეკულაციური ოპერაციებით მოსახლეობას ძარცვავდნენ. ამ პერიოდში დაიკარგა 1985-1992 წლებში მოსახლეობის მიერ კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრები, 14 მლრდ მანეთის (მაშინდელ ფულზე 9 მლრდ აშშ დოლარი) ოდენობით. ხოლო ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ანგარიშსწორების შემსრულებლის პასუხისმგებლობის მოხსნის შედეგად, ეროვნული საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე ადრე დაფიქსირებული საგადამხდელო ვალდებულებების სალდო 550 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით სრულიად არაკანონიერად საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალად დაეკისრა.

მაშასადამე, 5 წლის მანძილზე საკუთარ ქვეყანაში ფულად ერთეულად რუსეთის იმპერიული რუბლის გამოყენება საქართველოს მილიარდობით აშშ დოლარი დაუჯდა, მაშინ, როდესაც (ქართული) ვალუტის დროულად დაბეჭდვისთვის ამის მეათედიც არ იყოს საჭირო.

ამდენად, იმ დროინდელმა ხელისუფლებამ თავიანთი უცოდინრობით და უნიათობით კოლოსალური ზარალი მიაყენეს საქართველოს.

1992 წლისთვის სახელმწიფოს დავალიანებამ მხოლოდ ხელფასებზე და პენსიებზე 8 მლრდ რუბლი შეადგინა, ხოლო 1993 წლის მარტში – 30 მლრდ რუბლს გადააჭარბა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით 1989-1993 წწ. წარმოების მოცულობა საქართველოში 75%-ით შემცირდა. ა) წარმოიქმნა ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი, 1993 წელს მან მშპ-ს 26% შეადგინა. ბ) მოიშალა ფისკალური დისციპლინა, რასაც მოჰყვა ფინანსური ქაოსი. საქართველო სოციალური აფეთქების ზღვარზე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში ხელისუფლება იძულებული გახდა 1993 წლის 5 აპრილს მიმოქცევაში გამოეშვა დროებითი საგადამხდე-

ლო საშუალება, ფულის სუროგატი – კუპონი, უნაღდო ანგარიშსწორება კი კვლავ რუბლით ხდებოდა.

ქვეყანაში დაიწყო დიდი რაოდენობით დაუსაბუთებელი კრედიტების გაცემა, მთავრობამ ეროვნული ბანკიდან 1 ტრილიონ 27 მილიონი კუპონი აიღო სესხად, 1993 წლის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად. ასევე დიდი რაოდენობით მიმოქცევაში გაშვებულმა კუპონების მასამ გამოიწვია კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციებით (კუპონიოს აშშ დოლარზე გადაცვლით) დაინტერესება.

ასეთმა გაუმართლებელმა ოპერაციებმა გააღრმავეს ინფლაციური პროცესები და ხელი შეუწყვეს ეკონომიკის დაცემის დაჩქარებას და კუპონიოს კიდევ უფრო გაუფასურებას. ინფლაციის ტემპმა 8000% შეადგინა. კუპონის კურსი დოლარის მიმართ სულ უფრო და უფრო ეცემოდა. იყო სიტუაცია როდესაც 1 აშშ დოლარი 5 მლნ. კუპონი ღირდა. ასეთ პირობებში საქართველოში მაინც თავისუფლად მიმოიქცეოდნენ ამერიკული დოლარები და რუსული რუბლები, მათ კუპონს მხოლოდ ფულადი ბრუნვის 10% დაუტოვეს (რუსეთის რუბლზე 60-65%, ხოლო დოლარზე 25-30% მოდიოდა).

საბოლოოდ, ამის შედეგად, დღის წესრიგში გადაუდებლად დადგა ფულის რეფორმის ჩატარების და კუპონის ახალი ვალუტით შეცვლის საკითხი. ქართული ვალუტა – ლარი შემოღებულ იქნა 1995 წლის 25 სექტემბერს.

დადგენილი იქნა ლარის კურსი, იგი დოლარის მიმართ ერთ ლარსა და ოცდაათ თეთრს (1 : 1.30) უდრიდა. მტკიცე ეროვნული ფულადი სისტემის შექმნისა და მასში მტკიცე ლარის განუყოფელი ბატონობისათვის აუცილებელი იყო მიმოქცევიდან ამოღებულიყო უცხოური ვალუტის ნიშნები (რუბლი და დოლარი), რომელთაც დიდხანს დომინირებადი მდგომარეობა ეკავათ ქვეყნის ფულად მიმოქცევაში. უმოკლედ დროში მიმოქცევიდან ამოღებული იქნა მხოლოდ 70,6 მლრდ რუბლი და 37.9 მლნ დოლარი, დროებით შესაძლებელი გახდა ლარის კურსის შენარჩუნება, რითაც სრულფასოვანი ქართული ვალუტა ქვეყანაში გადახდის ერ-

თადერთ საშუალებად გადაიქცა. 1995 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. [1]

ლარის კურსი, რომელიც განისაზღვრა 1995 წლის სექტემბერში, შეურყევლად იქნა შენარჩუნებული სამი წლის მანძილზე 1998 წლის სექტემბრამდე. მაგრამ, ლარის კურსის სიმტკიცე დიდხანს არ გაგრძელებულა. 1998 წელს წარმოქმნილმა საერთაშორისო საფინანსო კრიზისმა მყისიერად დაარღვია ლარის კურსის სტაბილურობა.

საქართველოში წარმოქმნილი კრიზისი, იმ დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მძინვარე კრიზისის პირდაპირი გამოძახილი იყო. იგი წარმოქმნა ინდუსტრიულად და ფინანსურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში: ჰონკონგში, ტაივანში, სინგაპურში, ტაილანდში, სამხრეთ კორეაში, მალაიზიაში, ინდონეზიაში, ფილიპინებში. აღნიშნულ ქვეყნებში ჯერ კიდევ 1997 წლის ივნისში დაეცა წარმოების ტემპები, მასობრივად გაღატაკდნენ ბანკები და ერთმანეთის მიყოლებით გაუფასურდნენ მათი ვალუტები. მალე აღნიშნული კრიზისი გავრცელდა იაპონიაში, 1998 წლის აგვისტოში გადავიდა რუსეთში, ხოლო იმავე წლის სექტემბრის დასაწყისში ჩამოაღწია საქართველოში.

დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მმართველი წრეები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელები უმალ მიხვდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში დაწყებულ სავალუტო-საფინანსო კრიზისში მყოფ ქვეყნებს თუ სათანადოდ არ დაეხმარებოდნენ, მალე აღნიშნული კრიზისი „ზიარი ჭურჭლის ეფექტის" შესაბამისად გადავიდოდა მათ ქვეყნებში და განვითარდებოდა მთელ მსოფლიოში. ამით განმეორდებოდა ის შეცდომა და შედეგები, რაც 1929 წლის 12 სექტემბერს მოხდა ნიუ-იორკის ბირჟაზე, როცა ეს კრიზისი დანარჩენმა ქვეყნებმა ჩათვალეს მხოლოდ აშშ-ს კრიზისად და არაფერი გააკეთს მისი ლოკალიზაციისთვის, რის შედეგადაც მალე აღნიშნული კრიზისი გავცელდა ინგლისში, შემდეგ იქედან კონტი-

1 ქისტაური შ., ქართული ფული (წარსული, დღევანდელობა, მომავალი), თბ., 2007, გვ. 87-88

ნენტურ ევროპაში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში, რომელიც მძვინვარებდა მსოფლიო კრიზისის (დიდი დეპრესიის) სახით მთელი ხუთი წლის მანძილზე – 1929-1933 წლებში. უმძიმესი საფინანსო-საკრედიტო-სავალუტო შედეგების გარდა (ყველა ქვეყნის ბიუჯეტი იქცა დეფიციტურად), აშშ-ში გაკოტრდა 100-ზე მეტი ბანკი, ყველა ქვეყნის ვალუტა გაუფასურდა და განხორციელდა მათი მასობრივი დევალვაცია.

1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს მოჰყვა უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები: ათეული და ასეულმილიონობით ადამიანი მსოფლიოში იქცა უმუშევრად, ღატაკად, დამშეულ მასად. დასავლეთის ქვეყნებმა (1997 წ.) ამჯერად გაითვალისწინეს რა ყოველივე აღნიშნული, საფინანსო-სავალუტო კრიზისის დაწყების პირველი დღეებიდანვე სასწრაფოდ გაატარეს ანტიკრიზისული ღონისძიებები.

1997 წლის ბოლოს მათ მიერ მიღებულ იქნა კრიზისში მყოფი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისთვის დახმარების მრავალმილიონიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც სამხრეთ კორეას გამოეყო – 58.2 მლრდ დოლარის კრედიტები, ინდონეზიას – 42.3 მლრდ დოლარი, ტაილანდს – 14.2 მლრდ და ა.შ.[1]

აღნიშნულმა ქვეყნებმა კრედიტების მიღების შემდეგ უმოკლეს ვადებში ჩაატარეს თავიანთი ვალუტების დევალვაციები. შეკვეცეს ბიუჯეტის ხარჯები, გარდაქმნეს წარმოებრივი და საბანკო სისტემები, გაზარდეს ექსპორტი, შეამცირეს იმპორტი და შედეგად უკვე 1998 წლის ბოლოსთვის მიაღწიეს პოზიტიურ ძვრებს ეკონომიკაში, ფინანსებში, საბანკო სფეროში და განამტკიცეს თავიანთი ვალუტის კურსი.

საქართველოში ლარის კურსი 1998 წლის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად დაეცა, 1 აშშ დოლარისფასმა 2,30 ლარი შეადგინა. სამწუხაროდ, საქართველოში სამხრეთ აზიის ქვეყნებში ვალუტების გასამტკიცებლად გამოყენებული მეთოდების (წარმოების ზრდა, ექსპორტის გაფართოვება, იმპორტის შეკვეცა და ა.შ.) გამოყენება სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა.

1 **Федякина П.И. Международные финансы. м.с.п., 2005, стр. 450–451**

ხელისუფლებამ ლარის კურსის ვარდნის შესაჩერებლად მიმართა ყველაზე მარტივ გზას, რაც შეიძლებოდა ნაკლები ლარები დატოვეს მიმოქცევაში და ხელოვნურად გაზარდეს მასზე მოთხოვნა. ასე რომ, საქართველოში ლარის დევალვაციამ ვერავითარი პოზიტიური ზეგავლენა ვერ მოახდინა წარმოების ზრდაზე.

ლარის კურსის ერთგვარი (არარეალური, მოჩვენებითი) სტაბილიზაციის მიუხედავად ქვეყანაში კვლავ გაგრძელდა ფასეის ზრდა – ბინებზე, ავტომანქანებზე, ელექტროენერგიაზე, ნავთობპროდუქტებზე, სურსათზე, სამრეწველო საქონელზე და ა.შ. გაძვირდა ცხოვრება, ადამიანები (განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი ფენები) თავიანთი ხელფასებით, პენსიებით, სტიპენდიებით, დანაზოგებით და ა.შ. სულ უფრო ნაკლებ ფასეულობებს ყიდულობდნენ.

ლარის კურსის ხელოვნურმა გამყარებამ და ნაღდი ფულის დეფოლტის შექმნამ ქვეყანაში დოლარიზაციის კიდევ უფრო სწრაფი და კოლოსალური ზრდა გამოიწვია. აღნიშნულის შედეგად ნეგატიური ტენდენციები წარმოიქმნა როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში, რაც უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე. ძვირი ფულის პოლიტიკამ კიდევ უფრო დაამუხრუჭა ეროვნული ეკონომიკის განვითარება.

მაშასადამე, 1992-1999 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა.

§5. დოლარიზაციის მაღალი დონის საშიში ტენდენციები

საქართველოს ფინანსური უსაფრთხოების ერთ-ერთ ძლიერ მუქარას დღეს დოლარიზაციის მაღალი დონე წარმოადგენს, რომელიც განუხრელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

დღეისათვის დოლარიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 70-85%-ის ფარგლებში. ეროვნული ბანკის მონაცემებით, უცხოურ ვალუტებში სადეპოზიტო ვალდებულებები თითქმის იმ ოდენობითაა, რამდენიც მიმოქცევაში არსებული ლარის მასაა.

უცხოური ვალუტა (კერძოდ აშშ დოლარი) მთელ რიგ გარიგებებში (ბინებით, ავტომანქანებით, ავეჯით და ა.შ. ვაჭრობა) ასრულებს გადახდის საშუალების ფუნქციას, რაც უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ეროვნული ვალუტის (ლარის) მიმართ მოსახლეობის არასაკმარისი ნდომით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ფაქტობრივად დოლარიზაციის დონის სათანადო სიზუსტით აღრიცხვა საერთოდ შეუძლებელია, მაშინ საქართველოში დოლარიზაციის ზრდის ტენდენცია და მასშტაბები შემაშფოთებელია. დღეს კომერციული ბანკები საქართველოში განიხილება ეროვნული ეკონომიკის დოლარიზაციის დონის ზრდის მიზეზად.

ეს ფაქტი განსაკუთრებული შესწავლის საგანი უნდა გახდეს. დოლარიზაციის კოეფიციენტი, ანუ უცხოურ ვალუტაში დემონირებული დეპოზიტების შეფასება დეპოზიტების მთლიან რაოდენობასთან (M3) 85.5%-ს აღწევს, ასევე ქვეყანაში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების განულება 5-6-ჯერ აღემატება ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობას.

საქართველო კარგა ხანია გავიდა მაღალდოლარიზებული ქვეყნების ჯგუფში. ზომიერად დოლარიზაციის ზედა ზღვარი 30%-ია, საქართველოში დოლარიზაციის დონემ დასაშვებ ზღვარს 2,5-ჯერ მეტად გადააჭარბა. მაშინ, როდესაც გერმანიაში 0.60%, იტალიაში – 2.0%, იაპონიაში – 5.1%-ია და ა.შ.

როგორც ვხედავთ, დოლარიზაციის პროცესმა მოიცვა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფერო რეალური წარმოებით დაწყებული, ვაჭრობით დამთავრებული. ამით ლარის, როგორც საგადასახადო საშუალების გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად შემცირდა და მხოლოდ სამომხმარებლო ბაზრით შემოიფარგლა. ლარი ქვეყანაში თანდათან კარგავს ფულის ფუნქციებს.

დოლარიზაციის ასეთი მაღალი დონის პირობებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ფაქტობრივად დამოკიდებულია ქვეყანაში დოლარის შემოდინება-გადინებაზე, რაც სისტემატურად ცვლის ლარის გაცვლით კურსს და ზრდის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს, ამასთან იწვევს ქვეყნის სავალუტო რეზერვების გაფლანგვა-განიავებას.

ლარის კურსი (2014 წლის ნოემბრის მეორე ნახევრიდან 2015 წლის მაისის მეორე ნახევრამდე) დოლარის მიმართ 1.66 ლარიდან 2.41 ლარამდე, ანუ 31.1%-ით გაუფასურდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მოსახლეობამ 6 თვეში თითოეულ დახარჯულ დოლარზე დამატებით 75 თეთრი გადაიხადა. რაც მილიონობით ლარს შეადგენს. ასევე, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ქვეყანამ სარეზერვო ფონდებიდან მილიონობით ინტერვენცია განახორციელა.

კომერციული ბანკები უცხოური ვალუტის ოპერაციების არასწორად წარმართვის გზით გახდა ქვეყნის დოლარიზაციის დონის ზრდის მთავარი მიზეზი, რაც სათანადოდ არ კონტროლდება საზედამხედველო ორგანოების მხრიდან.

სახელმწიფოს მხრიდან დოლარიზაციის მაღალი დონის მიმართ უყურადღებობამ შეიძლება სერიოზულად შეარყიოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება. უპირველეს ყოვლისა, დოლარიზაციის მასშტაბების ზრას შეიძლება მოჰყვეს ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორებიცაა ლარის მიმოქცევის არეალის კიდევ უფრო უკიდურესად შეზღუდვა, ინფლაციის სისტემატური პროვოცირება და მთლიანად საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოშლა.

ამდენად, **დოლარიზაციის დონის შემცირება საქართველოს**

ხელისუფლების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს.

საბოლოოდ, საქართველოში მკაცრმა (ძვირმა) ფულის პოლიტიკამ (დოლარიზაციის მაღალი დონის არსებობის პირობებში იძულებითმა ღონისძიებამ) არახელსაყრელი შედეგი გამოიღო. ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე გატარებულმა ზედმეტმა ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, მოშალა ფინანსური სისტემა და ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე - ქვეყანა დარჩა ჯანსაღი ეკონომიკის გარეშე.

§6. ხელისუფლების მიერ ეკონომიკური რეგულირების კონცეფციის და ფულადი პოლიტიკის არასწორად განსაზღვრის უარყოფითი შედეგები

მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკური რეგულირების მრავალი თეორია, კონცეფცია და მოდელი არსებობს, რომელთაგან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური სიძნელეებისაგან გამოყვანის აპრობირებული მიმართულებადაა აღიარებული. ისინი ეხებიან და წყვეტენ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების, მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოების გადიდების, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების მოწესრიგების, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფის, ეკონომიკის სტაბილურობის და განვითარების სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების და ა.შ. მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს. მათგან მეტად მნიშვნელოვანია:

ა) კლასიკური თეორია;

ბ) ჯონ მეინარდ კეინზის – მაკროეკონომიკური რეგულირების თეორია;

გ) „ნეოკლასიკური სინთეზის" თეორია;

დ) მ. ფრიდმენის „მონეტარისტული თეორია";

ე) ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური მიმართულებები და ა.შ.

კლასიკური თეორიის ძირითადი იდეა ეკონომიკის ლიბერალიზაციაა, რომლის მიხედვით სახელმწიფო მხოლოდ მინიმალურად უნდა ერეოდეს ეკონომიკაში, რადგან ეკონომიკა (ბაზარი) თვითრეგულირებით წესრიგდება თავისუფალი ფასების მეშვეობით, რომელიც ყალიბდება მიწოდებისა და მოთხოვნის საფუძველზე. ასეთ რეგულირებას „უხილავი ხელის" თეორია ეწოდება.

XX ს. ოცდაათიანი წლებიდან „მოთხოვნის თეორიის" საფუძველზე შექმნილმა ეკონომიკურმა მოდელმა უარყვეს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში გაბატონებული

სმითისეული ე.წ. „უხილავი ხელის" კოცეფცია და მისი ადგილი სოციალურ ორიენტაციაზე აგებულმა სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების თეორიამ დაიკავა.

კეინზური კონცეფციის თანახმად, ჯერ იზრდება წარმოება, რაც ინვევს დასაქმების გადიდებას, ხოლო შემდეგ საზოგადოების შემოსავლების ზრდას. შესაბამისად, იზრდება მოხმარებისთვის განკუთვნილი დანახარჯები. რაც უფრო მაღალია სამომხმარებლო მოთხოვნა, მით უფრო დიდია ბაზრის ტევადობა და, მაშასადამე, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდისთვის. ეს გახლავთ ეკონომიკური ზრდის კეინზური კონცეფცია, რომლის გონივრული გამოყენებით იზრდება წარმოება, დასაქმება და აღმოიფხვრება ინფლაცია.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტის-მეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. გაიზარდა სახელმწიფო აპარატი, გადასახადები, სახელმწიფო ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი, გაძლიერდა ინფლაციური პროცესები, რამაც გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება. საბოლოოდ ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი პირობები „სახელმწიფო მინიმუმის" თეორიის ასაღორძინებლად. ამდენად XX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური მიმართულება „ნეოკლასიკური სინთეზის" სახით.

ამ თეორიის მიხედვით, ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის აუცილებელია მეურნეობრიობის ორიენტირება არა მოთხოვნაზე (როგორც კეინზიელები თვლიან), არამედ წარმოების ფაქტორების მოწოდებაზე, რაც წარმოების ზრდას, კაპიოტალის დაგროვების სტიმულირების საფუძველია. ამიტომ მათ წამოაყენეს ე.წ. „მიწოდების ეკონომიკის" თეორია.

იგი ეყრდნობა „ორივე ხელის" სტრატეგიას, ანუ როგორც კეინზურ, ისე „ნეოკლასიკოსთა" მიდგომებს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებულმა მსგავსმა „წონასწორობითმა" თეორიამ და მოდელებმა

ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანეს დანგრეულ და უწონასწორობაში მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკურ სისტემებს.

XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან „ნაოკლასიკური სინთეზის" ადგილი დაიჭირა „მონეტარულმა" თეორიამ მ. ფრიდმანის მონეტარული თეორია უმოკლეს დროში გახდა მსოფლიოს მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად და ეკონომიკის სტიმულირებისა და მდგრადი განვითარების გარანტად იქნა აღიარებული.

მონეტარიზმი ითვალისწინებს მაკროეკონომიკური რეგულირების სახელმწიფოებრივ შესუსტებას და საბაზრო ძალების გაძლიერებას. მონეტარისტების შეხედულებით ფისკალური პოლიტიკა (სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდა და გადასახადების შემცირება) რეცესიასთან ბრძოლაში არაა საჭირო. „ჩიკაგოს სკოლამ" მაკროეკონომიკური რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ბერკეტი, როგორიცაა **საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება** უკანა პლანზე გადასწია და წამყვანი როლი **ფულად-საკრედიტო** რეგულირებას მიანიჭა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რატომღაც საქართველოსთვის შეირჩა მონეტარული მოდელი, ხოლო უგულებელყოფილ იქნა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში ფართოდ აპრობირებული კეინზიანური მოდელი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში ჩაშენებული სტაბილიზატორის როლის გააქტიურებას.

ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის სასურველი იყო საფუძვლად დაგვედო კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორია და ეკონომიკაში საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეხამებით მიგვეღწია რეალური ეკონომიკის განვითარებისთვის.

კეინზური ეკონომიკური რეგულირების მეთოდი უზრუნველყოფდა სახელმწიფოს სოციალური ხარჯების გაზრდას, გადასახადების შემცირებას, კერძო სექტორის სუბსიდირებას, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებას, საშუალო ფენის გაძლიერებას, სამომხმარებლო კრედიტის გააქტი-

ურებას, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებას, საზოგადოებრივი სექტორის გააქტიურებას, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერებას, ქვეყანაში მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოების გადიდებას, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფას და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტრემის ჩამოყალიბებას.

ასევე, ხელისუფლების უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა ფულადი პოლიტიკის სწორად განსაზღვრა. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას და პარლამენტს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე თავის დროზე თავი დიდად არ შეუწუხებია.

ფულადი პოლიტიკა (ისე როგორც საკუთრების განსახელმწიფოებრიობის (პრივატიზების) განხორციელების გზები და მეთოდები) საქართველოში აშშ-მ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა თავიანთი სურვილების მიხედვით განსაზღვრეს და განახორციელეს.

ჯერ კიდევ გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე, ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად ქვეყანას (ისიც დაგვიანებით) შესთავაზეს კლასიკურ პოსტულატებზე აგებული პოლიტიკა.

1995 წლიდან 1998 წლამდე ლარის ფიქსირებული გაცვლითი კურსი არსებობდა, 1998 წლიდან მცურავი კურსი მართვად რეჟიმზე გადაიყვანეს, ხოლო 2004 წლიდან, ფაქტობრივად, ისევ რეგულირებად პოლიტიკას დაუბრუნდნენ.

ე.წ. ძვირი ფულის" პოლიტიკა, როგორც მოკლევადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკა სათანადოდ ვერ წაადგა საქართველოს ეკონომიკას. პირიქით, მან სხვა ქვეყნებშიც შექმნა მეტად რთული ვითარება და დაანგრია ეროვნული ეკონომიკა.

ამიტომ, ეკონომისტები სამართლიანად ალაპარაკდნენ ფრიდმანის მონეტარული მოდელის კრახის შესახებ. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, მონეტარულმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით მისმა ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა მოდელმა ინტელექტუალური კოლაფსი განიცადა. ეს შეფასება, ჩვენი აზრით, არაობიექტურია.

საკითხის ამ ასპექტში განხილვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული თეორია წარმოადგენს გენიალურ აღმოჩენას, რისთვისაც მ. ფრიდმენმა სამართლიანა დაიმსახურა ნობელის პრემია. მისი მონეტარული მოდელი ფართოდ იქნა გამოყენებული მრავალ ქვეყანაში. ეს კონცეფცია რ. რეიგანის ადმინისტრაციის და მ. თეთჩერის მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ბერკეტი იყო, ხოლო დღეს იგი წარმატებით გამოიყენება „გაწონასწორებული" ეკონომიკის ქვეყნებში. მ. ფრიდმანის მონეტარული თეორია შექმნილია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის და მისი გამოყენება არ შეიძლებოდა საბიუჯეტო სისტემამოშლილ, ეკონომიკურად და ფინანსურად არასტაბილურ, სტრუქტურულად დეფორმირებული, გაუწონასწორებელი ეკონომიკის და დოლარიზაციის საოცრად მაღალი დონის ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა „ვალუტის მცურავი კურსი" საქართველოს თავს მოახვიეს, როგორც ექსპერიმენტი. მათ აინტერესებდათ თუ როგორ გაამართლებდა ეს მეთოდი ეკონომიკურად ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში როგორიც საქართველოა.

ამდენად, საქართველოში თანამედროვე ეტაპზე სწორი არ აღმოჩნდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტების და საბაზრო ძალების გაძლიერების მონეტარული ღონისძიებები, მათ რეცესიასთან ბრძოლის ძირითად გზად მიიჩნიეს არა მატერიალური წარმოების ზრდა და სწორი საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება, არამედ წამყვანი როლი მხოლოდ ფულად-საკრედიტო რეგულირებას მიანიჭეს.

მონეტარულმა მოდელმა გამოიწვია ეკონომიკური რეგულირების მკვეთრი შეზღუდვა და საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების შესუსტება.

ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებამდე მიყვანამ და წინა

პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა **ვირტუალურ ეკონომიკას** და ქვეყანას კრიზისისკენ უბიძგა. საბოლოო მიზანი სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოება. ეს აქსიომალური ჭეშმარიტება ვერ გაათვითცნობიერა საქართველოს ხელისუფლებამ.

საქართველოში ფინანსური კრიზისი გამოიხატა ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებით. საქართველოში „მკაცრი ფულადი პოლიტიკის" გზით ინფლაციის დათრგუნვის უალტერნატივო შემოღებამ უკიდურესად დასცა ქვეყანაში ერთობლივი მოთხოვნა, რამაც სამომხმარებლო მოთხოვნასთან ერთად საინვესტიციო მოთხოვნის მკვეთრი დაცემა გამოიწვია, ხოლო დაბალმა საინვესტიციო მოთხოვნამ, თავის მხრივ, განაპირობა ეკონომიკის ძლიერი მონოპოლიზაცია, ჩამოყალიბდა ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურა, ყოველივე ამას მოჰყვა საბიუჯეტო-საფინანსო კრიზისი, რომლისგანაც თავის დაღწევა უკვე მეოთხედი საუკუნეა ვეღარ ხერხდება.

საქართველოს ეკონომიკა დღეს ისეა მიხრწნილი, რომ მას არა აქვს მშპ-ს მაღალი ტემპებით განვითარების შესაძლებლობა, არ ძალუძს ინვესტიციებისა და დაგროვების მატერიალური წარმოების სფეროში განთავსება, არ შეუძლია იმპორტშეცვლის პოლიტიკის განხორციელება, ქვეყანამ 25 წლის მანძილზე ვერ დაძლია სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი, იგი ფლობს კოლოსალური ოდენობის საგარეო ვალს და ა.შ.

ასეთ სიტუაციაში სავსებით ლოგიკურია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდა და გადასახადების შემცირება, ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერება და ა.შ.

ამდენად, სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს არსებული ფულადი პოლიტიკა, რომელიც საქართველოში წარმოების უკიდურესი დაქვეითების საინვესტიციო მოთხოვნის დაცემის და, საბოლოო ანგარიშით ინფლაციის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა.

საქართველო გარკვეული დროით აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ფიქსირებულ კურსს. ამჟამად ძალიან ბევრი ქვეყანა ლათინურ ამერიკასა და აზიაში იყენებს ფიქსირებულ კურსს.

ეს სრულიადაც არ ნიშნებს, რომ ყოველი მომენტისათვის ლარის ერთი და იგივე კურსი იქნება (მერყეობა შენარჩუნდება მცირე ფარგლებში). ამ შემთხვევაში კომერციული ბანკები თავისუფლად გავლენ სავალუტო ბაზარზე, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ კურსის ცვლილებაზე.

მცურავი კურსი საქართველოში სასურველი იყო (ძვირი ფულის პოლიტიკის შემოღებამდე) შემოგვეღო დოლარიზაციის საშიში დონის ჩამოყალიბებამდე, მანამ ლარის კურსი მტკიცე იყო. მართალია ამას ფაქტობრივად ფასების ზრდა მოჰყვებოდა, მაგრამ გაცილებით უმტკივნეულოდ გადაწყდებოდა სავალუტო პრობლემა. ქვეყანა ხელოვნური ინტერვენციების გზით ასეული მილიონობით დოლარი „გადაყრას" გადარჩებოდა.

საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დროა დაგმოს ოკეანეს-გაღმელი „მეგობრების" მიერ თავსმოხვეული მაკროეკონომიკური რეგულირების (ქვეყნის სინამდვილისთვის მიუსადაგებელი) კონცეფციები და მოდელები. უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნისთვის მისაღები ეკონომიკური ზრდის მსოფლიო მასშტაბით აპრობირებული მოდელებისა და კონცეფციების გამოყენება.

დღეს მსოფლიოში დაახლოებით მხოლოდ 20-მდე ქვეყანაა, სადაც სავალუტო კურსის რეგულირების „თავისუფალი ცურვის" ვარიანტს იყენებს. დანარჩენი მსოფლიო ფაქტობრივად ეროვნული ვალუტის „ფიქსირებული კურსით" ცხოვრობს და მუშაობს. ასევე, პოსტკომუნისტური სივრცის ყველა ქვეყანა დღემდე „ფიქსირებული კურსის" რეჟიმს იყენებს.

საქართველოში **1995 წლის** შემოდგომიდან **1998 წლის** ბოლომდე ეროვნულ ვალუტას (ლარს) „ფიქსირებული გაცვლითი კურსი" ჰქონდა (1$ = 1.30 ლარი).

1999 წლიდან გაცვლითი კურსი შეიცვალა და „რეგულირებადი მცურავი კურსის" რეჟიმში გადავიდა.

2004 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს

„ზომიერად მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას", რომლის დროსაც ფულადი მასის მოწოდება მიმოქცევის არხებში ხდება რეალური ეკონომიკური ზრდის პროპორციულად.

იმის გამო, რომ ამ ეტაპზე საქართველოში რეალური ეკონომიკის ზრდას ფაქტიურად ადგილი არა აქვს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ატარებს საკმარისად მკაცრ ხასიათს. მხოლოდ ძნელად და დროებით ინარჩუნებს ლარის კურსის სტაბილიზაციას. მაგრამ, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე და მის შემგომ განვითარებაზე ზემოქმედებას ვერ ახდენს.

მართალია, ის, რომ 2004 წლიდან 2008 წლის გაზაფხულამდე ლარს სტაბილური გამოყენების პერიოდი ჰქონდა, მაგრამ ძირიადად განპირობებული იყო უცხოური ინვესტიციების, საგარეო ვალების, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების და საერთაშორისო გრანტების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდით, რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის გავლენით ლარის კურსის განმტკიცებას, ასეთ შემთხვევას ადგილი დამოუკიდებელ საქართველოში არასდროს ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ ვალუტის გაცვლითი კურსის რეჟიმის სწორად შერჩევა, ნებისმიერი ქვეყნისთვის იყო, არის და ყოველთვის იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელზედაც დამოკიდებულია ეკონომიკისა და ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ნორმალური ფუნქციონირება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ სავალუტო კურსის რეგულირების (ზემოთ ჩვენს მიერ განხილული) ერთმანეთისგან განსხვავებული ვარიანტების ექსპერიმენტული მიზნებით გამოყენებამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მონეტარული მოდელები არ აღმოჩნდა ცალკეულ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის და ეროვნული ინტერესების შესაბამისი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა ე.წ. „ძვირი ფულის" პოლიტიკა.

საქართველოში მკაცრმა (ძვირი) ფულის პოლიტიკამ (დოლარიზაციის მაღალი დონის პირობებში) არახელსაყრელი შედეგი გა-

მოიღო. გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი, მოშალა ფინანსური სისტემა და ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

წლების მანძილზე ქვეყნის სავალუტო სტაბილურობის შენარჩუნების ფაქტორად გამოიყენებოდა ბიუჯეტის ემისიით დაფინანსება. ფულის მასის ზრდის საჭიროება გამოწვეული იყო არა ეკონომიკური ზრდით, არამედ საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსება-დაკრედიტების აუცილებლობით.

სახელმწიფო იღებდა სესხად დოლარს, ყიდდა მას ლარებზე 1$ = 1.30; 1.37; 2.10; 2.50 შეფარდებით და დოლარის ორჯერ ნაკლები რაოდენობით იხდიდა ვალებს, ეროვნული ვალუტის კურსის ასეთი კორექტირების შედეგად (ინფლაცირებული ლარით) ფარავდა პენსიებსა და ხელფასების დავალიანებას და ა.შ.

სამწუხაროდ ეს დღესაც ასე ხდება.

„ძვირი ფულის" უმთავრესი მიზანი მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა იყო. „ძვირი ფულის" პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკას ვერ წაადგა, პირიქით, მისი მულტიპლიკაციური ეფექტი ეკონომიკის არასტაბილურობის და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა. რაც მთავარია „ძვირი ფულის" პოლიტიკამ ვერ უზრუნველყო ქვეყანაში ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება.

აღნიშნულმა მოვლენებმა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნებაზე. გაიზარდა ქვეყნის შიგა ვალი და ეროვნულ ბანკში შემცირდა უცხოური ვალუტის რეზერვები.

წარუმატებელი აღმოჩნდა „ძვირი ფულის" პოლიტიკა, თავისი მცურავი სავალუტო კურსით, რომელიც გათვლილი არ იყო საქართველოსთვის. „ძვირი ფულის" პოლიტიკა, როგორც ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, საქართველოში გამოიხატა ფულის მიწოდების შეზღუდვით, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებით (შესაბამისად, ფულის მულტიპიკატორის შემცირებით), საპროცენტო განაკვეთის გაზრდით. აღნიშნულის შედეგად ჩაკვდა ეროვნული წარმოების განვითარება.

ამას მოჰყვა საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობის დამუხრუჭება, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შემცირება. შიგა ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემა, საგადასახადო ბაზის შეკვეცა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, საგარეო დავალიანების ზრდა და საგადასახადო ბალანსის დეფიციტი, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და სხვ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანას ლარი მოჩვენებითი სიმტკიცე მილიარდები დაუჯდა, კერძოდ არაერთგზის გამოილია უცხოური სესხებით რამდენჯერმე შევსებული ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები, წლების მანძილზე ნასესხები ფულით ხდებოდა ქვეყნის სავალუტო კურსის შენარჩუნება და ამისთვის იხარჯებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის სადოლარო ტრანშები. ამ ვითარებაში კი საქართველოს ეკონომიკა ნაღდი ფულის უკმარისობით იხრჩობოდა.

საქართველოს მთავრობებს არ უნდა გამოეყენებია დასავლეთის კონსულტანტთა მზა რეცეპტები და უნდა მოეთხოვა მისთვის შემუშავებული მოდელი. მეგობრებს (საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს) მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით უნდა შეერჩიათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სხვა გზები. კერძოდ საჭირო იყო სახელმწიფო ეკონომიკური როლის გაძლიერება, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების შენარჩუნების პირობებში - წარმოების მოდერნიზაციით, პროგრესული სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკით, ადგილობრივ მწარმოებელთა დაცვით, ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებით და ა.შ. საჭირო იყო ძლიერი სახელმწიფო სექტორის შექმნა.

ტექნიკური წარმოებრივი სტაბილიზაციის ასეთი კლასიკური მაგალითები ბევრია მსოფლიოში. ჩინეთმა, იაპონიამ, ევროპისა და აზიის ბევრმა ქვეყანამ ამ მხრივ დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით.

§7. მთავრობისა და მისი ეკონომიკური გუნდის წარუმატებელი საქმიანობა

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე მოყოლებული, ყველა მთავრობა თავგამოდებით ცდილობდა ხალხის დაჯერებას, რომ მხოლოდ ისინი შეძლებდნენ ქვეყნის ეკონომიკის აყვავებას, მაგრამ სამწუხაროდ, ვერცერთმა მათგანმა ვერ გაამართლა ერისა და ქვეყნის იმედები.

დამოუკიდებლობის მთელი 25 წლის პერიოდში ვერ უზრუნველყვეს ეკონომიკური ზრდის სასურველი ტემპები.

ა) ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები

ეკონომიკური ზრდის პრობლემა სამეურნეო საქმიანობის დასაბამიდან ყოველთვის იდგა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ წინა პლანზე იგი განსაკუთრებით წამოსწია საბაზრო ეკონომიკამ.

ცივილიზებულ სამყაროში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკურ პოლიტიკაში მიეღწიოს წარმატებისთვის ეკონომიკური ზრდის თეორიისა და შესაბამისი მოდელის გამოყენების გარეშე.

პრაქტიკაში საბოლოოდ ეკონომიკური ზრდა ძირითადად განისაზღვრება მთლიანი შიგა პროდუქტების (მშპ) დინამიკით.

ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება მიწოდების, მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებით. სწორედ ამ ფაქტორების გამოყენება იძლევა წარმოების ფიზიკური ზრდის და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას. ასევე, ამ ფაქტორების შერჩევისა და გამოყენების შინაარსით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ამა თუ იმ ქვეყნის მიერ შერჩეული ეკონომიკური ზრდის მოდელები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკურ ზრდაში ზემოთ განხილული ყველა ფაქტორი მონაწილეობს, მაგრამ

არათანაბრად, რამდენადაც ნებისმიერ ქვეყანას აქვს ამა თუ იმ ფაქტორის გამოყენების უპირატესობა. ბუნებრივია, რაც უფრო ოპტიმალურია ამ ფაქტორების კომბინაცია, მით უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდა და მისი სტაბილურობა.

როცა ამა თუ იმ ქვეყანაში იწყება ეკონომიკური განვითარების სტრუქტურისა და მექანიზმების გამოყენების რადიკალური რეფორმა, მაშინ, ბუნებრივია, დგება მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ეროვნული მოდელებისადმი დიდი მეცნირული და პრაქტიკული ინტერესი, რადგან მათგან შეირჩეს ყველაზე მისაღწევი (მისადაგებული) და მიმზიდველი ვარიანტი.

ასეთი ნიმუშების შერჩევის პრაქტიკა დამახასიათებელი იყო ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის. XX საუკუნის ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში, აგრეთვე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ოთხმოციანი წლების დამდეგს მათი სოციალურ-პოლიტიკური სისტემების ძირეულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით.

მსოფლიო მეურნეობაში ეფექტიანი ეროვნული მოდელებით გამოირჩევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ჯგუფი – სინგაპური, კორეა, ახალი ზელანდია და სხვ.

ასევე, გერმანიის ეკონომიკური განვითარების მოდელი XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებსა და სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში, მექსიკისა და ბრაზილიის „სასწაული" (სამოციანი და სამოცდაათიანი წლები) და ა.შ.

განვითარებული ქვეყნებიდან გამოიყოფა მოდელების სამი ჯგუფი – ლიბერალური, სოციალურად ორიენტირებული და სოციალ-დემოკრატიული. საოცარია ის, რომ საქართველოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების არავითარი მოდელი და კონცეფცია დღემდე არ გააჩნია.

საქართველოში არ გაითვალისწინება ეკონომიკური ზრდის ფაქტორთა ფუნქციონალური დამოკიდებულების შედეგების შესახებ კლასიკური, ნეოკლასიკური , კეინზიანური, მონეტარული და ა.შ. თეორიის მოთხოვნები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2015 წლის მონაცემებით

190 ქვეყნიდან საქართველო ნომინალური მშპ-ის მოცულობის მიხედვით 116-ე ადგილზე იყო და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან უსწრებდა მხოლოდ სომხეთს, ყირგიზეთს, მოლდავეთსა და ტაჯიკეთს. 2014 წელს მსოფლიოში ეკონომიკურად საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში რეალური მშპ-ის მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს მინიმუმ 5000-12000 აშშ დოლარს, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი საქართველოში 3800 აშშ დოლარს არ აღემატება.

1995-2014 წლებში ქვეყნის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 4.4%-ს არ აღემატება და მთელი 2 წლის განმავლობაში იგი ფაქტობრივად ერთნიშნა რიცხვს არ ასცილებია.

ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის დაბალ ტემპებთან ერთად, დამახასიათებელია ზრდის ტემპების (არასტაბილურობის) მერყეობის არასასურველი ტენდენცია.

ექსპერტების გათვლით, ღარიბი ქვეყნებისთვის ეკონომიკური ზრდის მინიმალურად მისაღებ საშუალო წლიურ ტემპად დადგენილია 5-6%-იანი ზრდა. როცა, რეალურად, საქართველოსთვის მიუწვდომელია. მშპ-ის ზრდის ტემპები კი არ უნდა მერყეობდეს, არამედ მას მყარი და მზარდი ტენდენცია უნდა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში მშპ-ის ზრდის ტემპებში მცირეოდენმა განსხვავებამ დროთა განმავლობაში შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დონეზე.

პოსკომუნისტური ქვეყნების მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზის მონაცემებიდან ჩანს, მშპ-ის წარმოების **რეფორმამდელი 1990 წლის დონე 2008 წლისთვის (ზოგიერთს უკვე 2003 წლისთვის) თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა დაძლეული, ხოლო ეს დონე დღესაც არა აქვს მიღწეული მოლდავეთს, საქართველოს და უკრაინას.**

ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ეკონომიკური ზრდა ერთ ადგილს ტკეპნის. **ოთხი ძირითადი მაჩვენებლიდან (ერთობლივი მოთხოვნა, ინვესტიციები, წმინდა ექსპორტი და სამთავრობო ხარჯების შემცირება) რომლებზედაც დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდა, ყველა**

უარყოფითია. ქვეყნის მდიდარი ეკონომიკური პოტენციალის და სხვა ფაქტორების გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, მთავრობებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ ყველა პირობა შეექმნათ ეკონომიკის საიმედოობის ასამაღლებლად და ქვეყანა შედარებით დამოუკიდებელი და ნაკლოებად დაქვემდებარებული ყოფილიყო ერთი რომელიმე სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ჯგუფის, ან მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა ბლოკებისაგან, მაგრამ საქართველოს მთავრობებმა ეს ვერ გააკეთეს. თავიანთი უნიათობის გამო, დამოუკიდებლობის მთელ პერიოდში ვერ უზრუნველყვეს ეკონომიკური ზრდის სასურველი ტემპები.

მაშასადამე, საქართველოში ბოლო 25 წლის მანძილზე ეკონომიკური ზრდის დაბალმა ტემპებმა ვერ გამოიწვია სათანადო ცვლილებები ეროვნული ეკონომიკის სტუქტურაში, ვერ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, საჭირო ინვესტიციების მოზიდვა, მთლიანი ხარჯის დონის ამაღლება და მათი წარმოებრივი დანიშნულებით გამოყენება.

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა განაწილებითი ურთიერთობების დეფორმირებამ, ვერ დაამყარეს ეკონომიკური დისციპლინა, ვერ შექმნეს წამოებისა და მართვის სრულყოფილი სამეურნეო მექანიზმი და ეკონომიკური პოლიტიკა. ხელი ვერ შეუწყეს მეწარმეობის განვითარებას და ვერ მოახერხეს პოზიტიური ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, განსაკუთრებით ფულად-საკრედიტო ურთიერთობებზე.

ბ) საგარეო ვაჭრობა

საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ განიხილება საგარეო ვაჭრობა.

საქართველოს საექსპორტო კვოტა (ქვეყნის ექსპორტის შეფარდება მთლიან შიგა პროდუქტთან) მნიშვნელოვნად დაბალია (18%) და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირ-ურთიერთობის ვიწრო მასშტაბებზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში იმპორტის წილი მუდმივად აღემატება ექსპორტის წილს, რაც განაპირობებს საგარეო ვაჭრობის ქრონიკულ უარყოფით სალდოს. ქვეყანაში განუვითარებელი ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს შიგა ბაზრის მოთხოვნილებას, ამიტომ შიგა ბაზრის დამოკიდებულება იმპორტულ საქონელზე მეტად დიდია. არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა, რომელშიც სჭარბობს ბუნებრივი რესურსები და ნედლეული. მიუხედავად ამისა, ბევრი ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყანას აქვს აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა, შემოდის უცხოეთიდან, ერთობლივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი იმპორტირებული საქონლით კმაყოფილდება. ექსპორტში სჭარბობს სანედლეულო, ხოლო იმპორტში სამომხმარებლო საქონელი. ექსპორტის შემოსავლებით იფარება იმპორტის მხოლოდ 33-35 %. ყოველწლიური დეფიციტი 450-500 მლნ დოლარია, ხოლო 1994-2014 წლების საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა 10.0 მლრდ დოლარი შეადგინა. საგარეო ტემპებით ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბებული მდგრადი ხასიათი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უაღრესად დამაფიქრებლია. იგი ამცირებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუარესებს საგადამხდელო ბალანსს და ხელს უწყობს ინფლაციური პროცესების განვითარებას. ამდენად, საქართველოს ხელისუფლებამ მომავალში ექსპორტის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობებმა 25 წლის მანძილზე ვერ შეძლო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტების აღმოფხვრა, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაზე. მთავრობა არასოდეს არ წასულა სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის გაუმჯობესების და ეფექტიანობის ამაღლების გზით. იგი ყოველთვის ბიუჯეტის დეფიციტის ხელოვნური შემ-

ცირებით იყო დაინტერესებული. ამცირებდა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯებს, ხოლო დაფინანსების წყაროდ კი შედარებით იოლ (არასაბიუჯეტო შემოსავლების) გზას ირჩევდა. ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად ჯერ ერთნახევარმილიარდი ლარის შიგა ვალი, მერე პრივატიზებიდან მიღებული ოთხი მილიარდი ლარის და ბოლოს მთელი აქცენტები საგარეო ვალების გამოყენებაზე გადაიტანეს და 13.5 მილიარდი დოლარი ვალი დააგროვეს.

2008 წლის აპრილში კი საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში ევროობლიგაციები განათავსა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში იმ დროს ამის საჭიროება არ იყო. ევროობლიგაციების გამოშვებით ქვეყნის საგარეო ვალი 500 მილიონი დოლარით გაიზარდა, რომელზეც საქართველო სარგებლის განაკვეთის სახით წელიწადში 7.5% განისაზღვრა.

მაშასადამე, მთავრობამ თავისი ქარაფშუტული მოქმედებით უხეშად დაარღვია ფულადი პოლიტიკისადმი საბიუჯეტო პოლიტიკის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის ელემენტარული მოთხოვნა.

აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სისტემის შექმნა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხარჯების სტრუქტურას, თუ რამდენად ეფექტიანად უნდა დაიხარჯოს იგი.

2013-2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი (35%) დაიხარჯა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე. წინა პერიოდთან შედარებით, ხარჯების გაზრდა სოციალურ უზრუნველყოფაზე 16%-ით, სუბსიდიებზე 22%-ით, შრომის ანაზღაურებაზე 17%-ით. აგრეთვე ჯანმრთელობის უნივერსალური დაზღვევის და მშობიარობის მომსახურების სუბსიდიების გადიდებაზე. მან ხარჯები გაზარდა საქონლისა და მომსახურების წარმოების დაფინანსების შემცირების ხარჯზე, რაც 2013 წლის ეკონომიკის ზრდის შემაფერხებელი გახდა და განაპირობა 2014 წლის ეკონომიკის ჩამორჩენილობა.

ასევე ვერ განხორციელდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების სრული ათვისება. ვერ მოხდა საჯარო ფინანსების რაციო-

ნალური განკარგვა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. არ იქნა გათვალისწინებული ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით სენსიტიურია საჯარო სექტორში განხორციელებული ცვლილებების მიმართ.

ყოველწლიურად გაუაზრებელი სოციალური ხარჯები, ჭარბი სუბსიდიები, დაუსაბუთებლად გაზრდილი ხელფასები, პრემიები და პენსიები, ტარიფების სისტემატური და არასწორი კორექტირება ამცირებს ბიუჯეტში იმ სახსრების მოცულობას, რომლებიც საჭიროა საგარეო ვალების გასტუმრებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

დ) ტურიზმი

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმს ბოლო წლების განმავლობაში 3-7% უჭირავს. ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს (მის ზრდას ან შემცირებას) მხოლოდ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა შეუძლია ლარის კურსის გაუფასურებაზე ან განმტკიცებაზე. მაგრამ, მომავალში ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ტურიზმის სათანადო განვითარებისთვის, რამდენადაც საქართველოს გააჩნია მდიდარი ბუნებრივი, კულტურუ-ისტორიული, საკურორტო-სამკურნალო დანიშნულების პოტენციალი, თუმცა დღეისთვის საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველო აუტსაიდერის მდგომარეობაში იმყოფება.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მდგომარეობს ტურიზმის სფეროს სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებაში. ოპტიმალურად უნდა განისაზღვროს საქართველოს ადგილი და მონაწილეობა საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარებაში. ობიექტურად უნდა შეფასდეს საქართველოს რესურსული პოტენციალი, ტურიზმის ნაკადების მოცულობა და მიმართულებები. ტურიზმმა უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის შემდგომ განვითარებაში, რამდენადაც იგი უნდა გახდეს შემოსულო-

ბათა მნიშვნელოვანი წყარო და მოსახლეობის დასაქმების საიმედო უზრუნველყოფის საშუალება. ამასთან, ტურიზმმა ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიცირებას, მომსახურე დარგების – მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო მოხმარების სქონლის წარმოების, კავშირგაბმულობისა და ა.შ. განვითარებას.

ე) ფულადი გზავნილები

საქართველოს ეკონომიკაში ფულადი გზავნილები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ბოლო წლებში მისი მოცულობა აღემატება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2011 წელს საქართველოში შემოსული გზავნილები მხოლოდ 1268 მლნ დოლარს შეადგენდა, 2014 წელს კი მნიშვნელოვნად მეტი – 1442 მლნ აშშ დოლარი შემოვიდა, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, მხოლოდ 2,45%-ით შემცირდა. ფულადი გზავნილების ოდენობა შემცირდა რუსეთიდან 11-5%-ით, ხოლო უკრაინიდან 30%-ით (მისი 2013 წელთან უმნიშვნელოდ (2.45%-ით) შემცირება ლარის კურსის გაუფასურების მიზეზი არ შეიძლებოდა გამხდარიყო).

ექსპერტთა დასკვნებით, ეს მიგრანტების ფულადი გზავნილების ნაკადის მხოლოდ ნაწილია, რადგანაც იგი მარტოოდენ ოფიციალური არხებით, ანუ უშუალოდ საბანკო ანგარიშებით და სხვა ელექტრონული საშუალებებით გადმორიცხულ თანხებს მოიცავს. მათი აზრით, **ნაღდი ფულის სახით** გამოგზავნილი თანხების ოდენობა მიმღებ ქვეყნებში (და მათ შორის, საქართველოში) ოფიციალური ფულადი გზავნილების მოცულობის 30-დან 50%-მდე მერყეობს.

ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ფულადი გზავნილების აგრეგატული მოცულობის სწორად განსაზღვრას (გაანგარიშებას). საჭიროა ამ უკანასკნელის მშპ-ის და სხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებთან შედარების გზით დადგინდეს

მისი მასშტაბები და გავლენა ქვეყანაში **სავალუტო ნაკადების შემოდინებაზე, ინფლაციაზე,** ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ვითარებაზე.

ფულად გზავნილებს უდიდესი გავლენა აქვს ეკონომიკურ აქტივობაზე მიმღებ ქვეყანაში. დადგენილია, რომ გზავნილების უშუალოდ ბიზნესში დაბანდებას ან ფინანსურ სექტორში განთავსებას უფრო მეტი მაკროეკონომიკური ეფექტი აქვს, ვიდრე მათ მოხმარებაზე წარმართვას.

ემპირიული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ განვითარებად ეკონომიკაში შემოსული ყოველი „მიგროდოლარი", საბოლოო ჯამში, საქონელსა და მომსახურებაზე 4 აშშ დოლარის სიდიდის მოთხოვნას წარმოშობს.

მსოფლიო ბანკმა შეისწავლა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა სივრცის ექვსი ქვეყნის შინამეურნეობათა მიერ ფულადი გზავნილების სახით მიღებული შემოსავლების ხარჯვა.

გაირკვა, რომ მოხმარებაზე შინამეურნეობები ხარჯავენ საშუალოდ გზავნილების 30%-ზე მეტს. განათლებაზე 15%-ს, ხოლო დაგროვებაზე – 10%-ზე მეტს. შედარებით მოკრძალებულია უშუალოდ ბიზნესში ინვესტირების წილი – იგი მხოლოდ 5%-ს უდრის. გამოდის, რომ მოხმარებაზე ორიენტირებული ფულადი გზავნილების მესამედზე მეტი, ხოლო დაგროვებასა და ინვესტირებაზე დაახლოებით 16%.

როგორც ემპირიული დაკვირვება აჩვენებს, აღნიშნული თანხების აკუმულირებას მიგრანტი იმთავითვე გარკვეული მიზნით ახდენს, კერძოდ, უძრავი და სხვა სახის ქონების შესაძენად, ოჯახის წევრის ან საკუთარი განათლების ხარჯების გასასტუმრებლად. ბინის რემონტისთვის, ბანკში დეპოზიტზე შესატანად, ბიზნესში ინვესტირებისთვის და სხვ.

გამოკვლევების შედეგად, დაბრუნებული ქართველი მიგრანტის მხოლოდ 20-მა პროცენტმა მოახერხა შემოსავლიანი საქმიანობის წამოწყება, მაშინ, როდესაც 40% იძულებულია დანაზოგები პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოახმაროს.

3) ინვესტიციები

საქართველო წმინდა ეროვნული პროდუქტის ღირებულებიდან უფრო მეტს იყენებს მოხმარებისთვის და საკუთარი დანაზოგები ეკონომიკაში დაბანდებისთვის არ რჩება. ე.ი. ქვეყანაში შიგა ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად დაბალია. დღეს საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა დანაზოგების წყაროს არარსებობაა, ამიტომ საქართველო ამ მხრიც, ძირითადად, პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული.

გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე წარმოქმნილ მოვლენებთან დაკავშირებით ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა შეუძლებელი იყო და მშპ-ის საერთო მოცულობაში ინვესტიციების ხვედრითი წონა 0.1 პროცენტს არ აღემატებოდა.

საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრაციამ მხოლოდ 1997 წლიდან შეუქმნა რეალური წანამძღვრები ინვესტიციური ბაზრის ფუნქციონირებისთვის. საქსტატის მონაცემებით 1995-2014 წლებში საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 14 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ინვესტიციების ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ის ღირებულებაში დაბალია და იგი 4.1%-ს არ აღემატება.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა 2006-2008 წლებში. აღნიშნულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითმა წილმა მშპ-ის ღირებულებაში შესაბამისად 8.6; 11.9 და 8.2 პროცენტი შეადგინა. ეს ძირითადად განაპირობეს მრავალმხრივი და ორმხრივი კრედიტორებისგან აღებულმა საგარეო სესხებმა. დიდი რაოდენობით აღებულმა გრანტებმა და დახმარებებმა. რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების აღმოსაფხვრელად, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებმა საქართველოს 4.5 მლრდ აშშ დოლარით „დაასაჩუქრეს“ ომში დაუხმარებლობის „დანაშაულის“ გამოსასყიდად.

სამწუხარო ფაქტია ის, რომ საქართველოში გამოყენებული

ინვესტიციების დიდი ნაწილი (70%) გამოყენებულია არაწარმოებრივი დანიშნულებით, კერძოდ, მომსახურების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მეურნეობის, საფინანსო-საბანკო, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ა.შ. სფეროებში. ამიტომაა, რომ საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჯეროვანი დადებითი გავლენა ვერ მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. სწორედ აღნიშნულის შედეგია ის, რომ დღეს საქართველოში არ მოიძებნება შემოდინებული უცხოური ინვესტიციების გამოყენებით აშენებული მატერიალური წარმოების სფეროს ისეთი საწარმოები, რომელთა წარმოებული საქონელი შეცვლიდა საიმპორტო საქონლის სტრუქტურას, იქნებოდნენ იმპორტშეცვლის საშუალება და საბოლოოდ გამოიწვევდნენ ქვეყნის სავალუტო ხარჯების შემცირებას.

ეროვნული მეურნეობის მატერიალური წარმოების სფეროში ინვესტიციების გამოუყენებლობამ გამოიწვია მისი მნიშვნელოვანი დარგების ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის ფიზიკურად და მორალურად მოძველება. ამჟამად საქართველოს მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის ცვეთამ უკვე 70%-ს გადააჭარბა.

დღეს ქვეყანაში არ არსებობს უცხოური ინვესტიციების გამოყენების პრიორიტეტული ორიენტირებულობის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა-მონახაზი, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ვერ ხერხდება საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების რეალიზაცია და ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაცია მიმდინარეობს სტიქიურად. ქვეყანაში წლების განმავლობაში ვერ შეიქმნა პოლიტიკური ნება რეალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისთვის. მთავრობებმა ვერ გაითავისეს მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი მაჩვენებელი როგორც უცხოური, ისე საკუთარი ეროვნული ინვესტიციების მნიშვნელოვანი მოცულობის გამოყენებაა.

დღეს საქართველოში ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევისა და ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში

განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ინვესტიციების პროგრამების შემუშავება, რაც საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია. ეს ხდება მაში, როდესაც საქართველოს გააჩნია ყველა ქვეყნისთვის შესაშური (ბუნებრივი, კლიმატური, მატერიალური, სამეცნიერო-ტექნიკური, შრომითი ერთობლივი რესურსების) პოტენციალი, რომლის ათვისება და გამოყენება უნდა მოხდეს საკუთარი ან უცხოური საინვესტიციო სახსრების გამოყენების გზით.

საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში და მას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური სტრუქტურული გარდაქმნების კონცეფცია, პროგრამები და პროექტები, საჭიროა რეალური პროგრამების მიღება თუ სად, როდის და რა მიმართულებითაა მიზანშეწონილი ინვესტიციების დაბანდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე მეტად დიდია, მათი მცირეოდენი შემცირებაც კი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირებაზე.

ზ) სახელმწიფო ვალი

როგორც გაანგარიშებები ადასტურებენ საქართველოს **სახელმწიფო ვალი** (სახელმწიფო სექტორის, სამთავრობო და ფულად-საკრედიტო ორგანიზაციების, კერძო სექტორის, კომერციული სტრუქტურების, ფირმების, იურიდიული და ფიზიკური პირების, კოოპერატივების) და ქვეყნის სახელმწიფო შიგა ვალის მთლიანი მოცულობა შეადგენს 15 მლრდ აშშ დოლარს.

ქვეყანაში საგარეო ვალის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 3100 დოლარს, ხოლო შიგა ვალი 242 ლარს შეადგენს, რაც ისეთი ეკონომიკურად დაუბალანსებელი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა საკმაოდ დიდ ტვირთს წარმოადგენს.

საქართველოს საგარეო ვალების მოცულობის ზრდამ საში-
ში მასშტაბები შეიძინა და ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე
პოლიტიკური დაკაბალების საფუძვლად იქცა. იგი როგორც
მიმდინარე, ისე შორეულ პერსპექტივაში სერიოზულ საფრთხეს
უქმნის ეროვნულ დამოუკიდებლობას.

2003 წლის ბოლოს ხელისუფლებაში მოსულმა „ნაცმოძრაო-
ბის" მთავრობამ ინტენსიური მოლაპარაკებები გამართა კრედი-
ტორებთან წინა ხელისუფლების დროს აღებული (1.8 მლრდ აშშ
დოლარი) ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რომლის თა-
ნახმად განხორციელდა ძირითადი ვალის დაფარვის გადავადება
2009 წლამდე. გადავადების მთელ პერიოდში საქართველოს იხ-
დიდა მხოლოდ ვალის საპროცენტო და არა მის ძირითად ნაწილს.
ახალ ხელისუფლებას, ნაცვლად იმისა, რომ 2003-2009 წლებში
რადიკალური ზომები მიეღო უკვე ვადადამდგარი სავალო ვალ-
დებულებების დაწესებულ ვადებში გადასახდელად, მოქმედებ-
და პირიქით, ახალ კრედიტებს იღებდა და კიდევ უფრო ზრდიდა
ქვეყნის საგარეო დავალიანებას. ასეთი არასწორი პოლიტიკის შე-
დეგად საქართველოს საგარეო დავალიანება საერთაშორისო საფ-
ინანსო ინსტიტუტების (ე.წ. მრავალმხრივი კრედიტების) მიმართ
1.231.8 მლნ დოლარამდე, ანუ 34%-ით გაიზარდა. ახალი ვალები
იქნა აღებული მსოფლიო ბანკიდან 530.1 მლნ. დოლარი, სოფლის
მეურნეობის საერთაშორისო ფონდიდან 9.3 მლნ. დოლარი, ხოლო
საქართველოს მთავრობის მოთხოვნით 2007 წელს ქვეყანაში 500
მლნ. ევრობლიგაცია განთავსდა.

აღნიშნულის შედეგად სახელმწიფო საგარეო ვალი 2003
წლის 1774.6 მლნ. აშშ დოლარიდან 2007 წელს 2924.9 მლნ. აშშ
დოლარამდე ანუ 64.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წლის აგვის-
ტოში ამ თანხის დაემატება რუსული აგრესიით დაზარალებული
საქართველოსთვის მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებისა და
საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ბრიუსელის
დონორთა კონფერენციაზე გამოყოფილი 4.5 მლრდ. დოლარის
დიდი ნაწილი.

ამდენად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო დავალიანებს

5 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა, თითქმის გასამმაგდა.

სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო ვალის მოცულობა ზუსტად არაა დადგენილი, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვალის აღრიცხვასა და მართვაზე პასუხისმგებელია სამი უწყება – ფინანსთა სამინისტრო (სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი), ეროვნული ბანკი და სტატისტიკის სახელმწიფოს სამსახური. მათ საკუთარ საიტებზე განთავსებული მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავებულია და, რა თქმა უნდა არცერთი სწორი არ არის. ფინანსთა სამინისტრო ქვეყნის სახელმწიფო სავალო დავალიანებად მიიჩნევს მხოლოდ ე.წ. სამთავრობო ვალს, ანუ უშუალოდ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გრანტით აღებულ ვალებს, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ სავალო კრიზისის დამამძიმებელ ფაქტორებად არ განიხილება ე.წ. „არასამთავრობო"[1] ფიზიკური და იურიდიული პირების, კომპანიათაშორისი და კოოპერაციული სექტორების მიერ აღებული ვალები და თვით საქართველოს სახელმწიფო შიგა ვალი.

გარდა ამისა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (სხვადასხვა დროს) მიღებული აქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, ევროგაერთიანებიდან, ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციებიდან, გაეროს სააგენტოებიდან, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდებიდან, მეგობარი ქვეყნებიდან და ა.შ. 9 მლრდ დოლარზე მეტი გრანტი და ჰუმანიტარული დახმარება. ასევე, სერიოზული განხილვის თემაა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანებით წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებები. სადღეისოდ საქართველოს დაახლოებით ასამდე საერთაშორისო ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრია, რაც ქვეყანას საკმაოდ დიდ ფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს და თუ იმ ფაქტსაც გავითვალის-

1 „არასამთავრობო" საგარეო სესხები სახელმწიფომ უნდა აღიაროს საკუთარ ვალად და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მას, რამდენადაც ე.წ. „არასამთავრობო" სესხების უკონტროლოდ ზრდა სერიოზულ საფრთხეს მოასწავებს. ამ პროცესს სჭირდება რეგულირება და ქვეყნის სტრატეგიულ-პოლიტიკურ ინტერესებთან შეხამება.

წინებთ, რომ საქართველოს მთავრობას აქვს (ჯერ კიდევ ბოლომდე დაუზუსტებელი) დიდი შიგა ვალი (1.176.6 მლნ ლარი) ანუ 704.55 მლნ დოლარი აშკარა გახდება, რომ სახელმწიფო ვალის თანხა კოლოსალურია.

საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლემის განხილვისას ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რამდენად დიდია იგი და შესაბამისად, როგორია მისი დაძლევის რეალური შესაძლებლობები.

ჩვეულებრივ, საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასებისთვის გამოიყენება განსაზღვრული კრიტერიუმები, მათგან ყველაზე გავრცელებულია საგარეო დავალიანების სიმძიმის განმსაზღვრელი შემდეგი სტანდარტული კრიტერიუმები:

1. მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპები;

2. საგარეო ვალის მოცულობის შეფარდება მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობასთან;

3. საგარეო ვალის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე;

4. საგარეო ვალის მომსახურების გადასახადების შეფარდება ბიუჯეტის შემოსავლებთან;

5. საგარეო ვალის საპროცენტო გადასახდელების თანხის შეფარდება წლიური ექსპორტის მოცულობასთან.

გერმანელი ეკონომისტის რ. პეტერსონის აზრით, ქვეყანა ფაქტობრივად მაშინ იმყოფება სავალო კრიზისში, თუ ეს ძირითადი მაჩვენებლები აღწევს ან აღემატებს კრიტიკულ დონეს.

როგორც საგარეო დავალიანების სიმძიმის განმსაზღვრელი ზემოთ მითითებული სტანდარტული მაჩვენებლების ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოში ისინი უკვე აღწევენ ან აღემატებიან კიდეც კრიტიკულ დონეს.

მეტად არადამაკმაყოფილებელია საქართველოს საგარეო ვალის სტრუქტურა. ვალის საერთო სტრუქტურაში ტექნიკური კრედიტების ნაწილი შეადგენს 14%-ს, სასაქონლო კრედიტებისა – 42%-ს, სარეაბილიტაციო კრედიტების კი 44%-ს.

როგორც დღეს აშკარაა, საქართველოს წინა მთავრობებს საგარეო სესხების აღებისას წინასწარ არ ჰქონიათ გათვლილი

ეკონომიკაზე საგარეო ვალის ზემოქმედების ყველა შესაძლო შედეგი. მათი უუნარობის გამო აღებული ვალები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გარანტიის ნაცვლად გადაიქცა მომავალი თაობების დაკაბალების მექანიზმად და ქვეყნის ეკონომიკური და მორალური გაკოტრების ფაქტორად.

აღებული სესხების მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი არასდროს განხორციელებულა. ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებით და ვალების მომსახურებისა და დაფარვის გრაფიკზე პასიური ზედამხედველობით. თავის დროზე ქვეყანაში არ შექმნილა სამსახური, რომელიც შეამოწმებდა და შეაფასებდა მოღებული კრედიტების გამოყენების ეფექტიანობას. როგორც ამას ფაქტები ადასტურებენ, აღებული სესხების აბსოლუტური უმრავლესობა არ მოხმარებია წარმოების გაფართოებას, საგარეო სესხების დიდი ნაწილი განაწილებულია არაწარმოებრივ დარგებში ან გამოყენებულია საგადასახადო ბალანსის დეფოლტის დასაფინანსებლად. დღეს არავის შეუძლია დაასახელოს წარმოებრივი დანიშნულების თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც ქვეყანაში აშენდა მიღებული 25 მილიარდი დოლარის სესხის, გრანტისა და ა.შ. ანგარიშიდან. ასევე, ვერც იმას დაადასტურებს ვინმე, რომ ამ მიმართულებით რაიმე კრიტიკული შენიშვნა გაკეებულიყოს ძველ ან თუნდაც ახალ ხელისუფლებაში.

როგორც ცნობილია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს სამარცხვინო დამარცხების შემდეგ იმავე წლის 22 ოქტომბერს მოწვეულ ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე საქართველოს უპრეცედენტო დახმარების ხელი გამოუწოდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და წამყვანმა სახელმწიფოებმა. საქართველოს 4.55 მლრდ აშშ დოლარი გამოუყვეს. აქედან გამოყოფილი თანხის თითქმის 45% (2 მლრდ აშშ დოლარი) გრანტი იყო, დანარჩენი შეღავათიანი კრედიტი.

საქართველომ ასეთი მასშტაბური დახმარების ფონზე შთამბეჭდავ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მა-

გრამ მთავარი – აღნიშნული სესხების არადანიშნულებისამებრ და არაეფექტიანად გამოყენებაა.

სესხები არამიზნობრივად, არაეკონომიურად და უყაირათოდ დაიხარჯა. ასეული მილიონი დოლარი წარიმართა ქალაქში რამდენიმე მსხვილი, კომერციულად არამომგებიანი, პოლიტიკური ნარცისიზმისა და ჰედონიზმის გამომხატველი სკულპტურული ძეგლების, ველოსიპედების და უცნაურ გამოსახულებათა დამონტაჟებაზე.

მილიარდობით მიღებული დოლარის სესხებისა და დახმარებებიდან არცერთი ცენტი არ გამოყენებულა რეალური ეკონომიკის განსავითარებლად. სამაგიეროდ იგი გამოყენებულ იქნა არაწარმოებრივ სფეროში – აშენებულ იქნა პარლამენტის შენობის კომპლექსი ქუთაისში, პრეზიდენტის სასახლე და რეზიდენციები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში , „ანბანის" კოშკი ბათუმში და ა.შ.

ეს ჰენრიხ XIV შემდეგ უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიოში. ასეთი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა, მაღალი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და პოლიტიკური ელიტის ეროვნული პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო მეთაურისთვის.

საზოგადოებისთვის დღემდე არაა ცნობილი თუ რატომ და ვისი ინიციატივით იქნა აღებული 500 მლნ დოლარი „ევროობლიგაციების" ვალი. სად არის ახლა ეს თანხა განთავსებული, რატომ არ დაიხარჯა იგი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაზე, ან რატომ არ წარიმართა „მომავალი თაობების და სტაბილური განვითარების ფონდში".

საზოგადოება პირველყოვლისა მოითხოვს პასუხს იმის შესახებ თუ რაში დაიხარჯა 2008 წლის 22 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში დონორი ქვეყნების კონფერენციაზე საქართველოსთვის გამოყოფილი 4.55 მლნ აშშ დოლარი.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ 2015 წლიდან დაწყებული, ყოველ წელს საქართველოს ბიუჯეტიდან ვალის ძირითადი თანხისა და სარგებლის საპროცენტო მომსახურების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქვეყანამ 900,0 მლნ აშშ დოლარზე მეტი

უნდა გადაიხადოს, რაც საქართველოს ფინანსური უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მუქარას წარმოადგენს.

საქართველოს საგარეო დავალიანების დასაფარავი თანხა (რომელიც შეიცავს ძირითად გადასახდელებს, მომსახურების საპროცენტო თანხებს და ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე დარიცხულ საჯარიმო თანხმებს) აღემატება ნებისმიერი მომდევნო წლის ბიუჯეტის შესაძლებლობებს. იგი ერთ მლრდ აშშ დოლარს მეტია.

ამდენად, საგარეო ვალების მომსახურების საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე, არსებული საბიუჯეტო კრიზისის უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი. რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკას საგარეო დახმარების გარეშე არსებობა და განვითარება არ შეუძლია. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მორიგი კრედიტების მიღებას ცდილობს. ჩვენი აზრით კი ეს დამღუპველია. ამდენად, მისასალმებელია „ქართული ოცნების" მთავრობის მიერ საგარეო ვალების აღებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება, თუკი მან ეს პირობა შეასრულა.

მაშასადამე, საქართველოს მთავრობებმა ვერ შექმნეს ქვეყანაში მაკროეკონომიკური გარემო ფულად-საკრედიტო ურთიერთობების განვითარებისთვის.

თ) ჩრდილოვანი ეკონომიკა

საქართველოს ეკონომიკაში ჯერ კიდევ დიდია დაუკვირვებადი **(ანუ ჩრდილოვანი) ეკონომიკა, რაც ეკონომიკური** ჩამორჩენილობითაა გაპირობებული და მას ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოაქვს. იგი ამცირებს საგადასახადო შემოსავლებს, აქვეითებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს

და მნიშვნელოვნად განაპირობებს საბიუჯეტო დეფოლტების ზრდას.

ი) კორუფცია

საქართველოში კორუფცია ცხოვრების ნორმად იქცა, კორუფციაში ჩართულია ხელისუფლების წარმომადგენლები და მისი დაძლევა გაძნელებულია. კორუფციის ალაგმვა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარეშე.

კორუფცია განსაკუთრებით საშიშია, როცა მასში ე.წ. შავ სამყაროსთან ერთად მონაწილეობენ ხელისუფლების მაღალი თანამდებობების პირები და იგი დაკავშირებულია დიდ ფულთან, მაღალი თანამდებობების ხელში ჩასაგდებად, საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მოსყიდვასთან, პირადი ინტერესების დაკმაყოფილებასთან, მაღალი პრემიების მიღებასთან, ბიუჯეტის ხარჯზე ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენასთან და ა.შ.

როგორც დავინახეთ, საქართველოს ხელისუფლებამ წლების მანძილზე ვერ შეძლო შეექმნა ეფექტიანი ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის საჭირო ეკონომიკური საფუძველი. ამიტომ, დღეს სწორედ ამ მიზეზით გვაქვს შეზღუდული ფინანსური რესურსები და სუსტი საბანკო სისტემა, რაც თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური სისტემის არამდგრადობას და არ იძლევა ეკონომიკის საჭირო ტემპებით განვითარების შესაძლებლობას.

ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური არამდგრადობა განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილობით, საფინანსო სისტემის სისუსტით და მისი მსოფლიო სისტემაში ჩაურთველობით.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ლარის კურსის გასამტკიცებლად არ გამოიყენება მსოფლიოში აპრობირებული მეთოდები (წარმოების ზრდა, ინვესტიციების მოზიდვა, ექსპორტის გაფართოება, იმპორტის შეკვეცა და ა.შ.). ხელისუფლება უცხოელი მეგობრების რეკომენდაციებით ლარის კურსის შესანარჩუნებ-

ლად მიმართავს ყველაზე მარტივ (დამღუპველ გზას), რაც შეიძლება ნაკლებ ლარებს ტოვებენ მიმოქცევაში და სარეზერვო ფონდების გაფლანგვის ხარჯზე ხელოვნურად ზრდიან ლარზე მოთხოვნას.

ხელისუფლებამ ქვეყანაში ვერ შექმნა განვითარებული ფინანსური სისტემა და განვითარებული საბანკო სექტორი.

ჩვენი აზრით, საქართველოში არა მარტო ეროვნული ბანკისა და მისი საზედამხედველო ორგანოების საქმიანობის შესწავლაა საჭირო, არამედ მთელი ქვეყნის ფულადი პოლიტიკის საფუძვლიანი გადასინჯვაა აუცილებელი.

§8. ეროვნული ბანკის ამოცანები ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებაში

ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებაში ეროვნული ბანკის როლი და ადგილი განსაზღვრულია – საქართველოს კონსტიტუციით (95-96-ე მუხლები) და ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", სადაც განსაკუთრებით გამოკვეთილია ეროვნული ბანკის ყველაზე მნიშვნელოვანი (ძირითადი) ფუნქცია – ფინანსური სფეროს სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ეროვნული ბანკი მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს ფულის ემისიას და მიმოქცევას, საკრედიტო და საანგარიშსწორებო სისტემის ცენტრალიზაციას. ავითარებს და განამტკიცებს ქვეყნის საბანკო სისტემას, ეფექტიანად ზემოქმედებს საბანკო ინსტიტუტების – განსაკუთრებით კომერციული ბანკების სამეურნეო აქტივობასა და საქმიანობაზე. იგი წარმოადგენს ეკონომიკის რეგულირების მთავარ ორგანოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის განმტკიცება, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, აგრეთვე, საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობისა და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციების უზრუნველყოფა, ანუ იგი უზრუნველყოფს საფინანსო-საკრედიტო სისტემის სტაბილურობა-გამჭვირვალობას და ხელს უწყობს მდგად ეკონომიკურ ზრდას.

ამ უმნიშვნელოვანესი მისიის შესრულება ხდება ეროვნული ბანკის ისეთი კონკრეტული ფუნქციების განხორციელებით, როგორიცაა: ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფლობა, შენახვა და განკარგვა; საქართველოს მთავარი ბანკირისა და ფისკალური აგენტის უფლება-მოვალეობათა შესრულება; ფულის ნიშნების ემისიის განხორციელება; საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკის წარმოება და გავრცელება; უკანონო შემოსავლების ლეგალიზების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა მასთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით და სხვ.

ჩვენი აზრით, ქვეყნის ფინანსური სფეროს სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში ეროვნული ბანკისა და მასთან არსებულ სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის როლისა და ადგილის, კერძოდ მათ ხელთ არსებული მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა მეტად დიდ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით 2014 წლის ბოლოსა და მთლიანად 2015 წლის განმავლობაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების გაანალიზებასთან დაკავშირებით.

საჭიროა ეროვნული ბანკის საქმიანობაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები განხილული იქნეს უფრო დაწვრილებით.

ა) ფულის მიწოდების რეგულირება

ეროვნული ბანკის მკაცრად რეგლამენტირებულ მონეტარულ ღონისძიებებს შორის უპირველესია – ეკონომიკისთვის ფულის მიწოდების რეგულირების ფუნქცია.

ფინანსური მეცნიერების კორიფეების აზრით ეკონომიკურ სისტემაში არ არსებობს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის განსაზღვრაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, იგი ერთ-ერთ ურთულეს თავსატეხს წარმოადგენს.

მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის განსაზღვრა

უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ქვეყანაში გარიგებათა მთლიან მოცულობაზე, რაც უფრო მეტია გარიგებათა მოცულობა, მით უფრო მეტი ფულია მიმოქცევაში საჭირო და პირიქით, კავშირი ფულად მასასა და გარიგებათა მთლიან მოცულობას შორის გამოხატულებას პოულობს ფულის რაოდენობრივ განტოლებაში, რომლის მიხედვით, **მიმოქცევაში გაშვებული ფულადი მასა, პირველყოვლისა, დამოკიდებული უნდა იყოს ქვეყანაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურების რაოდენობაზე,** ანუ **მიმოქცევაში გაშვებული ფული უნდა იყოს დასაქონლებული.** წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება ინფლაციური პროცესები. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი ახდენს ქვეყანაში ფულადი აგრეგატების – M1; M2; M3 და M4-ის გაანგარიშებას. ამის შემდეგ, მთავარ ამოცანას წარმოადგენს ე.წ. ფულის რაოდენობრივი თეორიის განტოლების MV = PQ სწორად შედგენა და გაანგარიშება.

სადაც M არის ფულის მიწოდება, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა; V – დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგალითად, ერთი წლის მანძილზე) ფულის მიმოქცევის სისწრაფე; P – ფასების საშუალო დონე, რომელითაც ხორციელდება ტიპიური გარიგებები და Q გარიგებათა მთლიანი რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება და დაზუსტება საკმაოდ რთული საქმეა. ამისთვის საჭიროა მონაცემები: ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის, კერძოდ მშპ-ის მოცულობის და ზრდის ტემპების, ფასების დინამიკის, ინვესტიციების, საგარეო ვაჭრობის ბრუნვის (ექსპორტ-იმპორტის), ბიუჯეტების შემოსავლების, გასავლების და სხვათა შესახებ, რომელთა მოპოვება აღემატება ეროვნული ბანკის შესაძლებლობებს. ამიტომ აქ მთავრობის ეკონომიკური გუნდის დახმარება და აქტიური თანამშრომლობაა აუცილებელი.

აღნიშნული მონაცემების დროულ მიწოდებაზე და სიზუსტეზეა დამოკიდებული ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ეფექტიანობა. როდესაც ცნობილია მთავრო-

ბის ეკონომიკური გუნდის მიერ ეროვნული ბანკისადმი არასწორი მონაცემების და თანაც დაგვიანებით გადაცემა ინფლაციური პროცესების გაძლიერებას იწვევს. სამწუხაროდ, ეროვნულ ბანკსა და ეკონომიკურ გუნდს შორის სათანადო კოორდინირება და სათანადო თანამშრომლობა არ არსებობს, ამიტომ მიმოქცევისთვის ფულის მიწოდების შემცირების აუცილებლობის შემთხვევაში დაუსაბუთებლად იზრდება ფულის მიწოდება და პირიქით, როდესაც ფულის მიწოდების გაზრდაა საჭირო, მაშინ ეს პროცესი ფერხდება. ხშირია ისეთი ფაქტები, როცა ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში ფულის რაოდენობის განსაზღვრა ხდება მხოლოდ მექანიკურად, ფულის მასის პროცენტული ზრდის ან შემცირების გზით.

ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად საქართველოში არსებული ნაღდი ფულის თანაფარდობა M3-თან უკანაკნელ წლებში ოპტიმალური სიდიდის ფარგლებში (22-25%) მერყეობდა, თუმცა ინფლაცია მის სიდიდეზე ნაკლებად რეაგირებდა და ქაოსურად ვითარდებოდა.

მიუხედავად ფულის მასის შემცირებისა, ინფლაციის მრუდი ზემოთ მიცოცავს. ეს საქართველოში **ინფლაციის არამონეტარული ხასიათის** მაჩვენებელია და ეროვნული ბანკის მცდელობა მასზე მოახდინოს გავლენა მონეტარული მეთოდებით ნაკლებად ეფექტიანია.

უფრო მეტიც, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ზომაზე მეტად შეზღუდვა ისეთ პირობებში, როდესაც იგი წარმოადგენს გადახდის და ანგარიშსწორების უპირატეს საშუალებას, კიდევ უფრო მეტად აღარიბებს საქართველოს მოსახლეობას.

ამიტომ, ისედაც სუსტი საბანკო სექტორის „შევიწროვება" მონეტარული ინსტრუმენტების დამატებით გამოყენებით ინფლაციის რეგულირებისთვის არ შეიძლება მივიჩნიოთ ცალსახად არგუმენტირებულ და ეფექტიან ღონისძიებად. გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რომლის მეშვეობით ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება ინფლაციური პროცესების

მოთოკვა, ხოლო მეორე მხრივ, მიღწეული იქნება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები.

საქართველოში არსებული ფულის თანაფარდობა M3-თან თითქმის ოპტიმალური სიდიდის ფარგლებშია 22-25%, თუმცა, როგორც ამას ფაქტები ადასტურებენ, ინფლაცია არ იყო დამოკიდებული მათ შეფარდებაზე. ფულის მასის მოცულობის მიუხედავად, ინფლაცია მაინც იზრდებოდა და ვითარდებოდა.

როგორც ვხედავთ, ინფლაციის რეგულირებისათვის არაა საკმარისი მხოლოდ ფულის მოცულობის M3-თან თანაფარდობა, საჭიროა გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელება.

ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომელთა მეშვეობითაც ერთი მხრივ შესაძლებელი იქნება ინფლაციური პროცესების მოთოკვა, ხოლო მეორეს მხრივ, მიღწეული იქნება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები.

ეროვნულმა ბანკა არ იცის და არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს ქვეყანაში თუ რა რაოდენობით ლარია მიმოქცევაში. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, 280 მლნ ლარიდან ბანკების გარეთ მიმოქცევაშია 65-90%.

ამჟამად საქართველოში დარღვეულია მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ოპტიმალურობა – ფულადი მასის შეფარდება მშპ-ის სიდიდესთან. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფულის რაოდენობა მშპ-სთან შეფარდებები მერყეობს 70-95%-ის ფარგლებში, ამ დროს კი საქართველოს ეკონომიკა ლარზე შიმშილს განიცდის. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში დოლარიზაციის არსებული (მაღალი დონის) აღმოფხვრის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია მიმოქცევაში ფულის რაოდენობა სულ მცირე 6-7 მლრდ ლარამდე განისაზღვროს, რაც ქვეყანაში შექმნის დაბალანსებულ მონეტარულ სიტუაციას.

ბ) ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის თარგეთირება

თარგეთირება მონეტარულ ხელისუფლებას ამცნობს თუ რა სახის ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული დროის გარკვეულ მონაკვეთში ინფლაციური პროცესების აღსაკვეთად.

თარგეთირება განსაზღვრავს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს, რომელიც უნდა იქნეს შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში.

თარგეთირება წარმატებით გამოიყენება მრავალ ქვეყანაში, მაგრამ მისი მექანიზმის განსხვავებულია და უშუალოდ დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. იგი ძირითადად მერყეობს 2-დან 5%-მდე (მაგალითად, ყველაზე დაბალი აქვს აშშ-ს 2%, რუსეთს 5%, ხოლო ყველაზე მაღალი საქართველოს – 6%).

საქართველოში იგი დაწესებული მისაღები ნორმიდან გადახრის დიდი ამპლიტუდით ხასიათდება, ამდენად (ქვეყანაში ამჟამად შექმნილ სიტუაციაში), მისი წარმატების გამოყენება საფუძვლიან ეჭვს ბადებს.

საქართველოში დღემდე ვერ ხერხდება ინფლაციური მოლოდინის სწორად განსაზღვრა. ფაქტობრივად, ფორმირდება იმაზე უფრო მაღალი ინფლაციის მოლოდინი, ვიდრე ეს ეროვნული ბანკის პროგნოზებითაა განსაზღვრული, რაც შესაბამისად ამცირებს ქვეყანაში ინფლაციის თარგეთირების ეფექტიანობას.

ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა ქვეყანაში აუცილებელი წინაპირობების არსებობს, კერძოდ:

ა) განვითარებული ფინანსური სისტემა და

ბ) განვითარებული საბანკო სექტორი.

როგორც ცნობილია, საქართველოს ფინანსური სისტემა უკიდურესად სუსტია. განუვითარებელია ფინანსური სისტემის ცალკეული რგოლები, ხოლო სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტი ქრონიკულად დეფიციტურია.

რაც შეეხება საბანკო სექტორს, იგი საქართველოში მოწყვლა-

დი და სეგმენტირებულია, რაც ინფლაციის განვითარებისთვის გართულებულ სიტუაციებში ყოველთვის საფრთხის შემცველია. ქვეყანაში არსებობს პრობლემური ბანკები, რომელთა გაკოტრება ყოველთვის მოსალოდნელია. დღეს საქართველოს ბანკთაშორისი ბაზარი არ არის ლიკვიდური, იგი არაპროგნოზირებადია.

საბანკო სექტორი მთლიანობაში სუსტადაა განვითარებული, მეტისმეტად დაბალია ქვეყნის საბანკო სისტემის აქტივების წილი მშპ-სთან მიმართებაში, რაც მხოლოდ 6%-ს არ აღემატება, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი აშშ-ში 285%-ს შეადგენს.

ეროვნული ბანკის მიერ ქვეყნის კომერციულ ბანკებზე, მათი ლიკვიდურუნარიანობის უზრუნველსაყოფად, გაცემულია დიდი რაოდენობით (რეფინანსირება) სესხები, რაც ეწინააღმდეგება ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საქართველოში საბანკო სისტემა არ არის დივერსიფიცირებული, რაც ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ქვეყნის მთლიანი საბანკო აქტივების დაახლოებით 60%-ს აკონტროლებს ორი ბანკი, ხოლო დანარჩენი 19 ბანკის აქტივების წილი მხოლოდ 40%-ს შეადგენს.

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდე ასეთი დასკვნა – დღეისათვის ინფლაციის თარგეთირება საქართველოში პრაქტიკულად სასურველ შედეგს არ იძლევა რეგულირებადი სავალუტო გაცვლითი კურსის პირობები, რადგან აქ სავალუტო კურსის როლი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე თავისუფალი მცურავი სავალუტო კურსის პირობებში.

გ) მინიმალური სავალდებულო რეზერვები

ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან რეგულატორს წარმოადგენს სავალდებულო რეზერვების სწორად ნორმირება.

სავალდებულო რეზერვებში იგულისხმება კომერციული ბანკების ფულადი თანხა, რომლის სესხად გაცემის უფლებაც მათ არა აქვთ და ვალდებულნი არიან თავიანთ ანგარიშზე იქონიონ ეროვნულ ბანკში. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი მოქმედებს

სიტუაციის მიხედვით: თუ საჭიროა ფულადი მასის შენელება, იგი ზრდის სავალდებულო რეზერვების ნორმას და ამის საფუძველზე შესაძლებლობას აძლევს კომერციულ ბანკებს თავიანთი სახსრების დროებით გაყინული ნაწილი კრედიტად გადააქციონ.

სავალდებულო რეზერვების გამოყენების დასარეგულირებლად ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულია მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმები. დოლარებში – 20%, ხოლო ლარებში 7%.[1] ეს ნორმები წლების განმავლობაში ირღვევა და მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ ეს ნორმები 2011 წლიდან ინფლაციური პროცესების გაძლიერების კვალდაკვალ სისტემატურად ირღვეოდა. როგორც ოფიციალური მონაცემები ადასტურებენ კომერციული ბანკების მიერ შენახული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა მილიონობით ლარს შეადგენდა. იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა 10%-მდე შემცირდება, ბანკებს გაუნთავისუფლდებათ მილიონობით დოლარი, რაც დოლარების სიმცირეს ეკონომიკაში მნიშვნელოვნად შეავსებდა.

დ) კაპიტალის საზღვარგარეთ არარეალური გადინების აღკვეთა

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია **კაპიტალის გადინება.** მართალია, დაზუსტებული ოფიციალური მონაცემები ამის შესახებ არ არსებობს, მაგრამ ყველა წყაროდან ჩანს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით უდიდესი თანხა საქართველოს ტერიტორიას უცხოური ვალუტის სახით ტოვებს, რადგან ეს ფული ძირითადად იმპორტის დასაფინანსებლად გამოიყენება. ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის დაფინანსების საგარეო წყაროებზე საგადასახადო ბალანსზე და საბოლოოდ ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის

1 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558

(საქართველოს საგადასახადო ბალანსის საფუძველზე) გაანგარიშების მიხედვით წლების მანძილზე **კაპიტალის არალეგალური გაქცევა** მილიარდობით დოლარს შეადგენს და სამწუხაროდ იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მარტო საგარეო ვაჭრობის დეფოლტით გამოწვეულმა კაპიტალის გადინებამ 1994-2014 წლებში 10 მილირდ დოლარს გადააჭარბა.

ასევე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის, რომ წლების მანძილზე საქართველოს **„შავი ფულის" ტრანზიტისათვის ან დროებით თავშესაფრისთვის გამოიყენებოდა,** საეჭვო წარმომავლობის ფულადი ნაკადები თითქმის ყველა მეზობელი ქვეყნიდან **საქართველოში მოედინებოდა,** ხოლო მის საზღვრებს „გათეთრებული" ტოვებდა. აღნიშნულმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ფულად-საკრედიტო ურთიერთობების სიმტკიცეზე.

ამასთან, სათანადო მოკვლევების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით ცნობილია, რომ „შავი ფულის" დიდი რაოდენობა ყოველწლიურად ახლაც ტოვებს საქართველოს საზღვრებს. უცხოეთის ბანკებში ანგარიშებზე შეტანილია მილიარდები, შეძენილია დიდძალი ქონება და ფასიანი ქაღალდები, ასევე ინვესტიციების სახით სხვადასხვა ქვეყნებში დიდძალი თანხებია ჩადებული ბიზნესში. საჭიროა ხელისუფლების მიერ ყველა საეჭვო ოპერაციებზე ინფორმაციის შეგროვება, სათანადო ანალიზი და აღმკვეთი ღონისძიებების გატარება.

ე) რეფინანსირებით სესხების განაკვეთების რეგულირება

რეფინანსების განაკვეთის აწევა და სესხების მოცულობის შემცირება მნიშვნელოვნად ამცირებს მიმოქცევაში ლარის მინოდებას და დადებით გავლენას ახდენს ლარის კურსის განმტკიცებაზე. მაგრამ, საქართველოს ეროვნული ბანკი ამ ბერკეტს სათანადოდ ვერ იყენებს.

ეროვნულმა ბანკმა 2008 წლის საბანკო კრიზისის დაწყების

წინ განახორციელა რეფინანსირების სესხების მეტისმეტად ლიბერალური და გამარტივებული წესით გაცემის მიუღებელი პრაქტიკა.

კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების სესხები გაცემული იქნა მლნ ლარობით: 2008 წელს – 282; 2009 წელს –1093; 2010 წელს – 5569; ხოლო 2011 წლის ორ თვეში 1327 მლნ ლარი. ე.ი. მხოლოდ ორი (2010-2011) წლის მანძილზე კომერციულ ბანკებზე გაიცა ქვეყნის 6 მილიარდიან ბიუჯეტზე გაცილებით მეტი მოცულობის რეფინანსირების სესხი. აღნიშნული ფაქტი სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, უნდა დადგინდეს თუ რატომ გასცა ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებზე მილიარდობით რეფინანსირების სესხი, როცა მათ ამ პერიოდისთვის ლიკვიდურობის პრობლემა არ ჰქონდათ?

ისიც ფაქტია, რომ ამ წლებში მრავალმილიარდიანი კრედიტები საქართველოს ეკონომიკაში არ დაბანდებულა. აღნიშნული თანხა ალბათ გადაირიცხა უცხოურ ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე. ამ ეჭვს ამართლებს ნორტრს ანგარიშებიდან კომერციული ბანკების შემოსავლების ზრდის აშკარა ტენდენციაც. თუ რომელი ქართული ბანკი და რა გზით იხდის ამ დეპოზიტების სარგებელს ეს ეროვნული ბანკისა და რეციპიენტი ბანკების ანგარიშსწორების მონაცემებიდან შეიძლება დაზუსტდეს. შესაძლოა ეს თანხები გამოიყენებოდა საფონდო ან სავალუტო ბირჟებზე სათამაშოდ.

ცხადია, რომ ეროვნული ბანკის მიერ ასე ჰაერიდან შექმნილი ფული ყოველთვის ემსახურება კერძო პირების ინტერესებს, ხოლო თვით სახელმწიფო და ქვეყნის ბიუჯეტი ამით ვერანაირ სარგებელს ვერ ნახულობს. არ არის გამორიცხული, რომ უცხოეთში გადარიცხულ თანხებზე დარიცხული სარგებლით ცხოვრობს საზღვარგარეთ გაქცეული ყოფილი ჩინოვნიკები და პარტმუშაკები, მათ შორის „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები.

ვ) ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა

ეროვნული ბანკი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის – ფასების სტუმულირების უზრუნველყოფის ძირითად ფუნქციას. ფასების მაღალი ტემპით ზრდის პირობებში მნიშვნელოვნად ამცირებს საკრედიტო ხელშეკრულებების ვადებს და ორიენტაციას იღებს კაპიტალის მაღალი ბრუნვადობის მქონე მსესხებლებზე.

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა თავიანთი მუშაობის დადებითად წარმოჩენის მიზნით არაფერს იშურებენ. ხელისუფლება ინფლაციის მოსათოკად მონეტარული პოლიტიკის გატარების მაღალ ეფექტიანობის მოსაჩვენებლად ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების დათვლის მეთოდოლოგიასაც კი ცვლიან და ინფლაციის მაჩვენებელს შეგნებულად ამცირებენ. სამომხმარებლო კალათა დაასახიჩრეს, სასურსათო კალათაში სურსათის წილი 45%-დან 30%-მდე შეამცირეს. ასევე შეამცირეს ჯანმრთელობის დაცვისა და კომუნალური გადასახადების ხვედრითი წილი, ხოლო გაზარდეს ალკოჰოლური სასმელების, დასვენების, ექსკურსიებისა და გართობის ნაწილი. ასეთი პრაქტიკა დაგმობილი უნდა იქნეს.

ზ) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების სწორად წარმართვა

ფულადი მასისადმი ეროვნული ბანკის კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი რეგულატორია აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციასთან ბრძოლის ისეთი მონეტარული ინსტრუმენტის გამოყენებ, როგორიცაა მის მიერ გამოშვებული დაფარვის სამი თვის ვადის მქონე სერთიფიკატების რეალიზაცია კომერციულ ბაზარზე მეტად დამაფიქრებელია.

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის მტკიცებით, ეს ღონისძიება ხორციელდება ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ინტერესებით. მაგრამ ამ სერთიფიკატებზე

საპროცენტო განაკვეთების და ქვეყანაში არსებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე ასეთ მოტივირებას არ შეესაბამება.

თ) საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა

საბანკო სისტემის დასუსტებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შენელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ასევე რჩება საზედამხედველო სამსახურის ყურადღების მიღმა, არის **საკრედიტო რესურსებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რომელიც აფერხებს საქმიანი აქტივობის ზრდას.**

ეროვნული ბანკი მკაცრად უნდა აკონტროლებდეს ბანკთაშორისი **კრედიტების მოცულობას და** საპროცენტო განაკვეთებს – ინფლაციური პროცესების წარმოქმნის შემთხვევაში ვინ უნდა შეზღუდოს კრედიტების მოცულობა, საპროცენტო მოთხოვნა ან, პირიქით, გაზარდოს მიმოქცევაში ფულის მასა. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში საბანკო სექტორში დაგროვილი თავისუფალი, უმოძრაო ფული, ერთი მხრივ, ამცირებს ბანკების პოტენციურ შემოსავლიანობის დონეს, ხოლო მეორე მხრივ, აძლიერებს აქტივებზე ფასების სპეკულაციური ზრდის შესაძლებლობას და ირიბად გავლენას ახდენს ინფლაციის ზრდაზე.

საბანკო სისტემის განვითარება ქვეყანაში უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს მიერ მკაცრად განსაზღვრულ ფინანსურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელებას და არა კომერციულიო ბანკების სპეკულაციური ინტერესების ან უცხოეთიდან მიღებული „რეკომენდაციების" უსიტყვო შესრულებას. გათვალისწინებული უნდა იყოს ბიზნესის განვითარების სპეციფიკა და ინტერესები. ამჟამად ქვეყანაში კომერციული ბანკებისადმი ეკონომიკური აგენტების დავალიანებამ, ანუ მათ მიერ ქვეყანაში განთავსებულმა სესხების მოცულობამ მილიარდობით ლარი შეადგინა. ბანკები გაცემულ კრედიტებზე სისტემატურად უკონტროლოდ ზრდიან პროცენტებს, ეროვნული ვალუტის (ლარის)

სარგებლის განაკვეთები 23-25%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში (დოლარებში) გაცემულ სესხებზე 14-15%-ს შეადგენს.

ბანკები მეანაბრეთა ვადიან დეპოზიტებზე იხდის ლარზე – 12-13%-ს. ხოლო მათ მიერ გაცემულ სესხებზე მსესხებლებისგან 25-30%-ს იღებს. ეს მეტად საყურადღებო მომენტია, რომელსაც ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

საპროცენტო ნორმას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკაში. იგი განიხილება როგორც ინვესტიციების ზრდის ან შემცირების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა აუცილებელია განაკვეთო დასაშვებ ფარგლებში მაქსიმალურად შეამციროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალი სარგებლის განაკვეთი წინ აღუდგება ინვესტიციებს და დანაზოგებს და ხელს შეუშლის მათ წარმოებაში დაბანდებას.

სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოს საბანკო სისტემაში პროცენტის ნორმა არ განისაზღვრება რეალური ეკონომიკური ფაქტორებით, ამიტომ საჭიროა პროცენტის ნორმის ისეთ ოპტიმალურ დონეზე დაწესება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას. საზედამხედველო ორგანოებმა ხელისუფლებასთან ერთად უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები საპროცენტო განაკვეთების შემცირების მიმართულებით.

ხშირად რეგულირების მიღმა რჩება საკრედიტო რესურსებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების დაწესების მიზეზების შესწავლა, რომლებიც ქვეყანაში აფერხებენ საქმიანი აქტივობის ზრდას.

სათანადო კონტროლი არ წესდება საკრედიტო განაკვეთების ფორმირებაზე. ჩვეულებრივ, საპროცენტო განაკვეთები არ უნდა აღემატებოდეს დაბანდებულ კაპიტალზე მოგების ნორმას. გადამჭრელ ზომებს არ იღებენ საპროცენტო განაკვეთების შემცირების მიმართულებით.

კომერციული ბანკები მოქმედებენ სრული უკონტროლობის პირობებში და საკუთარი სურვილების მიხედვით იღებემ ნებისმიერ გადაწყვეტილებებს. ამ მიმართულებით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საზედამხედველო ორგანოებსა და ეროვნულ

ბანკს, რომლის მიერ დაწესებულმა მინიმალური რეგულირების პრინციპებმა საბანკო სექტორს დაუკარგა მისი მთავარი ფუნქცია, რაც გამოიხატება ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფაში.

ი) კომერციული ბანკების მიერ ტრანზაქციული ოპერაციებით ლარის გაუფასურებაში მონაწილეობა

დღეს უკვე აშკარაა, რომ კომერციული ბანკები ტრანზაქციების განხორციელებით მონაწილეობენ ლარის კურსის გაუფასურებაში.

2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის თებერვლამდე ეროვნულმა ბანკმა სარეზერვო ფონდებიდან დაახლოებით 440 მლნ დოლარის ინტერვენცია განახორციელა. ეს რეზერვები მხოლოდ ორმა („საქართველოს ბანკი" და „თი-ბი-სი") ბანკმა შეიძინა. იმის მაგივრად, რომ კომერციულ ბანკებს დოლარები მიმოქცევაში დროულად გაეშვათ, პირიქით დაარეზერვეს და სპეკულაციური მიზნებისთვის გამოიყენეს, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით, გაუშვეს მიმოქცევაში.

საფინანსო სპეკულაციებს საფინანსო-საბანკო სფეროში ხშირად აქვს ადგილი სხვადასხვა ქვეყნებში და მისი უარყოფითი შედეგების შესახებ საკმაოდ ფართოდაა ცნობილი. მაგალითად, 1982 წელს ინგლისური ფუნტის, ხოლო 1997 წლის ბოლოს ტაილანდსა და მალაიზიის ფულის გაუფასურება, რომელსაც, რატომღაც ჯორჯ სოროსს უკავშირებენ.

2014 წელს ამერიკულმა და ბრიტანულმა მარეგულირებელმა სამსახურებმა, სავალუტო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მანიპულირების გამო მსოფლიოს 6 წამყვანი ბანკი 8 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს.

ჩვენი აზრით, ყოვლად დაუშვებელია ქვეყანაში დაფარული და საიდუმლოებით მოცული იყოს ვინ ყიდულობს საბანკო აუქციონებზე დოლარებს და სად მიდის ეს თანხები, მით უმეტეს,

როცა იგი ეროვნული ბანკის მიერ მიზნობრივი დანიშნულებითაა გაყიდული.

დღეს აშკარაა, რომ საქართველოში ადგილი აქვს კომერციული ბანკების მიერ მოგების მიღებას, რომელიც დევალვაციის ფონზე დანაშაულს წარმოადგენს. მათი მოქმედებით ხელოვნურად იზრდება ბანკების მოგება, ამავდროულად ზარალდება უამრავი მომხმარებელი, ინვესტორები და ა.შ. ამიტომ, საჭიროა მკაცრი კონტროლი და შესაბამისი ორგანოების მიერ ანტიმონოპოლიური ჯარიმების დაწესება.

ამჟამად საქართველოს ფულად პოლიტიკაში ფართოდ გამოიყენება სავალუტო სპეკულაციების მეთოდი. ეროვნულ ბანკთან ერთად ვალუტის სპეკულირებას „წარმატებით" მიმართავენ კომერციული ბანკები და ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ფულის მიმოქცევის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა და ვალუტის კურსი პრაქტიკულად არაორგანიზებულია. მართალია, კერძო ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისთვის ვალუტის გადაცვლის უფლების მინიჭებაში ხელისუფლება ვერავითარ კრიმინალს ვერ ხედავს, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ამ პროცესების მონოპოლიზება აუცილებლობას წარმოადგენს, რამდენადაც ყოველგვარი მოსალოდნელი კრიმინალის თავიდან აცილებასთან ერთად, აღნიშნული ღონისძიება სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით სავალუტო შემოსავლებს მისცემდა.

კ) სადეპოზიტო სერტიფიკატები

ეროვნული ბანკი ლარის კურსზე ზემოქმედებისთვის სათანადოდ ვერ იყენებს სწრაფი რეაგირების ისეთ ბერკეტს, როგორიცაა **სადეპოზიტო სერტიფიკატები**. საქართველოს ეროვნულ ბანკში მისი მოცულობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. იგი 2013 წლის 850 მლნ ლარიდან 2015 წლისთვის 280 მლნ ლარამდე შემცირდა. ე.ი. ეროვნულმა ბანკმა ორი წლის მანძილზე კომერციულ ბანკებს (ინფლაციური პროცესების გაძლიერე-

ბის პერიოდში) უკან დაუბრუნა მათგან (ამოღებული) ნასესხები 570 მლნ ლარი. ეროვნული ბანკის ასეთი გადაწყვეტილება სამართლიან ეჭვს იწვევს და იგი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

ლ) საკომისიო და საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები

როგორც ეს ეროვნული ბანკის საიტზე სავალუტო ბაზრის სტატისტიკის მონაცემებიდან ჩანს, 2014 წელს საქართველოს კომერციულმა ბანკებმა მხოლოდ (საკომისიო და საკონვერსიო) ე.წ. არასაპროცენტო ოპერაციებიდან შემოსავლების სახით – 402 მლნ ლარი წმინდა მოგება მიიღო. მათ შორის, საკომისიო გაცემულ სესხებზე მიღებულ) იქნა შემოსავლების სახით – 284 მლნ ლარი, ხოლო საკონვერსიო (ვალუტის ყიდვა-გაყიდვა) ოპერაციებიდან – 118 მლნ ლარი. როგორც სათანადო მონაცემების გაანალიზების შედეგად დადგინდა, ეროვნული ბანკის არასაპროცენტო მოგება ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ხელოვნურად იზრდება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები.

საერთოდ, საქართველოში კომერციული ბანკების კრედიტების 60% დოლარებშია გაცემული და თანხობრივად 4.5 მილიარდ დოლარს შეადგენს, ხოლო კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10%-ს შეადგენს. ე.ი. კომერციულმა ბანკებმა მათ მიერ 2014 წელს გაცემულ სესხებზე, საპროცენტო შემოსავლების (მოგების) სახით მიიღეს 450 მლნ დოლარი.

კომერციული ბანკების ყოველწლიურ საპროცენტო შემოსავლებს ემატება მსესხებლებისგან ვადაგადაცილებულ ვალდებულებებზე დარიცხული საურავები, რომლებიც მნიშვნელოვან თანხებს შეადგენს. ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები ხელოვნურად ზრდიან მოგებას და საპროცენტო განაკვეთებს, რითაც დაზარალებული რჩება მომხმარებელი, ინვესტორი და ა.შ.

გ) კომერციული ბანკების მიერ სავალუტო გაცვლითი კურსის ხელოვნურად გადიდების ფაქტები

საქართველოში კომერციული ბანკების მიერ ადგილი აქვს მაღალი მოგების მიღების მიზნით ვალუტის გაცვლითი კურსის ხელოვნურად გაზრდის ფაქტებს.

ერთ ქუჩაზე ერთმანეთისგან 50-100 მეტრში განთავსებულ სავალუტო გადამცვლელ ჯიხურებში ხშირად ერთმანეთისგან განსხვავებული გადასაცვლელი კურსია გამოცხადებული და დილერები მათ მიერ დადგენილი კურსით ვაჭრობენ. აუცილებელია ეროვნულმა ბანკმა ყურადღება მიაქციოს ამ არასასურველ ფაქტს. განა შეიძლება ჯიხურების მიხედვით ლარის კურსის ერთი და იმავე მომენტისთვის, ასე მნიშვნელოვნად იყოს განსხვავებული – რეგიონების, ქალაქების, რაიონების, დასახლებული ადგილების, უბნების და ქუჩების მიხედვით?

ამ საკითხებს სერიოზული შესწავლა და სათანადო ყურადღება ესაჭიროება, სასურველია დაწესდეს სოლიდური ჯარიმები.

ნ) სავალუტო ინვესტიციები

დღეს ეროვნული ბანკი ლარის გაცვლითი კურსის შესანარჩუნებლად იყენებს საერთაშორისო რეზერვებს (დაწესებული ნორმის მიხედვით მისი ოდენობა უნდა შეადგენდეს ქვეყნის ერთი თვის იმპორტის სამმაგ ოდენობას).

ამჟამად, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და იგი დიდად აჭარბებს ცენტრალური ბანკებისთვის დაწესებულ სავალდებულო ნორმას.

ლარის კურსის ხელოვნურად მაღალ დონეზე შენარჩუნება მოითხოვს დიდი მოცულობის სავალუტო ინტერვენციების განხორციელებას, რაც იწვევს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების ამოწურვას (ეს კი თავის მხრივ, ამწვავებს საგარეო ვალების მომსახურების პრობლემას).

მხოლოდ საერთაშორისო რეზერვების ხარჯვის გზით,

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებაა.

თუ არ ხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მისი საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და ინვესტიციების მოზიდვის ამაღლება, ეს რეზერვები დაიცლება და საბოლოოდ ლარის კურსის განმტკიცება მაინც არ მოხერხდება. ასეთი მონეტარული პოლიტიკით მხოლოდ პრობლემის მოკლევადიანი გადაწყვეტა ხდება, ამიტომ საჭიროა ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა იზრუნოს პრობლემის გრძელვადიან გადაწყვეტაზე.

ო) ეროვნული ბანკის საზედამხედველო საქმიანობა

როგორც ეს სათანადო მონაცემების გაანალიზებიდან ირკვევა, საქართველოში საბანკო ზედამხედველობის ინსტიტუტი მეტისმეტად გაუმართავი და სუსტია, იგი სრულიადაც არ პასუხობს ქვეყანაში საბანკო სექტორის ეფექტიანი განვითარების მოთხოვნებს და არც ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამსახურმა საბანკო სექტორზე და მთლიანა ქვეყნის ეკონომიკაზე პოზიტიური ზეგავლენა ვერ მოახდინა.

საზედამხედველო ორგანოების არაკომპეტენტური საქმიანობა ერთი მხრივ ხელს უწყობს ინფლაციის პროვოცირებას, ხოლო მეორე მხრივ კი არასოწრად ცდოლობენ ინფლაციის მოთოკვას.

ზედამხედველობის მიღმაა დარჩენილი საბანკო სექტორის მთლიან სააქციო კაპიტალში ფიქტიურად წარმოქმნილი საბაზრო ფასებში სპეკულაციურად გაზრდილი საკრედიტო რესურსები, რომელიც ინფლაციური პროცესების მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ირღვევა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის თანაფარდობა, რაც განაპირობებს ლიკვიდურობის კრიზისს. არაა დაცული

მყისიერი ლიკვიდურობის კოეფიციენტი. ამ მხრიც ზედამხედველობა ატარებს ფორმალურ ხასიათს.

ქვეყანაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება ვადაგადაცილებული კრედიტების მოცულობა, არაადეკვატურად ფასდება სესხების უზრუნველყოფა და იზრდება საკრედიტო რისკები. ადგილი აქვს გადაჭარბებულ საკრედიტო ექსპანსიას.

პ) კაპიტალის ანგარიშის ლიბერალიზაციის უარყოფითი შედეგები

საქართველოს საბანკო ზედამხედველობის სამსახურის ერთერთ სერიოზულ დანაშაულს წარმოადგენს კაპიტალის ანგარიშის ლიბერალიზაცია, რომლის გამოც ქვეყანაში შემოდის საკმაოდ დიდი მოცულობის ტრანსსასაზღვრო კაპიტალი პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სახით. მართალია ის, რომ პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, მაგრამ თითქმის უკონტროლოდ მოზღვავებულმა პორტფელურმა ინვესტიციებმა, განსაკუთრებით საბანკო სექტორში, რომელთა მოცულობამ თითქმის 2 მლრდ დოლარი შეადგინა, დიდი საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყნის საფინანსო სისტემას.

ისეთ პირობებში, როდესაც ეროვნული ვალუტის კურსი ხელოვნურადაა გამყარებული, იზრდება სახელმწიფო საგარეო ნასესხობები, შემოსული უცხოური კაპიტალი გაედინება საბანკო სექტორიდან და როგორც შემოსული უცხოური სპეკულაციური კაპიტალი ნაწილდება არათანაბრად, რაც შესაბამისად ქვეყანაში წარმოშობს მრავალ პრობლემას.

საქართველოში საბანკო ზედამხედველობის ინსტიტუტი ყურადღებას არ აქცევს საბანკო სექტორისთვის დამახასიათებელ ზემაღალ შემოსავლიანობას. არც იმითაა დიდად შეწუხებული, რომ საბანკო სისტემაში საფინანსო აქტივებზე ფასწარმოქმნა დამოკიდებულია არასაბანკო სექტორში არსებულ კონკურენციის პირობებზე, არამედ არარეზიდენტების ნებასურვილზე. უცხ-

ოურმა კაპიტალმა კარგახანია საკმაოდ ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოს საბანკო სისტემაში, ქვეყანაში 21 ბანკიდან 16 უცხოელთა მფლობელობაშია.

ჟ) აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობაზე კონტროლი

ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამსახურის მიერ არ ხდება დროული რეაგირება აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობაზე, რაც ხშირად წარმოადგენს ლიკვიდურობის კრიზისის განპირობებულ მიზეზს.

საზედამხედველო ორგანოები არ ითხოვენ კომერციული ბანკებისგან მყისიერი ლიკვიდურობის კოეფიციენტის დაცვას.

კომერციულ ბანკებში სავალდებულოს დასაცავი საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი რეალურად არაა დაცული. ამ მიმართულებით ზედამხედველობა ატარებს ფორმალურ ხასიათს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც საბანკო სექტორზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

რ) მაღალი რისკის შემქმნელი ჰაერიდან შექმნილი კრედიტები

კომერციული ბანკებიდან ხშირად კრედიტებს ქმნიან "ჰაერიდან" , რაც მაღალი რისკების შემცველია და წარმოადგენს ინფლაციური პროცესების მასტიმულირებელ ფაქტორს. რამდენადაც ამ სახის კრედიტები ეკონომიკაში ზრდიან არაუზრუნველყოფილი ფულის მასას.

ამ სახის კრედიტების ნეგატიური გავლენის განეიტრალება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ იგი უკან დაბრუნდება, რისი ალბათობა ყოველთვის მცირეა, მაგრამ კრედიტები თუ არ დაბრუნდა ასეთი სახის საკრედიტო რესურსი წმინდა ინფლაციური ფულია. ასეთი მაგალითები ხშირია საბანკო სისტემაში, რაც გაცემული კრედიტების უკან დაუბრუნებლობის შემთხვევაში წარმოიქმნება

დიდი რაოდენობით ვადაგადაცილებული დავალიანებები (ზოგჯერ მათი მოცულობა მილიარდ ლარსად კი აღწევდა). მაშასადამე, საზედამხედველო ორგანოების ასეთი დანაშაულებრივი საქმიანობა ხელს უწყობს ინფლაციის პროვოცირებას, ხოლო მეორე მხრივ, არაკომპეტენტურად ცდილობენ ინფლაციის მოთოკვას.

ცხადია, რომ ჰაერიდან შექმნილი ფული ემსახურება კერძო პირების ინტერესებს, ხოლო თვით სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს ეკონომიკა ამით სარგებლობას ვერ ნახულობს.

ს) ოქროს შენახვა და რეალიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებები

საერთოდ ქვეყანაში ოქროს მოპოვების, მისი შენახვის და რეალიზაციის საქმე ბნელითაა მოცული. დროა წესრიგი დამყარდეს ამ მიმართულებით, რასაც საზედამხედველო სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

საკვირველია ის, რომ ქვეყანაში ოქრო სათანადოდ არაა აღრიცხული და არ ირიცხება რომელიმე უწყების ბალანსზე. ოქროს რეზერვებისადმი ასეთი უყურადღებო დამოკიდებულება არა მხოლოდ ეროვნული ბანკის, არამედ, პირველ რიგში, ხელისუფლების უნიათობის შედეგია.როგორც ჩანს ოქროს შესახებ ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანოს მიერ არაა მიღებული სათანადო კანონი. სწორედ კანონით უნდა იყოს განსაზღვრული თუ ვინაა პასუხისმგებელი მის შენახვაზე, ზოდებად უნდა იქნეს შენახული, თუ მისგან მოიჭრას სერთიფიკატები. საინტერესოა, რატომ ინახავს მას ეროვნული ბანკი ან რატომ ჰყიდის ოქროს მაინცდამაინც „თი-ბი-სი" ბანკი და „საქართველოს ბანკი", იმ დროს, როცა ოქრო არავის ბალანსზე არა აღრიცხული?

ტ) საბანკო მენეჯმენტის დაბალი დონე

მენეჯმენრის ხარისხს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, ხოლო ეროვნულ

ბანკთან და კომერციულ ბანკებთან მიმართებაში მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საქართველოში საბანკო კაპიტალი არ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ბერკეტს.

სამწუხაროდ, დღეს კომერციული ბანკები ერიდებიან რეალურ სექტორზე კრედიტების გაცემას და ორინეტაციას იღებენ კაპიტალის მაღალი ბრუნვადობის მქონე მსესხებლებზე, კერძოდ სავაჭრო სექტორზე.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისთვის უმთავრეს პირობას წარმოადგენს კომერციულ ბანკებში და მარეგულირებელ ორგანოებში კვალიფიციური მენეჯმენტის არსებობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უმოქმედობა და უცოდინარობა იმაში გამოიხატება, რომ ფინანსური მარეგულირებლები საერთოდ ვერ ხედავენ კრიზისის გამომწვევ წინაპირობებს, არ ახდენენ მასზე დროულ რეაგირებას და ვერ უზრუნველყოფენ საფინანსო სისტემის სტაბილურობას. აქედან გამომდინარე ძალზე მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი ინსტიტუტის უსწრაფესად რეორგანიზაცია, რომლებიც მოწოდებულნი იქნებიან დაეხმარონ ხელისუფლებას ეროზიების დროულად გამოვლენაში, მათ დაძლევასა და ქვეყნის საბანკო სექტორის სტაბილურობის (ამაღლების) უზრუნველყოფაში.

იმისათვის, რომ საბანკო კაპიტალი გადაიქცეს ეკონომიკური ზრდის ამაღლების მთავარ ბერკეტად, აუცილებელია არსებითად გაიზარდოს მისი საინვესტიციო რესურსების ეფექტიანობა. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისთვის უმთავრესია კვალიფიციური მენეჯმენტის არსებობა როგორც კომერციულ ბანკებში, ისე მარეგულირებელ ორგანოებში.

თუ მენეჯმენტის ეფექტიანობას საერთოდ გააჩნია ფუნდამენტური მნიშვნელობა ეკონომიკის ნებისმიერი სუბიექტისთვის, მით უმეტეს, კომერციულ ბანკებთან მიმართებაში მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც პირველ რიგში განპირობებულია საბანკო საქმის მაღალი რისკიანობით.

უ) საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური კაპიტალის ზრდის ტენდენციები

საქართველოში 2014 წლისთვის ფუნქციონირებდა 21 კომერციული ბანკი, აქედან 16 უცხოურია.

ბოლო წლებში საქართველოს საბანკო სექტორში აშკარად შეინიშნება უცხოური კაპიტალის თავისუფალი შემოსვლა შვილობილი ბანკებისა და ფილიალების ფორმით, რომელთაც მნიშვნელოვანი რაოდენობით საკუთარი კაპიტალი გააჩნიათ და სარგებლობენ თავიანთი უცხოური სათაო ბანკების დიდი მხარდაჭერით. ამიტომ, უცხოური კაპიტალის მონაწილეობა საქართველოს საბანკო სექტორში საკმაოდ დიდია და შეადგენს მისი მთლიანი კაპიტალის 73-75%-ს. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყანაში არსებული შვილობილი ბანკების მფლობელები არიან არა მარტო უცხოური ძლიერი საფინანსო ინსტიტუტები,არამედ აგრეთვე გაურკვეველი წარმოშობის და საქმიანობის ორგანიზაციები, რომელთა მეტი წილი რეგისტრირებულია ოფშორულ ზონებში.

სამწუხაროდ, ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრუქტურებს აღნიშნულის შესახებ არასდროს არ მიუწოდებია ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისთვის. ყოველივე ამის გამო დღეს საქართველოს საბანკო სისტემაში შედარებით სტაბილურად და საიმედოდ გამოიყურებიან ის შვილობილი ბანკები, რომელთაც მფარველობას უწევენ უცხოური მსხვილი, მაღალი კაპიტალიზაციისა და რეიტინგის მქონე ბანკები.

შვილობილი ბანკები სათაო ბანკებიდან უფრო იაფ და შედარებით გრძელვადიან უცხოურ საკრედიტო რესურსს იღებენ, რაც მათ აყენებს უფრო მომგებიან მდგომარეობაში ადგილობრივი კაპიტალით შექმნილ ბანკებთან შედარებით, რითაც ირღვევა თანაბარი კონკურენციის პრინციპები.

საქართველოში უცხოური ბანკების საქმიანობის უკონტროლობის შედეგია ის, რომ საბანკო ოპერაციების მეტი წილი კონცენტრირებულია სწორედ მათ ხელში და ისინი ამით გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ქვეყნის შიგა ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

სწორედ მთავრობის, პარლამენტის და პრეზიდენტის აპარატის მიერ უნდა იქნეს შესწალილი ის, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვას. კერძოდ, იზღუდება თუ არა კრედიტების გაცემა ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის. დღეს კი აშკარაა ის, რომ ქვეყანაში საბანკო მხარდაჭერას მოკლებულია ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულებები – რეალური სექტორი, საშუალო და მცირე სამეწარმეო ბიზნესიც. ასეთ პირობებში, არაა გამორიცხული, საქართველო დროთა განმავლობაში მთლიანად დაკარგოს კონტროლი საბანკო სექტორზე და, შესაბამისად, ეკონომიკაზე.

საკითხის ამ ასპექტში განხილვასთან დაკავშირებით არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ საქართველოში საბანკო საფრთხის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშიშროებას – კერძოდ, კაპიტალის ანგარიშის ლიბერლიზაციის გაძლიერებას.

ბოლო წლებში საქართველოში შემოიჭრა საკმაოდ დიდი მოცულობის ტრანსსასაზღვრო კაპიტალი პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სახით. ქვეყნის საბანკო სექტორში უკონტროლოდ შემოსულმა პორტფელურმა ინვესტიციებმა შეადგინა თითქმის 2 მლრდ. დოლარი, რამაც დიდი საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგომარეობა. საქართველოსთვის, კონკრეტულად ისეთ პირობებში, სადაც ეროვნული ვალუტის კურსი ხელოვნურადაა გამყარებული, სუსტია მაკროეკონომიკური დეტერმინატები (განსაკუთრებით საგარეო სესხების უწყვეტი ზრდის პირობებში), არაადეკვატურია საფინანსო რეგულირება და საბანკო ზედამხედველობა, შემოჭრილმა სპეკულაციურმა კაპიტალმა წარმოშვა მრავალი პრობლემა.

საბანკო სისტემის განვითარება ქვეყანაში უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ მკაცრად განსაზღვრული ფინანსურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელების მიმართულებით და არა ბანკების სპეკულაციური ინტერესების და უცხოეთიდან მიღებული რეკომენდაციების მიხედვით. პირველ რიგში, გათვალის-

წინებული უნდა იქნეს ბიზნესის განვითარების სფეროები და ინტერესები.

სამწუხაროა ის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური მარეგულირებლები ვერ ამჩნევენ კრიზისის გამომწვევ წინაპირობებს, ვერ ახდენენ მათზე დროულ რეაგირებას და ვერ უზრუნველყოფენ საფინანსო სისტემის სტაბილურობას.

დღეისათვის საქართველოს საბანკო სისტემაში მიმდინარე მოვლენების ანალიზი და განზოგადება იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს საბანკო სექტორში ფინანსური მაჩვენებლების მდგრადობა გრძელვადიან პერიოდში საკმაოდ მაღალი რისკების შემცველია.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი სპეციალიზებული ინსტიტუტების დროულად შექმნა, რომლებიც მოწოდებული იქნებიან დაეხმარონ ხელისუფლებას კრიზისების დროულად გამოვლენაში, მათ დაძლევასა და საბანკო სექტორის სტაბილურობის ამაღლებაში.

ფ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნა დაკავშირებულია ისეთი მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, როგორიცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, სავალუტო სპეკულაციები და ა.შ. მისი სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია ეროვნული ბანკის შესახებ მოქმედი კანონის მეცხრე თავში. იგი საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან დამოუკიდებელი ორგანოა და თავისი საქმინობისას არ ექვემდებარება არცერთ სხვა ორგანოს და თანამდებობის პირს. საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, აგრეთვე მონიტორინგის შესახებ სამსახურის დებულების შესაბამისად. სადმე გაგონილა, რომ ერთი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარებოდეს მეორე, მის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის დამოუკიდებელ იურიდიულ პირს?

ამდენად, მეტას საინტერესოა მონიტორინგის სამსახური რატომ შედის ეროვნული ბანკის შემადგენლობაში? ზოგიერთის მოსაზრებით მონიტორინგის სამსახურის ეროვნულ ბანკთან შექმნა გამართლებულია მისი ზოგიერთი საქმიანობის ეროვნულ ბანკთან მჭიდრო დაკავშირებით და მიიჩნევენ, რომ ამ სამსახურის საქმიანობის წარმატებულად განხორციელების წინაპირობაა (ეს სერიოზული შეცდომაა). ისინი უნდა განცალკევდნენ, როგორც ორი დამოუკიდებელი სსიპ-ი. შექმნილი მდგომარეობა სრულიად სამართლიანად აყენებს მონიტორინგის სამსახურის სტატუსის დახვეწის აუცილებლობის საკითხს.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. იგი, როგორც ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი სსიპ-ია და ამ უკანასკნელს არ ემორჩილება.

ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეროვნულ ბანკთან კანონით განსაზღვრულ კავშირსა და დამოკიდებულებაშია, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ექვემდებარება. იგი, ისევე როგორც ეროვნული ბანკი, ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე და მან ყოველწლიურად ამ უკანასკნელთ უნდა წარუდგინოს თავისი საქმიანობის ანგარიში.

საერთოდ, საქართველოში გაუმართავი და სუსტია საბანკო ზედამხედველობის სამსახური, იგი არ პასუხიბს არც საბანკო სექტორის ეფექტიანი განვითარების მოთხოვნებს და არც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

ჩვენი აზრით, საქართველოში არა მარტო ეროვნული ბანკისა და მისი საზედამხედველო ორგანოების საქმიანობის შესწავლაა საჭირო, არამედ მთელი ქვეყნის ფულადი პოლიტიკის გადასინჯვაა აუცილებელი.

ამ მეტად მკვეთრი განცხადების საფუძველს ქვეყანაში შექმ-

ნილი მეტად ექსტრემალური მდგომარეობა გვაძლევს.

ეროვნული ბანკისა და საერთოდ, მისი საზედამხედველო სამსახურის საქმიანობის ობიექტური შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ ნათელი გახდება თუ რა იყო ლარის კურსის გაუფასურების მიზეზები, ასევე გამომზეურდება „იბიარდის კონცეფციის" ნამდვილი სახე, მისი ობიექტურობა და შორს გამიზნული ზრახვები.

§9. ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა გადასინჯვას მოითხოვს

საკანონმდებლო ხელისუფლებასთან – მთავრობასთან (მის ეკონომიკურ გუნდთან) და ეროვნულ ბანკთან ერთად ქვეყანაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფისა და განვითარებისთვის უნდა იღვწოდეს მთელი საზოგადოება, თითოეული მოქალაქე.

საქართველოს ეროვნული ვალუტის (ლარის) 1998/1999 და 2014/2015 წლების ინფლაციური პროცესების წარმოქმნა და განვითარება იმაზე მიანიშნებს, რომ ეროვნული ბანკი და ქვეყანაში ფულადი პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები სათანადოდ ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

სახელმწიფო შეშფოთებულია ბაზრების ინფლაციური უწონასწორობით, მაგრამ იგი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მის წარმომშობ მიზეზებს. იმის ნაცვლად, რომ დროულად და სისტემატურად ატარებდეს ინფლაციის საწინააღმდეგო პროფილაქტიკას, მეთოდურად ახდენს ინფლაციის უკვე ჩამოყალიბებული მექანიზმის დემონტაჟს, იგი მხოლოდ დაგვიანებით ცდილობს მისი გამოვლების ფორმების ჩაქრობას, დათრგუნვას.

როგორც წესი, ხელისუფლება ყოველთვის იგვიანებს, შემდგომ კი ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, რაც ქვეყანას მეტად ძვირი უჯდება. სამწუხაროდ საქართველოს მთავრობა, მისი ეკონომიკური გუნდი და ეროვნული ბანკი წლების მანძილზე სათანადოდ ვერ წარმართავნდნენ ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ამ მიმართულებით არ მუშაობდნენ შეთანხმებულად და არ ანაწილებდნენ წილობრივ პასუხისმგებლობას.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების მიუხედავად მიმოქცევაში შეინარჩუნა იმპერიული რუბლები და ამით ფაქტობრივად 5 წლით გაახანგრძლივა იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს არსებობა.

საკუთარი ეროვნული ვალუტის (ლარის) დაგვიანებით დაბეჭდვა და მიმოქცევაში გაშვება საქართველოს მილიარდობით აშშ დოლარი დაუჯდა. აღნიშნულის გამო დაიკარგა მოსახლეობის მიერ 1985-1992 წლებში კომერციულ ბანკებში შეტანილი 14 მლრდ მანეთის (მაშინდელ კურსზე 9 მლრდ აშშ დოლარი) ანაბარი.

ასევე, საქართველოს საგარეო ვალად დაეკისრა საბჭოთა პირობებში დაფიქსირებული მოკავშირე რესპუბლიკებთან საგადასახდო ვალდებულებები 550 მლნ. აშშ დოლარის რაოდენობით. ყველაზე უმძიმეს შეცდომას წარმოადგენდა ის, რომ ლარების მიმოქცევაში გაშვების შემდეგ, გაბატონებული მდგომარეობა კვლავ დოლარებმა დაიკავეს. აღნიშნულის შემდეგ ნეგატიური ტენდენციები წარმოიქმნა, როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში, რაც უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე. ლარმა ვერ გაუძლო დოლართან კონკურენციას და წარმოიქმნა ლარის კურსის ხელოვნური გამყარების აუცილებლობა.

დღეს საქართველოს ფინანსური უსაფრთხოების ყველაზე საშიშ მუქარას დოლარიზაციის (ნებისმიერი ქვეყნისთვის მიუღებელი) საოცრად მაღალი დონე წარმოადგენს, რომელიც, სამწუხაროდ, განუხრელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. დღეისთვის მისი ფაქტობრივი კოეფიციენტი მერყეობს 70-80%-ის ფარგლებში.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ საქართველოში მთელ რიგ გარიგებებში (ბინებით, ავტომანქანებით, მიწით, ავეჯით, ანტიკვარებით და ა.შ. ვაჭრობა) გადახდის საშუალების ფუნქციას ასრულებს მხოლოდ აშშ დოლარი.

საქართველოს საბანკო სისტემაში დემონირებული დეპოზიტების მთლიან რაოდენობაში დოლარების ხვედრითი წილი 85.5%-ს შეადგენს. ასევე აშშ დოლარებში გაცემული სესხების მოცულობა 5-6-ჯერ აღემატება ლარებში გაცემული სესხების მოცულობას.

საერთოდ, მსოფლიოში დოლარიზაციის ზედა ზღვარი 30%-ია. ე.ი. საქართველოში დოლარიზაციის დონემ დასაშვებ ზღვარს 2,5-ჯერ გადააჭარბა, მაშინ, როდესაც იგი იტალიაში 2.0%, იაპონიაში 5.1% და ა.შ.

როგორც ვხედავთ, დოლარიზაციის პროცესმა მოიცვა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფერო რეალური წარმოებით დაწყებული, ვაჭრობით დამთავრებული. ამით ლარის, როგორც საგადასახადო საშუალების გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად (30-20%-მდე) შემცირდა და მხოლოდ სამომხმარელო ბაზრის მომსახურებით შემოიფარგლა.

დღეს საქართველოს ეკონომიკა აშკარად ინგრევა ლარის სამოქმედო არეალის სიმცირისა და სივიწროვის გამო. კომერციული ბანკების მიერ ქვეყნის ეკონომიკის საჭირო რაოდენობით კრედიტების გაცემის შემთხვევაში ლარების რაოდენობა მიმოქცევაში ჭარბი თუ აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში ეროვნული ბანკი ზრდის სავალდებულო რეზერვების ნორმას და რეფინანსირების განაკვეთებს და ამცირებს მიმოქცევაში ლარის მიწოდებას.

როგორც ვხედავთ, დოლარიზაცია გასაქანს არ აძლევს ლარს და ხელს უშლის ქვეყანაში ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას.

დოლარიზაციის მაღალი დონის პირობებში საქართველოში ფაქტობრივად ადგილი არა აქვს რეალური ეკონომიკის ზრდას. ამდენად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ატარებს საკმარისად მკაცრ ხასიათს. ამ მიზეზის გამო ეროვნული ბანკი მხოლოდ ძნელად და დროებით ახერხებს ლარის კურსის სტაბილიზაციას. მაგრამ მთლიანად ეკონომიკაზე და მის შემდგომ განვითარებაზე ზემოქმედებას ვერ ახდენს.

ასეთ ვითარებაში ეროვნული ბანკი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რომ ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს წარმოებას, დასაქმებას, ინფლაციის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას და სწორედ ამის გამო ვერ ახორციელებს მკაცრ რესტრუქციულ პოლიტიკას.

ლარი ქვეყანაში თანდათან კარგავს ფულის ფუნქციას. ეს ყველაფერი ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლების ზედამხედველობით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფული ქვეყნის დამოუკიდებლობის ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორ ჰიმნი, დროშა და გერბი და მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ სიმბოლიკის გარდა ქვეყნის ეკონომიკის უმძლავრესი ბერკეტია, მაშინ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

საქართველოს ხელისუფლებამ დროულად ვერ შეიმუშავა საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და რეგულირების კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკაში სახელმწიფო როლის გაძლიერებას, ქვეყანაში მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოების გადიდებას, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფას და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, სათანადო ფულადი პოლიტიკა ვერ შეიმუშავა.

საქართველოში ფულადი პოლიტიკა (ისე როგორც საკუთრების განსახელმწიფოებრიობის (პრივატიზების) განხორციელების გზები და მეთოდები) აშშ-მ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა თავიანთი სურვილების მიხედვით განსაზღვრეს და განახორციელეს.

ეროვნულმა ბანკმა ჯერ (პირველ ეტაპზე) ვაშინგტონის კონსესუსის შესაბამისად განახორციელა „იაფი ფულის პოლიტიკა", მეორე ეტაპზე „ძვირი ფულის პოლიტიკა", ხოლო მესამე ეტაპზე „ნეოლიბერალური პოლიტიკა". ჩვენი აზრით ისინი ეტაპების მიხედვით მისადაგებულად არ ყოფილა გამოყენებული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ სავალუტო კურსის რეგულირების ერთმანეთისგან განსხვავებული ვარიანტების ასეთმა ექსპერიმენტულმა გამოყენებამ დიდი ზიანი მიაყენა ეკონომიკას. არცერთი ეს მოდელი არ აღმოჩნდა ქვეყნის ეკონო-

მიკური განვითარების დონის და ეროვნული ინტერესების შესაბამისი.

საქართველოს ეკონომიკას განსაკუთრებით ვერ წაადგა „ძვირი ფულის" პოლიტიკა, მან დაანგრია ეროვნული ეკონომიკა. ე.ი. სწორ არ აღმოჩნდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტების და საბაზრო ძალების გაძლიერების მონეტარული ღონისძიებები.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია ის, რომ დღეს ეროვნული ბანკი თავისი მონეტარული ინსტრუმენტებით ქვეყნის ეკონომიკაზე და მის შემდგომ განვითარებაზე ზემოქმედებას ვერ ახდენს.

ეკონომიკისთვის ფულის (კრედიტის) მიწოდების შეზღუდვა გახდა ეკონომიკის არასტაბილურობის და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი. „ძვირი ფულის" პოლიტიკა, როგორც ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, საქართველოში გამოიხატა ფულის მიწოდების შეზღუდვით, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებით (შესაბამისად, ფულის მულტიპლიკატორის შემცირებით), საპროცენტო განაკვეთის გაზრდით. აღნიშნულის შედეგად ჩაკვდა ეროვნული წარმოების განვითარება. ამას მოჰყვა საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობის დამუხრუჭება, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შესუსტება, შიგა ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემა, საგადასახადო ბაზის შეკვეცა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, საგარეო დავალიანების ზრდა და საგადასახადო ბალანსის დეფიციტი, საბოლოოდ კი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება.

სამწუხაროდ, საქართველოში ლარის კურსის განსამტკიცებლად არ გამოიყენება მსოფლიოში აპრობირებული მეთოდები (წარმოების ზრდა და მიმოქცევაში რაც შეიძლება მეტი საქონლის მიწოდება, ექსპორტის გაფართოება, იმპორტის შეკვეცა და ა.შ.). ხელისუფლება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციებით ლარის კურსის შესანარჩუნებლად მიმართავს ყველაზე მარტივ (დამღუპველ) გზას – რაც შეიძლება ნაკლებ ლარებს ტოვებენ მიმოქცევაში და სარეზერვო ფონდების

გაფლანგვის ხარჯზე ხელოვნურად ზრდიან ლარზე მოთხოვნას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყანას ლარის მოჩვენებითი სიმტკიცე მილიარდები დაუჯდა, კერძოდ არაერთგზის გამოილია უცხოური სესხებით რამდენჯერმე შევსებული ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები, წლების მანძილზე ნასესხები ფულით ხდებოდა ქვეყნის ვალუტის კურსის შენარჩუნება და ამისთვის იხარჯებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის სადოლარო ტრანშეები, ხოლო საქართველოს ეკონომიკა ნაღდი ფულის უკმარისობით იხრჩობოდა.

აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ვიდრე საქართველოში არსებული დოლარიზაციის ასეთი საოცრად მაღალი დონეა, მანამ აქ ვერცერთი მონეტარული ინსტრუმენტი ვერ იმუშავებს.

საქართველოში მკაცრი ფულადი პოლიტიკის გზით ინფლაციის დათრგუნვის უალტერნატივო შემოღებამ დასცა ქვეყანაში ერთობლივი მოთხოვნა, რამაც სამომხმარებლო მოთხოვნასთან ერთად ინვესტიციის მოთხოვნის მკვეთრი დაცემა გამოიწვია, ხოლო დაბალმა საინვესტიციო მოთხოვნამ თავის მხრივ განაპირობა ეკონომიკის ძლიერი მონოპოლიზაცია, ჩამოყალიბდა ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურა, ყოველივე ამას მოჰყვა საბიუჯეტო-საფინანსო კრიზისი, რომლისგანაც თავის დაღწევა უკვე მეოთხედი საუკუნეა ვერ ხერხდება.

საქართველოს ეკონომიკა დღეს ისეა მიხრწნილი, რომ მას არა აქვს მშპ-ის მაღალი ტემპებით განვითარების შესაძლებლობა, არ ძალუძს ინვესტირებისა და დაგროვებით განთავსება მატერიალური წარმოების სფეროში, არ შეუძლია იმპორტშეცვლის პოლიტიკის განხორციელება. ქვეყანამ 25 წლის მანძილზე ვერ დაძლია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, იგი ფლობს კოლოსალური ოდენობის საგარეო ვალს და ა.შ.

ამდენად, სერიოზული ცვლილებების განხორციელებას საჭიროებს არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში წარმოების უკიდურესი დაქვეითების, საინვესტიციო მოთხოვნის დაცემას და, საბოლოო ანგარიშით ინფლაციური პროცესების გაძლიერების ძირითადი ფაქტორი გახდა.

საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დროა დაგმოს ჩვენი უკეანეგაღმელი „მეგობრების" მიერ თავსმოხვეული მაკროეკონომიკური რეგულირების (ქვეყნის სინამდვილისთვის მიუსადაგებელი) კონცეფციები და მოდელები და გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნისთვის მისაღები ეკონომიკური ზრდის მოდელები.

ჩვენი აზრით, საქართველო გარკვეული დროით უნდა დაუბრუნდეს ვალუტის ფიქსირებულ კურსს. ამჟამად ძალიან ბევრი (განსაკუთრებით, ეკონომიკურად ჩამორჩენილი) ქვეყანა ლათინურ ამერიკასა და აზიაში იყენებს ფიქსირებულ კურსს, ასევე პოსტკომუნისტური სივრცის თითქმის ყველა ქვეყანა დღემდე „ფიქსირებული კურსის" რეჟიმში ცხოვრობს. მართალია, ფიქსირებულ კურსზე გადასვლას მოჰყვება ფასების ზრდა, მაგრამ გაცილებით უმტკივნეულოდ გადაწყდება ბევრი პრობლემა, პირველ რიგში, ქვეყანა გადაურჩება ინვესტიციების გზით ყოველწლიურად ასეულობით მილიონი დოლარის „გადაყრას".

დღეისათვის საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენების ანალიზი და განზოგადება იმაზე მიუთითებს, რომ მათ საქმიანობაში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები, შეზღუდული ფინანსური რესურსები და სუსტი საბანკო სისტემა ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

როგორც ითქვა, ამჟამად საქართველოში 21 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, აქედან 16 უცხოურია. უცხოური კაპიტალი შეადგენს საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი კაპიტალის 73-75%-ს.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ბანკები შემოდიან შვილობილი კომპანიებით. აღნიშნული შვილობილი ბანკების მფლობელები კი ხშირად არიან გაურკვეველი წარმოშობისა და საქმიანობის ორგანიზაციები, რომელთა მეტი წილი ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული.

დღეს საქართველოს საფინანსო სისტემის საბანკო ოპერაციების მეტი წილი კონცენტრირებულია სწორედ მათ ხელში და გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ქვეყნის შიგა ეკონომიკურ საქმიანობაზე.

სათანადო კონტროლი არ ხორციელდება საქართველოში საკმაოდ დიდი მოცულობით ტრანსასასზღვრო კაპიტალის (პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების) შემოდინებაზე.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნია საკუთარი ეროვნული საბანკო სისტემა, რაც ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მაღალი რისკების შემცველია და ქვეყნის დამოუკიდებლობას ემუქრება.

ამჟამად, საბანკო სექტორში დაგროვილი თავისუფალი, უმოძრაო ფული, ერთი მხრივ, ამცირებს ბანკების პოტენციური შემოსავლიანობის დონეს, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის აქტივებზე ფასების სპეკულაციური ზრდის შესაძლებლობას და ირიბად გავლენას ახდენს ინფლაციის ზრდაზე.

რაც შეეხება საქართველოს საბანკო ზედამხედველობის ინსტიტუტს, იგი არ პასუხობს არც საბანკო სექტორის ეფექტიანი განვითარების მოთხოვნებს და არც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

როგორც ეს ეროვნული ბანკის, ქვეყანაში საბანკო საქმიანობის საზედამხედველო ორგანოების და კერძოდ საბანკო ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის ანალიზიდან ნათელია, ისინი არსებით პოზიტიურ ზეგავლენას ვერ ახდენენ ქვეყნის საბანკო სექტორზე და მთლიანად ეკონომიკაზე. კონკრეტულად, მათ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ ისეთ შეცდომებსა და დანაშაულებრივ ქმედებებზე როგორიცაა:

1. სავალუტო რეზერვების ნორმისა და რეფინანსირების განაკვეთების არასწორი განსაზღვრა;
2. სავალუტო სპეკულაციურ ოპერაციებში მონაწილეობა;
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით საზღვარგარეთ უცხოური ვალუტის გადინება;
4. რეფინანსირების სესხების მეტისმეტად ლიბერალური და გამარტივებული წესით გაცემის მიუღებელი პოლიტიკის დანერგვა;
5. ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში შეცდომები და დარღვევები;

6. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების არასწორად წარმართვა;

7. საკრედიტო რესურსებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების არასწორად დაწესება;

8. სარეზერვო ფონდებიდან ინვესტიციების არასწორად და არადროულად განხორციელება;

9. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებში დოლარებით გაცემული კრედიტების მაღალი ხვედრითი წილით გაცემა;

10. ინფლაციური პროცესების მასტიმულირებელი ფაქტორის – კრედიტების ჰაერიდან შექმნა;

11. კომერციული ბანკების მიერ სავალუტო გაცვლითი კურსის ხელოვნური მონოპოლიზება და ა.შ.

12. ეროვნული ბანკის პრეზიდენტებს ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილი ჰყავდათ ახლო მეგობრები, ნათესავები და მათთვის საჭირო (ფინანსური მეცნიერების და პრაქტიკის არმცოდნე, არაკვალიფიციური) ადამიანები. ზოგიერთი პრეზიდენტი თავად იყო ნეპოტიზმის პროდუქტი და ა.შ.

დღეს ქვეყნის მთავრობა და საზოგადოების დიდი ნაწილი აქ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის[1] თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ. ბრალს დებენ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში „ქართუ ბანკის" და კიდევ ოხი კომერციული ბანკის გაკოტრების მცდელობაში და ა.შ. მაგრამ ეს ქვეყნისათვის მთავარი არაა, ამათ სამართალდამცავი ორგანოები შეისწავლიან დასინამდვილეს დაადგენენ. ამდენად, აპრიორი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისგებაში მიცემა კი არაა, არამედ საქმე ეხება ქვეყნის ფულადი პოლიტიკის განხორციელებაში დაშვებულ დამღუპველ შეცდომებს.

სამწუხაროს ის ფაქტი, რომ ქვეყნის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი დაუსაბუთებლად იზიარებს ეროვნუ-

1 იგულისხმება გიორგი ქადაგიზე (რედ.).

ლი ბანკის პრეზიდენტის მცდარ შეხედულებას და რატომღაც საქართველოს ეროვნული ბანკის საფინანსო ზედამხედველობის სამსახური საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის) დაქვემდებარებულ სტრუქტურად მიაჩნიათ.

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და მთელი საბანკო ზედამხედველობის სამსახურის შემადგენლობის ბრალეულობა ისაა, რომ მათ პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობისთვის არასოდეს მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვეყნის საბანკო სისტემაში (ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ და გაანალიზებულ) იმ კატასტროფული მდგომარეობის შესახებ, რომელიც დღეს ქვეყნის დამოუკიდებლობას ემუქრება.

საქართველოში 2014 წლის ნოემბერში დაწყებული ინფლაციური პროცესების შედეგად ლარის კურსი დოლარის მიმართ 30%-ით გაუფასურდა და ინფლაციის ეს დონე 2015 წლის ივლისის ბოლომდე შენარჩუნდა. ივლისის დასაწისიდან დოლარის მიმართ ლარის კურსი უმნიშვნელოდ შეიცვალა და (1 აშშ $=2,024 ლარი), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ინფლაციური პროცესები კლავაც გრძლდება (როგორც ამას მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, იგი შეიძლება კიდევ 2-3 წელი გაგრძელდეს). როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენეს, ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ ასეულობით მილიონი ლარი დაკარგა. სამწუხაროდ ეს პროცესი არ შეჩერებულა და კვლავაც მიმდინარეობს. ამას დაემატა ისიც, რომ ინფლაციის პროცესში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო რეზერვებიდან დაახლოებით ერთ მილიარდამდე დოლარის ინტერვენცია განახორციელა (ფაქტობრივად იგი წყალში გადაყარა) და აი ამ შემაძრწუნებელი ფაქტების შემდეგ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – პარლამენტმა ეროვნული ბანკის (ქვეყანაში ფულადი პოლიტიკის განხორციელებაზე უშუალო პასუხისმგებელი ორგანოს) შემოწმება გადაწყვიტა და მერე რა, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა? ეს უპასუხისმგებლო განცხადებაა, მსგავსი განცხადებები პრეზიდენტის რეზიდენციიდან არ უნდა

კეთდებოდეს. ეს პრეზიდენტის შეურაცხყოფაა.

ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს ვინ რას აკეთებს ან აფუჭებს ლარისა და ქვეყნის მთელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართ, სულ ერთია ეს ეხება ხელისუფლებას, მთავრობას (მის ეკონომიკურ გუნდს), ეროვნულ ბანკს თუ ნებისმიერი ჩვენთაგანს.

ამდენად, არაა სწორი, ეკონომიკის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის (ასევე სხვათა მიერ) გაკეთებული განცხადებები ეროვნული ბანკის შემოწმების პოლიტიკურობის თაობაზე.

ასევე, მიუღებელია ის, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი აღფრთოვანებულია ეროვნული ბანკის საქმიანობით და იგი ქვეყნის ყველაზე წარმატებულ სექტორად მიაჩნია.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის პოლ სამუელსონის ძალიან მისადაგებული შეფასება – „ადამიანი რომელსაც სისტემატურად არ უსწავლია ეკონომიკა, ჰგავს ყრუს, რომელიც ცდილობს შეაფასოს მუსიკალური ნაწარმოები".

როგორც ზემოთ ვნახეთ, ლარის გაუფასურების მიზეზი ბევრად უფრო სერიოზულია და ფუნდამენტური, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებს და თავად საქართველოს ხელისუფლებას წარმოუდგენია. ეს უპირველეს ყოვლისა არის პრობლემები ეკონომიკაში, რომლებიც განპირობებულია მთელი რიგი საგარეო და შიგა ფაქტორებით.

ქვეყანისთვის საოცრად საშიში და სახიფათოა, განსაკუთრებით ინფლაციური პროცესების გაღრმავების ფონზე, ანტისაბანკო განწყობილებების გაღვივება. ხშირ შემთხვევაში დაუფიქრებლად მოქმედებენ პრესა, ტელევიზია და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და ა.შ.

პრესაში ხშირად იბეჭდება არაკვალიფიციური ავტორების წერილები, ხოლო ტელევიზიები (განსაკუთრებით „რუსთავი-2"-ის) ტელეწამყვანები და ტელეკორესპონდენტები სამარცხვინო საქციელს ჩადიან, ინტერვიუებს იღებენ ბაზრობებზე ქორ-ვაჭ-

რებისგან, ქუჩებში აჩერებენ განმვლელებს, ტაქსის მძღოლებს და შეგნებულად ართულებენ ქვეყანაში შექმნილ ისედაც გართულებულ სიტუაციებს და ამით დიდ „თვითკმაყოფილებას" გრძნობენ.

საერთოდ ეკონომიკურად ჩამორჩენილ და დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში ეკონომიკური დიაგნოსტიკა და ეკონომიკური სფეროს ხელმძღვანელობა ყოველთვის მინდობილი აქვთ არაპროფესიონალ და დაბალი კვალიფიკაციის ეკონომისტებს.

ნაცვლად იმისა, რომ სპეციალისტების მიერ გაკეთებულიყო მიმდინარე ინფლაციური პროცესის ობიექტური ანალიზი და მის აღმოსაფხვრელად მთავრობისა და ეროვნული ბანკისთვის მიეწოდებინათ საქმიანი წინადადებები, პოლიტიკურმა პარტიებმა, პრესამ, ტელევიზიამ და მთელმა მედიასივრცემ ორგანიზებული პანიკა მოაწყო.

საკითხის ამ ასპექტში განხილვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტის დროს სათანადოდ ან სრულიად არ იყენებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივ, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულ სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციურ მეცნიერებს და გამოცდილ პრაქტიკოსებს.

ასევე, მიუტევებელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ამჟამად შემოქმედებითი ასაკის მაღალი დონის მეცნიერ-ეკონომისტების პასუხისმგებელ თანამდებობებზე არდასაქმება.

პოლიტიკური პარტიების ლიდერები გულზე მუშტების ბრახუნით სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულზე იფიცებენ და ამ დროს არ ფიქრობენ, რომ მათი გაუაზრებელი, არაარგუმენტირებული და არაკვალიფიციური დეზინფორმაციებით უდიდეს ზარალს აყენებენ მოსახლეობას, მეანაბრეებს და ინვესტორებს.

პირდაპირ სამარცხვინოა, როცა ე.წ. ექსპერტები პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებსა და ტელევიზიით გამოსვლებ-

ში ინფლაციური პროცესების წარმოქმნისა და განვითარების მიზეზად უამრავ აბსურდს რომ ასახელებენ.

ზოგიერთი ექსპერტი მხოლოდ ექსპორტ-იმპორტის 2-5%-ით, ან უცხოეთიდან ჩვენი თანამოქალაქეების მიერ გამოგზავნილი თანხების (ე.წ. გზავნილების) 2-3 %-ით კლების ან მატების მიზეზით ხსნის ინფლაციური პროცესების წარმოქმნასა და დოლარის მიმართ ლარის კურსის 30%-იან გაუფასურებას.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით კი „ზაფხულში ტურიზმიდან შემოსავლების გადიდების შედეგად ყველაფერი მოგვარდება" და ა.შ.

საერთოდ, არც სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სტრუქტურებში ზრუნავენ ინფლაციური მოლოდინის ჩაქრობაზე (ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგების (დეპოზიტების) გაუფასურების შიშისგან განთავისუფლებაზე), ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ანტიმონოპოლიური კანონდებლობის დანერგვაზე, მცირე ბიზნესის განვითარებაზე, წარმოების დივერსიფიკაციაზე და ა.შ. ეს ღონისძიებები პირდაპირი გზით უდიდეს დადებით გავლენას მოახდენდა ინფლაციის მექანიზმზე, განაპირობებდა ინფლაციის თანდათანობით აღმოფხვრას და, აქედან გამომდინარე, ხელს შეუწყობდა ინფლაციური მოლოდინის ლიკვიდაციას, მაგრამ, ამას ჩვენთან ნაკლები ყურადღება დაეთმო, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიღო.

ამასთან დაკავშირებით, საკმარისია გავიხსენოთ XIX საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი მაგნატის ნათან როტშილდის გამდიდრების მეტად საინტერესო ისტორია.

ნაპოლეონ ბონაპარტის უკანასკნელი ომი, რომელიც ისტორიაში ვატერლოს ომის სახელწოდებითაა ცნობილი, ბელგიის სოფელ ვატერლოსთან მოხდა. იგი საბედისწერო აღმოჩნდა ნაპოლეონისათვის და საბედნიერო ნათან როტშილდის ფინანსური საქმიანობისთვის.

ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლ მოკავშირეთა ჯარებს ინგლისის ჯარების სარდალი ველინგტონი ხელმძღვანელობდა. ეს ომი, როგორც ცნობილია, წააგო ომების „მკეთებელმა" ნაპო-

ლეონ ბონაპარტმა, მაგრამ რატომღაც ინგლისში მივიდა არასწორი ინფორმაცია, რომ ნაპოლეონმა ომი მოიგო.

მცდარი ინფორმაციის საფუძველზე (რომ ნაპოლეონმა ომი მოიგო) ინგლისის მოსახლეობამ ჩათვალა, რომ არასასურველი სტუმარი ნაპოლეონის სახით რამდენიმე კვირაში ინგლისში იქნებოდა, ამიტომ დამფრთხალი მდიდარი ინგლისელები სასწრაფოდ და დაბალ ფასებში ყიდდნენ თავიანთ მოძრავ და უძრავ ქონებას, აქციებს, საწარმოებს და ყველაფერს რის წართმევასაც მოელოდნენ ნაპოლეონისგან.

ამ დროს ინგლისში იყო ერთადერთი კაცი (როტშილდების მსხვილი ფინანსური ოლიგარქის ინგლისური შტოს ერთ-ერთი წინაპარი) ნათან როტშილდი, რომელიც ჩალის ფასად ყიდულობდა ყველაფერს, რასაც კი გასაყიდად წააწყდებოდა, ეს იმით იყო განპირობებული, რომ ვატერლოს ომს განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდა ნათან როტშილდის მიერ ინგლისის ჯარებს სპეციალურად მიდევნებული პატარა ჯგუფი, რომელიც ყველა მნიშვნელოვან საკითხებზე ზუსტ ინფორმაცია აწვდიდა მას.

რამდენიმე დღეში არასწორი ინფორმაცია გასწორდა, მასთან ერთად წელში მყარად გასწორდა როტშილდიც, იგი ამ არასწორი ინფორმაციის წყალობით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა.

ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის ოპოზიციური პარტიები, ექპერტები, ჟურნალისტები, პრესა, ტელევიზია და ა.შ. ზრუნავდნენ ინფორმაციული მოლოდინის ჩაქრობაზე, პირიქით მოქმედებენ, ხელს უწყობენ მის გაძლიერებას. მთავრობის ეკონომიკური გუნდისა და ეროვნული ბანკის მისამართით უფრო მეტად არასწორ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას, რაც პირველყოვლისა უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების ფსიქოლოგიაზე.

ოფიციალური პროცესების წარმოქმნისა და გაძლიერების ობიექტურ მიზეზებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ სუბიექტური ხასიათის მიზეზებს, როგორიცაა აჟიოტაჟი, პანიკა, დეზინფორმაცია, პოლიტიკური დივიდენ-

დების მოპოვების მიზნით პოლიტიკოსთა ტენდენციური განცხადებები, ექსპერტთა არაკვალიფიციური დასკვნები და ა.შ.

ამ მიმართებით განსაკუთრებით აქტიურობენ ტელევიზიები. ისინი (დაბეჯითებით) დიდი მონდომებით ცდილობენ წარმოქმნილი სავალუტო კრიზისის დამანგრეველი შედეგების გარდუვალობის დასაბუთებას. ისინი ობიექტური ვითარების შესახებ ინფორმაციების მისაღებად კი არ მიმართავენ საქართველოში მოღვაწე საბანკო საქმის მცოდნე მაღალკვალიფიციურ მეცნიერ-სპეციალისტებს, არამედ ინფლაციურო პროცესების წარმოქმნის მიზეზების დასადგენად ხელისუფლების მოწინააღმდეგე ელემენტებს ეყრდნობოდნენ.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოს წინაშე დგას მრავალი პრობლემა, ყველა მათგანი სერიოზულ განხილვას, მეცნიერულ შეფასებას და გონივრულ გადაწყვეტას მოითხოვს.

თუ თითოეულს განვიხილავთ მათი მნიშვნელობის და პრიორიტეტების თვალსაზრისით, აღმოჩნდებას, რომ მათგან ყველაზე უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მთავარ სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს, მასზე დამოკიდებულია ეროვნული უსაფრთხოების სხვა სტრუქტურული ელემენტების უზრუნველყოფა, კერძოდ, როგორიცაა: პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური, ეკოლოგიური, რეგიონული, სოციალური და ა.შ. სტაბილურობა.

ეკონომიკური უსაფრთხოების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში შეიქმნას მატერიალური წანამძღვრები საზოგადოების ყოველმხრივი განვითარებისთვის და გახდეს იგი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სუბიექტი. ესაა ეროვნული ეკონომიკის ისეთი უნარი, რომელიც უზრუნველყოფს ერის კეთილდღეობას და შიგა ბაზრის სტაბილურობას.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს არ გააჩნია მთავრობისა და პარლამენტის მიერ მეცნიერულ დონეზე შემუშავებული და ოფიციალურად დამტკიცებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა-პროგრამა.

არ არსებობს ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია. ხელისუფლება მოქმედებს მხოლოდ აშშ-სა და ევროკავშირის მითითებებით, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო ორგანიზაციების კარნახითა და რეკომენდაციებით.

დღეს ძირეული ეკონომიკური რეფორმების გაუტარებლად

შეუძლებელია ეკონომიკური უსაფრთხოების რაიმე სისტემის შექმნაზე საუბარი.

საქართველოს, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად ითვლებოდა, ამჟამად უკიდურესად ჩამორჩენილთა რიგებშია. 2015 წლის მონაცემებით მათ ჯერ კიდევ არა აქვს მიღწეული ეკონომიკური განვითარების 1990 წლის დონე, მაშინ, როდესაც ეს ზღვარი მოკავშირე რესპუბლიკების აბსოლუტურიმა უმრავლესობამ (გარდა მოლდოვისა, უკრაინისა და საქართველოსი) უკვე კარგახანია გადალახა.

დღეს საქართველო ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფში შედის.

ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით აუცილებელია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეფციების შესწავლა და გათვალისწინება.

ეკონომიკური უსაფრთხოების სერიოზული თეორიული ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ ისტორიული ხასიათის ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით. ამ მიმართულებით საჭიროა ეკონომიკური უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში გაანალიზებული (ევროპისა და საერთოდ, მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების) უმდიდრესი გამოცდილების შესწავლა და გაზიარება.

საქართველოში არასდროს არ შემუშავებულა ეკონომიკური განვითარების სტრუქტურისა და მექანიზმების სრულყოფისა და განვითარების პერსპექტიული პროგრამები. ამ მიმართებით არცერთ მთავრობას არ გამოუჩენია მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ეროვნული მოდელებისადმი სათანადო მეცნიერული და პრაქტიკული ინტერესი, რათა მათგან შეერჩიათ საქართველოსთვის ყველაზე მისაღები და მიმზიდველი ვარიანტი (სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ჯგუფი, სინგაპური, სამხრეთ კორა, ახალი ზელანდია, მექსიკის, ბრაზილიის, გერმანიის ეკონომიკური განვითარების მოდელი და ა.შ.).

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ეკონომიკური ზრდა ერთ ადგილს ტკეპნის და მას არ გააჩნია მყარი და მზარდი ტენდენცია.

ოთხი ძირითადი მაჩვენებლიდან (ერთობლივი მოთხოვნა, ინვესტიციები, წმინდა ექსპორტი და სამთავრობო ხარჯების შემცირება), რომლებზედაც დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდა, ყველა უარყოფითია.

ყველა შესაძლებლობა არსებობდა, რათა ქვეყანა შედარებით დამოუკიდებელი და ნაკლებად დაქვემდებარებული ყოფილიყო ერთ რომელიმე სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ჯგუფს ან მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა ბლოკებისგან, მაგრამ საქართველოს მთავრობებმა ეს ვერ გააკეთეს.

ჩვენი აზრით, ქვეყანას აუცილებელია ჰქონდეს საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის (ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების) მეცნიერულად დასაბუთებული (მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ შემუშავებული და აპრობირებული), საყოველთაო-სახალხო დონეზე განხილული და მოწონებული პროგრამა-სტრატეგია.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, ყველა მთავრობა თავგამოდებით ცდილობდა ხალხის დაჯერებას, რომ მხოლოდ ისინი შეძლებენ ქვეყნის ეკონომიკის აყვავებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერცერთმა მათგანმა ვერ გაამართლა ერისა და ქვეყნის იმედები.

უკვე 25 წელია, რაც საქართველო დამოუკიდებელია და ისევ იმ სიდუხჭირესა და უბედურებაში ვიმყოფებით, რითაც ჩვენი დამოუკიდებლობა დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად, გერმანია ეკონომიკურად და პოლიტიკურად სრულიად დანგრეული და განადგურებული ქვეყანა იყო. 25 წლის შემდე, ანუ 70-იანი წლების დასაწყისისთვის კი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ იქცა. იგივე შეიძლება ითქვას იაპონიაზე, ატომური ბომბებით დანგრეული და მორალურად განადგურებული ქვეყანა 70-იანი წლების

დასაწყისისთვის უკვე ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ მოევლინა მსოფლიოს. დღეს ამ ქვეყანას პერმანენტულად თავს ატყდება უძლიერესი ბუნებრივი კატასტროფები, მაგრამ ეს ერი წარმატებით უმკლავდება ყველაფერს და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით მსოფლიოში პირველი ადგილს იკავებს.

ისრაელი, დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ (1948 წლიდან) გამუდმებით არის ჩართული ომებში. მისი ტერიტორია 3-ჯერ ნაკლებია საქართველოს ტერიტორიაზე, მოსახლეობა კი საქართველოს მოსახლეობაზე 2-ჯერ მეტი. კლიმატი და ბუნებრივი პირობები ბევრად უარესია, მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ანალიზს განცვიფრებამდე მიჰყავს მთელი მსოფლიო.

თუნდაც ავიღოთ ტერიტორიით საქართველოზე პატარა ქვეყანა – ჰოლანდია (ნიდერლანდები), იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მისაბაძი აგრარული და სამრეწველო ინდუსტრიის ქვეყანაა. აშენებს მსოფლიოში საუკეთესო გემებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მთელს ევროკავშირში. ასეთი უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება.

მაშ რა სჭირს საქართველოს, რატომ ჩვენ ვერაფერი შევძელით კინკლაობის, შიგაომების, მექრთამეობის, დატაცებისა და ყაჩაღობის გარდა?

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე არსებულმა ხელისუფლებებმა ნგრევისა და ძარცვის გზა აირჩიეს და დაგვიტოვეს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც გამოცლილი აქვს ეკონომიკური განვითარების საფუძველი, იგი დაკაბალებულია კოლოსალური ვალებით და საკუთარი მოსახლეობის გამოკვებაც არ შეუძლია.

გვაქვს მსოფლიოში მაღალნაყოფიერებით გამორჩეული მიწა, წყალი, კლიმატი, საუკეთესო მდებარეობა, ვართ საზღვაო და ამავე დროს, მაღალმთიანი ქვეყანა, გვაქვს კურორტებისა და სამკურნალო მინერალური წყლების დიდი მრავალსახეობა (რაც იშ-

ვიათობას წარმოადგენს ჩვენს პლანეტაზე), გვაქვს სასარგებლო წიაღისეული (ოქროს საბადოც კი), მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ ბიომრავალფეროვნებით და ამავე დროს გვყავს ბევრი მშიერი, გაღატაკებული და პატივაყრილი ხალხი. ვინ არის ამაში დამნაშავე?

რა თქმა უნდა, ჩვენ, ქართველები და ჩვენს მიერ "არჩეული" ხელისუფლება.

გარდამავალი პერიოდის ყველა ეტაპზე ყველა სფეროში დაშვებულ იქნა გამოუსწორებელი შეცდომები.

მაგალითად, ქვეყანაში არ იქნა შედგენილი მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით ქონების განსახელმწიფოებრიობის ეროვნული პროგრამა. იგი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს მიანდეს, რომლებმაც ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა მოკლე დროში დაანგრია.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ქონების განსახელმწიფოებრიობის განხორციელების თანდათანობითი, დროში გაწელილი „გრადუალიზმის" მეთოდის ნაცვლად, თავს მოახვიეს სპონტანური „შოკური თერაპიის" მეთოდი.

იმის ნაცვლად, რომ ეროვნული ინტერესებით გათვალისწინებით განსაზღვრულიყო კერძო და სახელმწიფოებრივი საკუთრების თანაფარდობის მიახლოებითი კოეფიციენტები, პირიქით ყოველგვარი ეკონომიკური და პოლიტიკური დასაბუთების გარეშე გაიყიდა მიწა, წიაღისეული, ტყე, საჰაერო სივრცე, სანაოსნო, ანუ სრულიად საქართველო.

ქვეყანაში დღემდე გაყიდულია 22 ათასზე მეტი ობიექტი (124 მლრდ დოლარად შეფასებული ფიზიკური კაპიტალის საპრივატიზებოდ გამოყოფილი ობიექტების 80%-ზე მეტი) და სულ მათი რეალიზაციიდან მიღებულია 3.5 მლრდ ლარი, ანუ 1.5 მლრდ აშშ დოლარი – ე.ი. ქვეყნის ფიზიკური კაპიტალის ღირებულების 2.4%.

აღნიშნული თანხები უნდა მოხმარებოდა საპრივატიზებო ობიექტების აღდგენას, მცირე ბიზნესში წარმოების განვითარე-

ბის ღონისძიებებს, მაგრამ იგი გამოყენებული იქნა პრივატიზების განმახორციელებელი სახელმწიფო სტრუქტურების შენახვისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად და საგარეო ვალის მომსახურებისთვის.

გაიყიდა ისეთი ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ სახელმწიფო ეკონომიკური, სამხედრო სტრატეგიული და პოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

მთელი პრივატიზებული ობიექტების დაახლოებით 85% ნომენკლატურული ელიტის ხელში აღმოჩნდა, ხოლო 15 პროცენტი დანარჩენ საქართველოს ერგო. ქვეყანაში არ წარმოიქმნა ე.წ. საშუალო ფენა. დაეცა წარმოების ტემპები, წარმოიქმნა ბიუჯეტის დეფიციტი. 124 მლრდ დოლარის ფიზიკური კაპიტალის ღირებულებიდან მოსახლეობას მხოლოდ 150 მლნ დოლარის ღირებულების „ვაუჩერები" დაურიგეს. საპროვატიზებო ბარათების „ვაუჩერების" დარიგებამ, რომელიც სოციალური სამართლიანობის ეგიდით განხორციელდა, ვერ გაამართლა.

საზოგადოებას მოატყვილეს.

ოფიციალური მონაცემებით ფარული პრივატიზების პროცესის განხორციელების შედეგად მოსახლეობის 10-15%-მა ხელში ჩაიგდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძირითადი ფონდების 75%-ზე მეტი, ხოლო 85-90%-მა სახელმწიფო ქონებიდან ვერ მიიღო ვერავითარი წილი, გარდა „ვაუჩერისა".

მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 33 ათასი დოლარის ნაცვლად ოფიციალურად თითოეული მოქალაქის წილი 30 დოლარის ექვივალენტის ლარებით განახორციელეს. სხვადასხვა მიზეზის გამო „ვაუჩერები" ვერ მიიღეს მოქალაქეთა 15.4%-მა. ინფლაციურ პროცესებთან დაკავშირებით „ვაუჩერების" ფაქტიური ღირებულება 4-5 ლარამდე დაეცა და მოსახლეობამ ისინი „ახალ მდიდრებს" მიჰყიდა. საბოლოოდ საზოგადოებას თვალებში ნაცარი შეაყარეს.

მაშასადამე, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე თითქმის

ფორსირებულმა, მაგრამ ასეთმა უსისტემო გადასვლამ გამოიწვია მოსახლეობის უმრავლესობის აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკება, საზოგადოების წევრთა საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენცირების საშიში გაღრმავება.

განა შეიძლებოდა ბორჯომის, ნაბეღლავის და სხვა უნიკალური მინერალური წყლების კერძო პირებზე გაყიდვა? უფრო უპრიანი არ იყო, რომ ისინი სახემწიფო საკუთრებაში დაეტოვებინათ? მით უმეტეს, როცა მისი წარმოება არ მოითხოვდა ნედლეულის, რაიმე ძვირადღირებული ტექნიკის, ტექნოლოგიების და ტარის საზღვარგარეთიდან შემოტანას.

გასაოცარია ის, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობების მიერ იქნა უგულებელყოფილი განსახელმწიფოებრიობის მიმართულებებს შორის ყველაზე პოპულარული ფორმის აქციონერული საზოგადოების და კოლექტიური საკუთრების ბაზაზე ე.წ. სახალხო წარმოების შექმნა, რომელიც საქართველოს ეროვნული მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების, რეკონსტრუქციის, ორგანიზაციულ-მეურნეობრივი და განაწილებითი ურთიერთობების სრულყოფის პირობებში ყველაზე ადვილად უზრუნველყოფდა საპრივატიზებოდ განკუთვნილ საწარმოებში დასაქმებულთა ინტერესების ერთიანობას, თანასწორობას და კეთილდღეობას.

არ უნდა დაგვეჯერებინა ოკეანესგაღმელი „მეგობრებისთვის", უპირატესობა არ უნდა მიგვენიჭებინა „აგრესიული პროვატიზებისთვის", არამედ უნდა შეგვექმნა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურა, ახალი საწარმოების შექმნის და ძველის სანაციის გზით. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ყველა საწარმოს დახურვა და ეკონომიკის მასობრივად ნგრევა, სწორედ ამ შემთხვევაში შედარებით უმტკივნეულოდ უზრუნველვყოფდით საბაზრო ეკონომიკაზე ევოლუციური გზით გადასვლას.

ამ ფონზე გამოიკვეთა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესუსტების და სახელმწიფო როლის უგულებელყოფის ტენ-

დენციები.

როგორც ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ დავრწმუნდით, სწორი არ ყოფილა ასეთი შეხედულება. კი არ უნდა უარგვეყო და დაგვენგრია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემა, არამედ გაგვეთავისუფლებია იგი მახინჯი, ნეგატიური მხარეებისგან.

ხელისუფლების უყურადღებობის შედეგად ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს წილი. უკანასკნელი 40-50 წლის მანძილზე ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკაში სახელმწიფოს წილი 9-დან 39%-მდე გაიზარდა, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებლები, საშუალოდ, 35%-ს შეადგენს, ხოლო შვედეთში 60%-ზე მეტს. საქართველოში ეს მაჩვენებელი 12-13%-ს არ აღემატება. დღეს ქვეყნის სოფლის მეურნეობაში საერთოდ არ არსებობს სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების საწარმოები.

საქართველოს ძირითადი ინდიკატორები დიდად აჭარბებს ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ დონეს.

საქართველოში მშპ-ის ზრდის ტემპი 25 წელია ერთ ადგილს ტკეპნის და იგი სათანადოდ არ იზრდება. 25 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის დაბალმა ტემპებმა ვერ გამოიწვია სათანადო ცვლილებები ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურებში. ვერ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, საჭირო ინვესტიციების მოზიდვა, მთლიანი ხარჯის დონის ამაღლება და მათი წარმოებრივი დანიშნულებით გამოყენება. სამწუხაროდ, ნაცმოძრაობის ხელისუფლების მიერ გატარებული არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებს ახლა იმკის ქვეყანა. აღებული საგარეო ვალებისა და შემოსული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი გამოიყენეს არა ეკონომიკის რეალურ სექტორში, არამედ არასაწარმოებრივ სფეროში, რამაც განაპირობა ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობა და საქართველოს მომხმარებლური ეკონომიკის ქვეყნად გადაქცევა.

აღნიშნული ფინანსური რესურსები ხელაღებით გამოყენებულ იქნა არაწარმოებრივ სფეროში. აშენებული იქნა პარლამენტის შენობის კომპლექსი, პრეზიდენტის სასახლე და რეზიდენციები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, „ანბანის" კოშკი" ბათუმში და ა.შ. რაც წარმოუდგენელი იქნებოდა მაღალი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და პოლიტიკური ელიტის ეროვნული პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო მეთაურისთვის, საზოგადოებისთვის. დღემდე არ იცის საზოგადოებამ თუ რატომ და ვისი ინიციატივით იქნა აღებული 500 მლნ „ევროობლიგაციების" ვალი. სად არის ახლა ეს თანხა განთავსებული, რატომ არ დაიხარჯა იგი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაზე ან რატომ არ წარიმართა „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდში".

საზოგადოება პირველყოვლისა მოითხოვს პასუხს იმის შესახებ, თუ რაში დაიხარჯა 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში დონორი ქვეყნების კონფერენციაზე საქართველოსთვის გამოყოფილი 4,55 მლრდ აშშ დოლარი და ა.შ.

ეს სახსრები არადანიშნულებისამებრ და უყაირათოდ დაიხარჯა. მრავალი მილიონი ლარი წარიმართა რამდენიმე მსხვილი კომერციულად არამომგებიანი, პოლიტიკური ნარცისიზმისა და პედონიზმის გამომხატველი სკულპტურული ძეგლების, ველოსიპედების და უცნაურ გამოსახულებათა დამონტაჟებაზე.

რა უნდა გაკეთდეს დღეს იმისათვის, რომ ქვეყანა გამოყვანილ იქნას არსებული უმძიმედი მდგომარეობიდან, რით უნდა დავიწყოთ ეს პროცესი? ისევ დახმარება ვთხოვოთ ჩვნს ოკეანესგაღმელ მეგობრებს ან ისევ რუსეთს „დავუჩოქოთ" და აღუთქვათ მორჩილება?

აი კითხვები, რომლებიც დღეს დგას ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის წინაშე და რომელიც მოელის დროულ და კვალიფიციურ პასუხს, გადაწყვეტას, ხორცშესხმას. პასუხი აქ ცალსახაა – არც ერთი და არც მეორე. საქართველოს მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი აქვს, ესაა ქვეყნის ნეიტრალიტეტი და საკუთარი

ძალებით ეკონომიკის განვითარება, მისი აღდგენა, მატერიალური დოვლათის წარმოების განვითარება, ქვეყანაში ფასეულობათა სიუხვის შექმნა. თუ ეკონომიკა არ გაჯანსაღდა და არ აღორძინდა, ისე არაფერი არ გამოვა, არც პოლიტიკურ სტაბილიზაცია, არც სოციალური სამართლიანობა, არც ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

იმისთვის, რომ საქართველო ამოყვანილ იქნას უმწვავესი საფინანსო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისიდან, უნდა მოხდეს მძლავრი ეროვნული ეკონომიკის შექმნა და მოსახლეობის მატერიალური და კულტურული გეთილდღეობის უმოკლეს ვადებში გაუმჯობესება.

ვიზრუნოთო ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ისეთი პრიორიტეტული დარგების განვითარებისთვის, როგორიცაა:

ა) სოფლის მეურნეობა (მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მებოსტნეობა, ეთერზეთოვანი კულტურის წარმოება, მეცხოველეობა და ა.შ.);

ბ) ელექტროენერგეტიკის განვითარება;

გ) ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა და ა.შ.

ჩვენი აზრით, საქართველო საკუთარმა ეკონომიკურმა პოტენციალმა და **ეკონომიკის გარღვევის სტრატეგიის** მოდელზე გადასვლამ უნდა იხსნას.

საჭიროა ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით მაღალი საექსპორტო რესურსული პოტენციალის მქონე დარგების განვითარება.

საქართველოს დღეს მხოლოდ სწრაფი ეკონომიკური გარღვევა გადაარჩენს. ჩვენი აზრით იგი პირველყოვლისა უნდა განხორციელდეს ქვეყნის რესურსული პოტენციალის გონივრული გამოყენების გზით. ასეთი „ლოკომოტივის“ ფუნქცია შეიძლება დაეკისროს მტკნარი სასმელი და მინერალური წყლების ინსდუსტრიის შექმნას.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება ქვეყნის რესურსული პოტენციალის გონივრულად გამოყენებას.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით, მრავალი სანიმუშო მაგალითის მოყვანა შეიძლება.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები სიღრმისეულადაა შესწავლილი საქართველოს მეცნიერებაა ეროვნული აკადემიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიერ. ამ მიმართულებით გამოქვეყნებულია 12 ტომი, რომლებშიც კონკრეტულადაა მითითებული და დახასიათებული ქვეყნის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოძიებული – ოქროს, ვერცხლის, რკინის, სპოლენძის, კალის, ტყვიის, დარიშხანის, გრანიტის, თერმული მტკნარი და მინერალური წყლების და ა.შ. მარაგები.

სამწუხაროდ, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ნაკლებადაა ცნობილი ხელისუფლებისთვის, კერძოდ, შესაბამისი სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტებისთვის. არადა, რთული და გლობალური გარდაქმნები თავის მხრივ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ხელისუფლების ცენტრალური და რეგიონული ორგანოების ძალისხმევით.

საქართველოს სრული შესაძლებლობა აქვს იზრუნოს საკუთარი ეკონომიკის საიმედოების ასამაღლებლად, იყოს შედარებით დამოუკიდებელი და ნაკლებად ექვემდებარებოდეს რომელიმე ერთ სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ჯგუფს ან ბლოკს.

ცნობილია, რომ ეკონომიკის ავტონომიურობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია უშუალოდ ბუნებრივი რესურსების მარაგზე, გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზე, საერთო ეკონომიკურ პოტენციალზე და ა.შ., რაც საკმარისად გააჩნია ჩვენს ქვეყანას (რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ავტარქიულობის უზრუნველყოფა). მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოს საკუთარი ძალისხმევით შეუძლია არსებითად გაიუმჯობესოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობა.

მაშასადამე, **საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გან-**

ვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების გარანტია არის ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მტკნარი და მინერალური წყლების მდიდარი რესურსები. ქვეყანაში არსებული მტკნარი და მინერალური წყლების რესურსების ათვისების სახალხო-მეურნეობრივ მნიშვნელობაზე მეტად საგულისხმოა ბოლო დროს ქართველ მეცნიერთა შეხედულებები. მათი გაანგარიშებით საქართველო მტკნარი, დაბალმინერალიზებული და მინერალური წყლების რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანად ითვლება, მარტო ჭაბურღილებიდან წამში 300 კბ.მ წყალი ამოდის, რაც დღე-ღამეში 26 მილირდ ლიტრს შეადგენს და მას თავისუფლად შეუძლია გადაჭრას მთელ მსოფლიოში სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა.

ამჟამად მსოფლიოში 4 მილიარდი ადამიანი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. დაბინძურებული წყლის მიღების შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 25 მილიონი ადამიანი კვდება, ხოლო უწყლობით – ასეული მილიონობით იტანჯება. ამ მიმართულებით გაეროში მილიარდობით დოლარია გამოყოფილი. მსოფლიოს ბაზარზე წყლის ძირითადი (დომინანტი) მომწოდებელი ქვეყნებია საფრანგეთი და იტალია, მაგრამ მათი ფირმები სასმელ წყალზე მსოფლიო (წლიურ) მოთხოვნილებას, მხოლოდ 35-40 დღის განმავლობაში აკმაყოფილებს, როცა საქართველოს გრუნტი წყლების რესურსებს მათი წლიური მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება შეუძლია.

ერთი ლიტრი წყლის ფასი ზოგიერთ ქვეყანაში ერთი ლიტრი ბენზინის ფასს უტოლდება, მაშინ, როდესაც საქართველოში ყოველდღე ფუჭად იღვრება 2 ტრილიონი დოლარის ღირებულების წყალი.

როგორც სპეციალისტები ფარაუდობენ, გრუნტის წყლების 1 პროცენტის ათვისებით 8 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში წლიური შემოსავალი 12 მილიარდ დოლარს

გადააჭარბებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ბოლო წლებში საქართველოში მიგნებული ბორჯომისა და ნაბეღლავის ტიპის მინერალური წყლების მდიდარი წყაროები.

მტკნარი და მინერალური წყლის ინდუსტრიის მშენებლობის მიზნით დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას აქციონერული საზოგადოება, რომლის საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას სახელმწიფო უნდა ჩაუდგეს სათავეში. ეჭვგარეშეა, რომ მას მთელი ერის (მილიონობით ადამიანის) ერთსულოვანი მხარდაჭერა ექნება. სააქციო საზოგადოების აქტივები არ შეიძლება ერთი რომელიმე პიროვნების, ან თუნდაც რამდენიმე პირისგან შემდგარი ჯგუფის საკუთრებაში იყოს.

ქართველ ხალხს ის მიუტევებელი შეცდომაც ეყოფა, კერძო მესაკუთრეებს რომ მიჰყიდეს ბორჯომის, ნაბეღლავის, საირმის, სკურის, ზვარეს, ფლატეს და ა.შ. მინერალური წყლები. ხალხს ამ სიმდიდრიდან დღეს არანაირი სარგებლობა არა აქვს. ჩვენი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს სასმელი და მინერალური წყლების აქციონერული საზოგადოება და ქართველ ბიზნესმენთა და მოქალაქეთა წილობრივი სახსრებით დაიწყოს ქვეყანაში წყლის ჩამომსხმელი ინდუსტრიის მშენებლობა.

უნდა გამოვრიცხოთ ამ ეროვნულ პროექტში უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა, რამდენადაც წყლის რესურსები საერთო-სახემწიფოებრივი საკუთრებაა და, აქედან გამომდინარე, აქციებიც მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს უნდა მიეყიდოს.

ეკონომიკის ასეთი სასწაულებრივი მზარდი ტემპით აღმავლობის შესაძლებლობა და საშუალება პლანეტის არცერთ ქვეყანას არ გააჩნია.

* * *

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, რიგით მეორე მნიშვნელობის პრობლემას კოლხეთის

დაბლობის მეცნიერულად დასაბუთებული დაშრომა და მისი სასოფლო-სამეურნეო ათვისება წარმოადგენს.

კოლხეთის დაბლობის ტერიტორია უდრის 223.14 ათას ჰექტარს, რაც საქართველოს მთლიანი სათესი ფართობების 1/3-ს შეადგენს. საბჭოთა პირობებში კოლხეთის დაბლობის საერთო ფართობიდან მხოლოდ 82.520 ჰექტარი იყო ამოშრობილი, მომდევნო წლებში დაიტბორა მაგისტრალური არხები, მთლიანად მწყობრიდან გამოვიდა დამშრობი სისტემა და დაბლობი კვლავ დაჭაობდა.

კოლხეთის დაბლობის ათვისების ღონისძიებებმა, რომელიც 1925 წლიდან (კოლხიდმშენის დაარსების დღიდან) 1991 წლამდე, ე.ი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე მიმდინარეობდა, ვერ გამოიღო სასურველი შედეგები. ამჟამად კოლხეთის დაბლობი კვლავ აუთვისებელია. დღეს საჭიროა კოლხეთის მელიორაციის კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების მეთოდების საფუძვლიანი გადასინჯვა, ჰიდრომელიორაციული, აგრომელიორაციული და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ხარისხიანად და კომპლექსურად შესრულება.

კოლხეთის დაბლობზე ნარმოების კონცენტაციის დაბალი დონის პირობებში მოჰყავდათ საქართველოში გავრცელებული თითქმის ყველა (როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი) კულტურა. ერთწლიანებიდან – სიმინდი, სოია, ლობიო, კრტოფილი, ბოსტნეული, თამბაქო, პირუტყვის საკვები და ა.შ.; მრავალწლიანებიდან – ჩაი, ციტრუსები, დაფნა, ტუნგო, ხეხილი, ვენახი და სხვ.

როგორც ამას სათანადო მონაცემები ადასტურებს, კოლხეთში ძლიერ დაბალი იყო როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობა. ასევე, სპეციალიზაციის დონე და ხარისხი, ხოლო ძირითად დარგებთან დამატებითი და დამხმარე დარგების რაციონალური შეთანაწყობა – არსებითად მოუწესრიგებელი.

სამწუხაროდ, კოლხეთის დაბლობის მიწების გამოყენების

სახელმწიფო პროექტები არ შეესაბამებოდა აქაურ ბუნებრივ პირობებს და სათანადოდ ვერ ითვალისწინებდა დაბლობის სახალხო-მეურნეობრივ დანიშნულებას.

კოლხეთის დაბლობის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საკითხების გადაწყვეტისას, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს სახალხო-მეურნეობრივი ინტერესები. კოლხეთში უნდა მოეწყოს სოფლის მეურნეობის იმ პროდუქციის წაროება, რომლისთვისაც აქ საუკეთესო პირობებია და დანახარჯების რაც შეიძლება მეტი ეკონომიით მიიღწევა მიწის ყველაზე ეფექტიანი გამოყენება.

ჩვენი აზრით, ასეთი დარგები და კულტურებია: მესიმინდეობა, მებოსტნეობა, ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კოლხეთის დაბლობი სიმინდის წარმოებისთვის, თავისი ბუნებრივი, ნიადაგური და კლიმატური პირობებით მსოფლიოში უნიკალურია. ამ დარგის განვითარებას ხელს შეუწყობს აშშ-ს აიოვას შტატის კუნ-რაპიდისში ფერმერ როსელ ჰარსტის გამოცდილების გაზიარება. ფერმერულ მეურნეობას სამიათასამდე ჰექტარი მიწა აქვს, სადაც ძირითადად სიმინდი და სოიო ითესება. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 76 ცენტნერს შეადგენს. ერთი კაცი უვლის 100 ჰექტარ მიწის ფართობს. ილინოისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომლების გაანგარიშებით, ერთი ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე შრომითი დანახარჯები მხოლოდ 12 წუთს შეადგენს. ჰარსტს ფერმაში ჰყავს სამი ათას სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ორნახევარი ათასი ღორი, სამი ათასი ქათამი და ა.შ.

სპეციალისტების დასკვნით, კოლხეთის დაბლობის ფართობები ამოშრობის შემდეგ სიმინდის კულტურის მოყვანისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე კუნ-რაპიდსი. ამას ადასტურებს საქვეყნოდ ცნობილი კოლხელი მესიმინდეების (ჩოქოლი ქვაჩახიას, ძუკუ რიგავას, კოტე სანდუხაძის და სხვათა) მიღწ-

ევები, რომლებმაც ყოველგვარი ამერიკული ჰიბრიდული თესლის, თანამედროვე მანქანებისა და ჰერბიციდების გამოყენების გარეშე ერთი ჰექტარი ფართობიდან მსოფლიოში სიმინდის ყველაზე მაღალ მოსავალს (100-140 ცენტრს) იღებდნენ. კოლხეთში თავისუფლად შეიძლება სიმინდის ნათესი ფართობების გადიდება 150 ათას ჰექტარამდე და, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ყოველი ჰექტარიდან 100 ცენტრის მიღება შეიძლება, საქვეყნო ბეღელი 1,5 მლნ ტონა სიმინდით შეივსება და საქართველოში მარცვლეულის წარმოების პრობლემაც გადაწყდება.

მარტო კოლხეთში ჰარსტის ფერმის მსგავსი რამდენიმე ათეული (დაახლოებით 50-მდე) მეურნეობის ჩამოყალიბება შეიძლება.

მარცვლეულის მწარმოებელ მეურნეობებთან უნდა მოეწყოს სპეციალიზებული გადამმუშავებელი საწარმოები, რომლებშიც დამზადდება ცილების, ვიტამინების კონცენტრატებისა და სხვა მიკროელემენტების შემცველი საკვები; უნდა შეიქმნას მეცხოველეობის მსხვილი ფერმები და ხორცისა და რძის პროდუქტების დამუშავების საწარმოები. კოლხეთის დაბლობზე არსებული თერმული წყლების გამოყენებით, ასევე შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების მოწყობა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა.

უნდა განხორციელდეს მარცვლეულის, მეცხოველეობის და მეფრინველეობის პროდუქტების წარმოების კოოპერირება და შეიქმნას აგრარულ-სამრეწველო კომბინატები.

კოლხეთის ფერმერულმა მეურნეობებმა უნდა მოამარაგონ ქვეყნის შავი ზღვის სანაპირო კურორტები ახალი ბოსტნეულით, მოუხდელი რძით და რძის მჟავა პროდუქტებით, დიეტური კვერცხითა და ხორცით.

კოლხეთის დაბლობზე ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობების ჩამოყალიბება.

ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა ესოდენ დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტის მინდობა რომელიმე უწყებასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტა

მხოლოდ სახელმწიფომ უნდა ითაოს. საჭიროა დაბლობის ამოშრობისა და ათვისების პროექტის ხელახალი შედგენა, რომელშიც მეცნიერულ დონეზე იქნება შემუშავებული და გადაწყვეტილი სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საკითხები.

მაშასადამე, ხელისუფლება გონივრულად უნდა გამოიყენოს ქვეყანაში მიგნებული და აღმოჩენილი კოლოსალური რესურსები.

საქართველო თვითმყოფადობასა და სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებს, თუ იგი გადაიქცევა სხვის ქვეყანაში შექმნილი სიმდიდრის პასიურ მომხმარებლად. ქვეყნის აღმშენებლობის ათვლის წერტილად უნდა გახდეს ერთობლივი მოთხოვნის გადიდება. ეს აქსიომატური ჭეშმარიტბაა. ამის გარეშე ვერ განვითარდება ბაზარი, რომელიც თავის მხრივ წარმოების განვითარებისა და რეალური ეკონომიკური ზრდის საფუძველთა საფუძველია.